ისტორიულ-მეცნიერებითი ჟურნალი №1 (13), 2012, იანვარი ფასი 2 ლარი

ისტორიანი

მეფე ეშაფოტზე
ლუი XVI ბურბონის აღსასრული

ანდრია დელიანი
ქაღრაჯის მეფე და „ბოგბოქარი“ მიჯნური

მშრალი ალნოვის ამეირსული დამსვეღებში

ქართველების გმირული ეპოქა
ლევან გოთუა
გმირთა ვარამი
8 წიგნად
ნიგნი III
ფასი 3 ლარი
წიგნი „ისტორიანთან“ ერთად – 5 ლარი

ჰაღიდ-ბეგ მუსაიასული და სარქართველო

ჩატომ შეჩერდა ოსეთის საეკლესიო ანექსია აფხაზეთში

მარადიული ხელოვანი – ლეონარდო და ვინჩი

სარჩევი

ახალი ამბები

2012 წელი ამბროსი ხელაიას წლად გამოცხადდა 6

სამაგიდო თამაშები მხოლოდ ელიტისთვის 9

უნიკალური ფოტოისტორია: „აფხაზეთი — XIX საუკუნე“ 10

უნიკალური მონეტების კოლექცია ბავარიის ბიბლიოთეკიდან 12

ნაპოლეონის ლიტერატურული გატაცება 12

ტრადიციები

ჩიჩილაკი — კალანდობის „სამკაული“ 13

„ოცდახუთსა დეკემბერსა, ქრისტე იშვა ბეთლემსაო“ 14

რობორ ხვდებიან ახალ წელს ამერ-იმერში... 16

ქართულ-ხალხური თეთრეთობის ისტორიიდან

ჰალილ-ბეგ მუსაიასული და საქართველო 22

ნაკლებად ცნობილი ფაქტები

ანდრია დადიანი — ჭადრაკის მეფე და „ბობოქარი“ მიჯნური 28

აფხაზეთის ბახესების ისტორიიდან

რატომ შეჩერდა რუსეთის საეკლესიო ანექსია აფხაზეთში 32

მონახაქი და ბედისწერა

მეფე ეშაფოტზე — ლუი XVI ბურბონის აღსასრული 38

მეჰაჯნური

არჩილ ზოიძე (აბდულლაჰ ზორლუ): ჩემი გვარი უნდა დაბრუნდეს ამ მიწაზე!.. 44



82

სარჩევი

თვალსაზრისი

ძველი აღმოსავლეთის ისტორია — საქართველოს გარეშე?! 51

დანაშაულთან ბრძოლის ისტორიიდან

ვინ და როგორ იცავდა „შშრალ კანონს“ ამერიკაში 53

ბენიოსები

მარადიული ხელოვანი — ლეონარდო და ვინჩი 60

სხოვრება

თემურ ჩხეიძე: ყველაზე მეტად მეშინია არ დადგეს დღე, როცა აღარავის არ დავჭირდები... 68

ეხედიტი

„წარსული ჩვენი ძლიერი ფესვია — მყარად იმიტომ ვდგავართ, რომ ძლიერი ფესვი გვაქვს“ 74

ფუნალი „ისტორიანი“ ეთი ნლისაა

ეროვნული ისტორიისკენ“ მოაბრუნოს მკითხველი... 78

„ისტორიანი“ ბავშვებისთვის

500 ფაქტი ისტორიიდან 82

სკანვორდი 90

რედაქტორის სვეტი



„ისტორიანი" ერთი წლისაა. მადლიერი ვართ მკითხველის, რომელმაც ამ მცირე დროში შეიყვარა ჩვენი ჟურნალი და კეთილ სიტყვებს არ იშურებს...

რედაქციის სახელით, უპირველესად, სრულიად საქართველოს ვულოცავ შობა-ახალ წელს. 2012 ყოფილიყოს თითოეული ჩვენი მოქალაქისთვის წარმატების, სიუხვის, სიკეთის მომტანი წელიწადი. მრავალჟამიერ იხაროს და იძლიეროს ივერიის მადლიანი მიწის თითოეულმა მკვიდრმა.

ჟურნალი „ისტორიანი" ერთი წლისაა. რა თქმა უნდა, ეს არ გახლავთ „საპატიო" თარიღი, თუმც კი უნდა ვაღიაროთ, რომ ყოველი ჩვენგანისთვის ეს იყო საკმაოდ რთული წელიწადი, რადგანაც ვშიშობდით, თუ როგორ შეხვდებოდა საზოგადოება ისტორიულ-შემეცნებით ჟურნალს. ისტორიაზე წერა ადვილი არ არის, მაგრამ მერწმუნეთ, გაცილებით რთულია, მაღალ პროფესიონალურ დონეზე მიაწოდო ფართო საზოგადოებას ისტორიულ-შემეცნებითი ხასიათის პუბლიკაციები. მადლიერების მეტი რა გვეთქმის მკითხველისადმი, რომელმაც ამ მცირე დროში შეიყვარა ჩვენი ჟურნალი და კეთილ სიტყვებს არ იშურებს. უამრავ წერილს ვიღებთ „ისტორიანის" ელექტრონული ფოსტით, გვირეკავენ, რედაქციაში მოდიან. ბუნებრივია, სწორედ ეს არის უდიდესი სტიმული რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივისთვის. განსაკუთრებით გვახარებს ის ფაქტი, რომ „ისტორიანს" არ ჰყავს ერთი რომელიმე ასაკის მკითხველი. უფროსი თაობა, საშუალო თაობა, ახალგაზრდები და ბავშვებიც კი ერთნაირი ინტერესით ეცნობიან მის ფურცლებზე გამოქვეყნებულ თემატურ მასალებს. ეს ტენდენცია ცხადი გახდა სათანადო გამოკვლევებითა და იმ შეხვედრებით, რომელთაც ვმართავთ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში...

როგორი იქნება ჟურნალი 2012 წელს? თავიდანვე უნდა ითქვას, რომ იგი ბევრად უფრო მრავალფეროვანი გახდება. არაერთ სიურპრიზს შევთავაზებთ მკითხველს. უკვე ვმუშაობთ აშშ-ის, საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის, რუსეთის პოპულარული სამეცნიერო-კვლევითი და შემეცნებითი ხასიათის ჟურნალებთან სათანამშრომლოდ. შემოგთავაზებთ მსოფლიოს წამყვანი მეცნიერების სტატიებს, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ, თვალი გავადევნოთ მსოფლიო ისტორიოგრაფიის განვითარებას...

დასასრულ, კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს ერთგულ მკითხველს და დავარწმუნო, რომ „ისტორიანი" კვლავინდებურად მათ სამსახურში იქნება.

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი
„ისტორიანი"

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტი-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე ბოშიშვილი
ოქროპირ ჯიქური
ნინო ჯაფარიძე

კორექტორები:
ნანა მაჭავარიანი
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ.: 238-13-72, 238-02-45

სარეკლამო განყოფილება
ტელ.: 237-78-07, 238-78-70

e-mail: istoriani@palitra.ge

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამოწერისთვის მიმართეთ პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტოს **„ელვა.ჯი"**.
ტელ.: 238-26-73, 238-28-74, 214-09-91

წმინდანი, ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი — ასე მოიხსენიებენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოს ამბროსი ხელაიას დღეს.

2012 ᲬᲔᲚᲘ ᲐᲛᲑᲠᲝᲡᲘ ᲮᲔᲚᲐᲘᲐᲡ ᲬᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲓᲐ



ᲔᲠᲘᲡᲙᲐᲪᲝᲑᲐᲨᲘ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ ᲖᲝᲡᲘᲛᲔᲡ ᲫᲔ ᲮᲔᲚᲐᲘᲐ 1861 ᲬᲚᲘᲡ 7 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ, ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲛᲐᲠᲢᲕᲘᲚᲨᲘ. ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲐᲨᲘ.

ᲓᲐᲝᲯᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲦᲕᲓᲚᲐᲓ ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲔᲞᲐᲠᲥᲘᲐᲨᲘ ᲔᲙᲣᲠᲗᲗᲮᲐ. ᲯᲔᲠ ᲡᲝᲮᲣᲛᲨᲘ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲝᲑᲓᲐ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲮᲐᲚ ᲐᲗᲝᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲮᲜᲨᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲡᲤᲔᲠᲝᲗᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲝᲤᲐᲠᲒᲚᲣᲚᲐ. ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲔᲑᲠᲫᲝᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲘᲫᲣᲚᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡ. ᲘᲛᲐᲕᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲘᲦᲕᲬᲝᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲡ.

1897 ᲬᲔᲚᲡ, 36 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲨᲘ, ᲛᲐᲛᲐ ᲐᲛᲑᲠᲝ-

სი ყაზანის სასულიერო აკადემიაში ჩაირიცხა. ერთი წლით ადრე იგი დაქვრივდა და სამ შვილს მარტო ზრდიდა, რომლებიც თან ჰყავდა ყაზანში სწავლისა და გადასახლებაში ყოფნის დროსაც კი.

თანამედროვეთა გადმოცემით ის ნიჭიერი, უაღრესად პატიოსანი, კეთილი და სათნო ადამიანი იყო. მისმა საკანდიდატო დისერტაციამ „ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში", დიდი ყურადღება დაიმსახურა.

ამბროსი ხელაია იქვე, ყაზანში აღიკვეცა ბერად და არქიმანდრიტის ხარისხშიც აიყვანეს, მალე კი საქართველოში დაბრუნდა და ჭელიშის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. სწორედ მის სახელს უკავშირდება ჭელიშის მონასტერში „ჭელიშის ოთხთავისა" და „მოქცევაი ქართლისაის" აღმოჩენა.

ამ აღმოჩენასთან დაკავშირებით ლეგენდის მაგვარი ისტორიაც არსებობს — 1902 წელს, ჭელიშის მონასტერში მსახურების პერიოდში მონასტრის ეზოში გამოსულ ამბროსი ხელაიას მიწიდან ხმა შემოესმა, მან ბერებს ადგილი მიანიშნა და მიწის ამოთხრა სთხოვა. მიწის ქვეშ ბერებმა მცირე აკლდამას მიაკვლიეს, სადაც, სხვა ხელნაწერებთან ერთად, XIV საუკუნით დათარიღებული „მოქცევაი ქართლისაიც" აღმოაჩინეს.

არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია 1904 წლიდან თბილისში ფერიცვალების მონასტრის წინამძღოლი და სინოდალური კანტორის წევრია. აქტიურად მონაწილეობს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის ბრძოლაში.

ის ერთ-ერთი მონაწილე იყო 1907 წელს გამართული საეკლესიო კრებისა, რომელმაც სემინარიებსა და სასულიერო სასწავლებლებში საღვთისმეტყველო საგნების ქართულ ენაზე სწავლების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.

ამ პროცესებს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის დიდი აღშფოთება მოჰყვა. საქართველოს ეგზარქოსმა ნიკონმა კაზაკების ძალებით დაარბია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მომხრეთა კრება, მის მონაწილეებს მათრახებით სცემეს, მაგრამ ნიკონი ამით არ დაკმაყოფილდა და პეტერბურგს მოსთხოვა: „სემინარიას, თუ იქ ეროვნულ ენაზე შემოიღებენ სწავლებას, აღეკვეთოს სახელმწიფო ხაზინის დახმარებაო".

ამბავი ხმაურიანად გაგრძელდა. 1908 წლის 28 მაისს ეგზარქოსი ნიკონი სინოდის კანტორის კიბეზე რევოლვერის ტყვიით მოკლეს. დაიწყო ავტოკეფალიის მომხრეთა დევნა. არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია რუსეთში გადაასახლეს, ნიკონის მკვლელობის თანამონაწილეობა დასწამეს ეპისკოპოს კირიონსაც. მართალია, ბრალი ვერც ერთს ვერ დაუმტკიცეს, მაგრამ ორივე დასაჯეს: მამა ამბროსის მღვდელმსახურება აუკრძალეს და გაგზავნეს რიაზანის სამების მონასტერში, სადაც ერთ წელიწადზე მეტხანს სასტიკ რეჟიმში უწევდა ცხოვრება. სრულიად რუსეთის წმინდა სინოდი უგულებელყოფდა არქიმანდრიტის ყოველ თხოვნას სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

აფხაზეთის დეპუტაციასთან ერთად. 1917 წ.

საქართველოში დაბრუნება მან მხოლოდ 9 წლის შემდეგ, 1917 წელს შეძლო. ამბროსი ხელაია ჯერ ჭყონდიდის, შემდეგ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტად აკურთხეს.

რუსეთში 1917 წლის თებერვალში მომხდარმა გლობალურმა ცვლილებებმა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ხელსაყრელი მომენტი შექმნა. 1917 წლის 12 (ახალი სტილით 25) მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში საზეიმოდ გამოცხადდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია.

თუმცა მშვიდი მოღვაწეობის ხანა არც ამის შემდეგ დამდგარა. წმინდა სინოდმა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი 1921 წლის სექტემბერში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსად აირჩია. სწორედ იმ დროს, როდესაც ბოლშევიკების მიერ ოკუპირებული ქვეყანა უმძიმესი განსაცდელის წინაშე იდგა.

იწყებოდა ეკლესიის დევნის, ქართული ენის უფლებების შეზღუდვისა და ისტორიული მიწების დაკარგვა-გაჩუქების ეპოქა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამ

ამბროსი ხელაია შვილებთან ერთად

პრობლემებისადმი მსოფლიო საზოგადოების ყურადღების მიპყრობა სცადა. 1922 წელს მან გენუის საერთაშორისო კონფერენციას, რომელსაც 29 სახელმწიფოს წარმომადგენელი ესწრებოდა, მემორანდუმი გაუგზავნა.

„ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, უბილწავენ ეროვნულ კულტურას... მას უბღალავენ წმიდათაწმიდას, სარწმუნოებრივ გრძნობას“, – წერდა ის მემორანდუმში და ქართველი ერის სახელით ბოლშევიკური რუსეთის ჯარების საქართველოდან გაყვანასა და რეფერენდუმის გამართვას ითხოვდა.

გენუის კონფერენციაზე მემორანდუმის გაგზავნა უპრეცედენტო შემთხვევა იყო. ბოლშევიკური მთავრობა ამ ფაქტს გულხელდაკრეფილი არ შეხვედრია და მალე კათოლიკოსი ამბროსი დააპატიმრეს. სასამართლო პროცესზე პატრიარქთან ერთად საკათოლიკოსო საბჭოს 9 წევრიც გაასამართლეს.

მათ ბრალად დასდეს: გენუის კონფერენციისადმი მემორანდუმის გაგზავნა, საქართველოს ეკლესია-მონასტრების საგანძურის გადამალვა, საეკლესიო ქონების სააღრიცხვო წიგნების არასწორი წარმოება და სამხედრო ტაძრის (რომელიც დღევანდელი მთავრობის სასახლის ტერიტორიაზე იყო) კომკავშირისადმი გადაცემის პროცედურაში საპატრიარქოს წარმომადგენლის გამოუცხადებლობა.

„ჩემი სული ეკუთვნის ღმერთს, გული — სამშობლო საქართველოს, ხოლო სხეული თქვენ დაგრჩეთ საჯიჯგნად, ჯალათებო!“ — ასეთი იყო კათოლიკოს-პატრიარქის პასუხი ბოლშევიკური სასამართლოს ბრალდებებზე.

კომუნისტურმა სამართალმა ამბროსი ხელაიას თავისუფლების 8 წლით აღკვეთა მიუსაჯა. თუმცა 1924 წელს, ამნისტიის ძალით ის გაათავისუფლეს და წირვის ჩატარების უფლება მისცეს. ტაძარში უამრავი ხალხი მივიდა. შევიდა თუ არა კათოლიკოსი სიონში, ხალხი მუხლებზე დაემხო. მაშინ აღმოხდა თურმე კათოლიკოსს სიხარულით: „ჩანს, ქრისტიანობას საქართველოში ვერა ძალა ვერ გაანადგურებს“.

კათოლიკოსი ამბროსი ხელაია გარდაიცვალა 1927 წლის 29 მარტს. ის სიცოცხლეში თავისუფლების სიმბოლოდ, გარდაცვალების შემდეგ კი ეროვნულ გმირად იქცა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა ის 1995 წელს წმინდა მღვდელმთავარ ამბროსი აღმსარებლის სახელით წმინდანად შერაცხა.

2011 წლის დეკემბერში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. მის საცავებში პატრიარქ ამბროსისთან დაკავშირებული სამასზე მეტი სხვადასხვა სახის მასალა ინახება. გამოფენაზე კი ყველაზე მნიშვნელოვანი ექსპონატები გამოიფინა. მათ შორისაა პატრიარქის ხელით დაწერილი ქადაგებები (ქართულ და რუსულ ენებზე), სამეცნიერო ნაშრომები, პირადი მიმოწერა, ცნობილი ადამიანებისადმი მიძღვნილი სიტყვები და რა თქმა უნდა, ფოტოარქივი.

ექსპონატთა ერთი ნაწილი, მათ შორის, ამბროსი ხელაიას სასამართლოს დადგენილების ოქმი, კათოლიკოს-პატრიარქის ქალიშვილის შვილიშვილის, ხელოვნებათმცოდნე ანა კლდიაშვილის პირადი არქივიდანაა. ამ მასალის აღმოჩენის ისტორია არანაკლებ საინტერესოა: ოჯახს ეს დოკუმენტები დაკარგული ეგონა, თუმცა ერთ დღეს უძველესი ხის მასიური მაგიდა გატყდა, რომლის ფარულ უჯრაშიც ფასდაუდებელი დოკუმენტაცია და სხვა ხელნაწერები აღმოაჩინეს...

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავშივეა დაცული „ჭელიშის ოთხთავი“, რომელიც გამოფენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ექსპონატი იყო. იქვეა დაცული „მოქცევაი ქართლისაი“.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ასევე გამოფენილი იყო ამბროსი ხელაიას ოჯახის წევრების, მისი მეუღლის, 1896 წელს გარდაცვლილი კესარია მერჭულესა და მათი შვილების ფოტოები. რამდენიმე მათგანი ამბროსი ხელაიას გადასახლების პერიოდშია გადაღებული.

ნინო ჯაფარიძე

ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲓᲝ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲚᲘᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ევროპული სამაგიდო თამაშები შეიქმნა როგორც დროსტარების ელიტარული საშუალება და კონტინენტზე რომაულ ლეგიონებთან ერთად გავრცელდა.

ამ ტიპის თამაშები ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა ხანებში გაჩნდა და დიდ ბრიტანეთამდე ახ. წ. დასაწყისში ჩააღწია.

გართობის ეს სახეობა ყველასთვის ხელმისაწვდომი არ ყოფილა. „პირველი სამაგიდო თამაშებიდან ბევრი დიპლომატიური საჩუქარი იყო, რომელიც ელიტისთვის პრეროგატულ სტატუსს წარმოადგენდა“, — ამბობს კვლევის ერთ-ერთი თანაავტორი, ავსტრალიის პერტის მუზეუმისა და სამხატვრო გალერეის წარმომადგენელი მარკ ჰოლი.

მეცნიერებისთვის ცნობილი თამაშებიდან ყველაზე ძველს სახელად „ოც კვადრატს“ უწოდებდნენ. მას მესოპოტამიის ქალაქ ურის მმართველის სამარხში მიაკვლიეს. თამაშის წესების შესახებ არაფერია ცნობილი. მკვლევართა ვარაუდით, ის ნარდის წინამორბედი უნდა ყოფილიყო.

კიდევ ერთი ძველი თამაშის, „სენეტის“ კვალს დინასტიების ეპოქის წინა ეგვიპტეში მივყავართ. მისი ერთ-ერთი ნიმუში ტუტანჰამონის აკლდამაში ნახეს. ის წარმოადგენს ბადეს, რომელიც სამ რიგად განლაგებული ოცდაათი კვადრატისგან შედგება. ამ თამაშის წესები, ისევე, როგორც „ოცი კვადრატისა“, დღეს საიდუმლოს წარმოადგენს.

ეგვიპტეში ასევე არსებობდა თამაში „მეჰენი“, ლომისა და ბურთის ფორმის ფიგურებით.

სამყაროს მეორე ბოლოში კი, ერთ-ერთ ადრეულ აღმოჩენად იქცა თამაში, რომელსაც დიდ ბრიტანეთში, კოლჩესტერში, ექიმის სამარხში მიაკვლიეს. სამარხი ახ. წ. 40-50-იანი წლებით თარიღდება. ის წარმოადგენს დაფას მინის 26 ჩიპით, რომელიც ისეა განთავსებული, თითქოს ვიღაც თამაშის დაწყებას აპირებდა.

მართალია სამაგიდო თამაშები რომაელთა დაპყრობების პარალელურად გავრცელდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მათ ადგილობრივი კულტურის ნიშნები შეითვისეს. მაგალითად, შოტლანდიის კუნძულებზე ნაპოვნია ორი, კონუსური ფორმის ქვის ჩიპი, რომელზეც კელტური სტილის ადამიანის სახეა გამოსახული. ეს ჩიპები V–VII საუკუნეებით თარიღდება.

მომზადებულია Discovery News-ის მასალების მიხედვით

ზემოთ: გიორგი შერვაშიძის ფოტოსურათი.

ქვემოთ: გიორგი შერვაშიძის ფოტო, გაფერადებული მიხაი ზიჩის მიერ

„აფხაზეთი — XIX საუკუნე“

უნიკალური ფოტოისტორია

„აფხაზეთი — მე-19 საუკუნე“ — ასე ჰქვია ალბომს, რომელიც ამ პერიოდის აფხაზეთს მოიცავს და რომელიც 261 უნიკალურ ფოტონამუშევარსა და ნახატს წარმოგვიდგენს. ალბომი ერთგვარი გიდის როლს შეასრულებს XIX საუკუნის აფხაზეთში მოგზაურთათვის. თუმცა, როგორ გამოცემის რედაქტორი ნინო ბერძნიშვილი აღნიშნავს, „გამოცემა მნიშვნელოვანი წინაპირობაა იმისთვის, რომ ამ მიმართულებით სამეცნიერო სამუშაოებიც დაიწყოს“.

ალბომის ავტორები ორ, ქართულ-აფხაზურ ენაზე მომზადებულ მასალებსა და ფოტოებს ენგურს გამოღმა ათი წლის განმავლობაში აგროვებდნენ.

ზურაბ შენგელია *(ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ხელმძღვანელი):* — ალბომის შექმნის იდეა 2000 წელს გაჩნდა, ერთ-ერთ აფხაზურ ოჯახში სტუმრობისას. აფხაზმა მასპინძელმა ქართველ სტუმარს სთხოვა, თუ შესაძლებელი იქნებოდა, აფხაზეთის შესახებ ენგურს გამოღმა არსებული დოკუმენტური ფოტომასალა შეეგროვებინათ. ომის შემდეგ აფხაზეთში ყველაფერი განადგურდა. დაიწვა არქივები, მუზეუმები... შესაბამისად, ეს აფხაზური ინტელიგენციის ერთი ნაწილის იდეა და თხოვნა იყო, იმ ადამიანთა თხოვნა, ვინც ომის შედეგად საკუთარი წარსული დაკარგა.

ასე დაიწყო თბილისში მასალების მოძიების ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესი. ეძებდნენ ყველგან: არქივებში, ინსტიტუტებში, პირად კოლექციებში...

ალბომი აფხაზმა ისტორიკოსმა თეო გიცბამ შეადგინა. მასში სწორედ აღნიშნული პერიოდის დოკუმენტური მასალა შევიდა. ამ ათი წლის განმავლობაში 650-ზე მეტი ფოტო, გრავიურა თუ ნახატი მოგროვდა. მათ შორის ბევრი პირველად გამოქვეყნდა: გრიგორი გაგარინის ჩანახატები, ივან აივაზოვსკის ნახატები, ჰოტშილდის გრავიურები, დიმიტრი ერმაკოვის, ბოგოლიუბოვის, ალექსანდრე როინიშვილის ფოტოები.

„ხელოვნების მუზეუმში მივაკვლიეთ ერთ სურათს, რომელსაც ეწერა თავადი შერვა-

შიძე, მაგრამ რომ ვიკითხე, რომელი თავადია-მეთქი, ვერ მიპასუხეს. მოგვიანებით, ხელნაწერების ცენტრში ფოტოგრაფ ვლადიმირ ბარკანოვის ნამუშევარი ვნახე და მივხვდი, რომ ის ნახატი სწორედ ბარკანოვის ფოტოს მიხედვით იყო შესრულებული და ცნობილ მხატვარს, „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების ავტორს, მიხაი ზიჩის ეკუთვნოდა“, — იხსენებს თეო გიცბა.

შეგროვებული 650-მდე ფოტოდან ნაწილი იმდენად დაზიანებული იყო, რომ ალბომისთვის მხოლოდ მათი მცირე ნაწილი შეირჩა. ამ ფოტოებიდან ბევრია ისეთი, რომელიც ალბომში დაბეჭდვამდე უცნობი იყო.

გამოცემის რედაქტორი ნინო ბერძნიშვილი ამბობს, რომ ალბომი ოთხ ნაწილად დაიყო. პირველი ნაწილი მოიცავს აფხაზეთის მთავართა სახლს, შერვაშიძეების ისტორიას, მუჰაჯირობასა და რუსეთ-თურქეთის ომებს; მეორე — არქიტექტურულ ძეგლებსა და დასახლებულ ადგილებს; მესამე — ეთნოგრაფიულ მასალებს; მეოთხე — კულტურისა და განათლების სფეროს.

ალბომში წარმოდგენილი ფოტოებისა და ნახატების მიხედვით შეგიძლიათ შეიქმნათ სრული სურათი, რა ხდებოდა XIX საუკუნის აფხაზეთში.

ნინო ჯაფარიძე

ივან აივაზოვსკის ნახატი

talizi

თმის გაღანერგვის ცენტრი

ტაშკენტის 27. ტელ: 2141515

WWW.TALIZI.GE

უნიკალური მონეტების კოლექცია ბავარიის ბიბლიოთეკიდან

ბავარიაში, პასაუს სახელმწიფო ბიბლიოთეკის დამლაგებელმა ერთ-ერთ საცავში ძველი მონეტების უნიკალური კოლექცია აღმოაჩინა.

ტანი ჰელსის ხის ყუთი თავდაპირველად სამკაულების შესანახი ზარდახშა ეგონა. ნაპოვნის შესახებ მან ბიბლიოთეკის დირექტორს შეატყობინა. ხის ყუთის „საგანძურის“ შესწავლის შემდეგ, ამ უკანასკნელმა დაასკვნა, რომ მასში ვერცხლის, ბრინჯაოსა და თითბრის ძველბერძნული, რომაული და ბიზანტიური მონეტები შეენახათ, მონეტების ერთი ნაწილი კი ნაპოლეონ ბონაპარტის ეპოქისა აღმოჩნდა.

იმის გათვალისწინებით, რომ აღმოჩენილი მონეტებიდან ზოგიერთი უნიკალურია, კოლექციის ღირებულება რამდენიმე მილიონ ევროს შეადგენს.

ბიბლიოთეკის დირექტორის განმარტებით, კოლექციის მფლობელის დადგენა ვერ მოხერხდა. მისი ვარაუდით, ყუთი შესაძლოა 1803 წელს გადაემალათ. სეკულარიზაციის (ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის) ეპოქაში ხომ მონასტრებში დაცული მონეტებისა და წიგნების სახელმწიფოსთვის ამოღება ხდებოდა.

ნაპოლეონის ლიტერატურული გატაცება

იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტის გატაცება მხოლოდ პოლიტიკა და სამხედრო საქმე არ ყოფილა. მან ბედი მწერლობაშიც სცადა, ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე იმპერატორის ტახტზე ავიდოდა. თუმცა სამხედრო საქმისა და პოლიტიკისგან განსხვავებით, ბონაპარტის ლიტერატურული დებიუტი იღბლიანი ვერ აღმოჩნდა.

საფრანგეთის იმპერატორმა 26 წლის ასაკში, 1795 წელს ლიტერატურული ნაწარმოების შექმნა სცადა. ლაპარაკია რომანზე „კლისონი და ეჟენი“. ხელნაწერი ფრაგმენტები ერთადერთი რომანისა, რომელიც იმპერატორ ბონაპარტის კალამს ეკუთვნოდა, ჩვენს დრომდე შემორჩა. ეს ნაწარმოები იყო ნაპოლეონ ბონაპარტის პირველი და უკანასკნელი მცდელობა, ლიტერატურულ სფეროშიც გამოეცადა თავი.

ხელნაწერი რომანის მხოლოდ პირველი გვერდი 4 წლის წინ აუქციონზე 24 ათას ევროდ გაიყიდა.

*მომზადებულია **thelocal.de**-ის მასალების მიხედვით*

ჩიჩილაკი

კალანდობის „სამკაული"

„კალენდა" რომაულად ნიშნავს თვის პირველ რიცხვს და შესაბამისად, კალანდობა — ახალ წელს.

კალანდობის უმთავრესი „სამკაული" კი ძველ გურიაში, სამეგრელოსა და ქვემო იმერეთში ჩიჩილაკი იყო. თუმცა ბოლო დროს მან მთელი საქართველოც მოიცვა. მეტიც, უცხოელ ტურისტებს მინიატიურული ჩიჩილაკები საქართველოდან სუვენირებად მიაქვთ ახლობლებისთვის.

ჩიჩილაკი სიცოცხლის ხესა და ნაყოფიერებას განასახიერებდა. იმასაც ამბობდნენ თურმე, როგორ ჩიჩილაკსაც გამოვთლით და როგორ ლამაზადაც მოვრთავთ, ისეთივე წელიწადი დაგვებედებაო.

ჩიჩილაკს კი ასე ამზადებდა და რთავდა ჩვენი წინაპარი:

ახალ წლამდე 10-15 დღით ადრე ოჯახის უფროსი ტყეში მიდიოდა, თხილის გრძელ ტოტს მოჭრიდა (რადგანაც ტყის თხილის ხისგან საუკეთესო ჩიჩილაკი მზადდება!), შინ მიიტანდა და წყალში ჩაალბობდა. ახალი წლის წინა დღეს ტოტს ბუხრის ცეცხლთან ისე დაატრიალებდა, რომ ქერქი ალის სიმხურვალისგან ტკაცუნს იწყებდა. მერე ტოტს კანს გააცლიდა და ბასრი დანით ბოლოდან წვერისკენ ნელ-ნელა დაუწყებდა თეთრი ბურბუშელების „ათლას". ასე იბადებოდა ულამაზესი ბურბუშელების ასხმულა, ანუ ჩიჩილაკი. ჩვენი წინაპარი ჩიჩილაკს აუცილებლად ჯვარედინად გაუყოფდა წვერს და მასზე ორ მომცრო ჯოხს ჩაარჭობდა. ერთ მხარეს ბროწეულს ჩამოაცვამდა, მეორეზე — ვაშლს. ბროწეული ბარაქის სიმბოლო იყო, ხოლო ვაშლზე ვერცხლის ფულს ამაგრებდნენ. მძივებსაც დაჰკიდებდნენ ხოლმე, სუროს მტევნებიანი ტოტებითაც რთავდნენ, არც წითელი კუნელის კუნწულები ავიწყდებოდათ. ზოგ სოფელში მარადმწვანე, წითელმარცვლიანი ბაძგითა და ფითრით რთავდნენ. ყველა მათგანს თავისი დატვირთვა ჰქონდა და უმთავრესად ოჯახის სიმრავლეს, სიძლიერეს უკავშირდებოდა. ზოგან საახალწლო ხაჭაპურსაც წამოაცვამდნენ თავზე, გვერდით ტკბილეულით, ხილითა და საკალანდოდ გამომცხვარი ბედის კვერებით სავსე ლანგარს შემოუდგამდნენ და საახალწლო სიმღერასაც შემოსძახებდნენ.

ჩიჩილაკის გამოთლის „ხელოვნება" მშვენივრად აითვისეს დღევანდელ საქართველოშიც

გასულ საუკუნეში ჩიჩილაკს ნაძვის ხე ჩაენაცვლა. თავდაპირველად ნაძვის ხე გერმანიაში მორთეს ხილით, ტკბილეულითა და ფერადი ქაღალდებით, XVIII საუკუნეში. მოგვიანებით რუსეთში შემოვიდა და შემდგომ საქართველოშიც „გადმოინაცვლა". დღეს რატომღაც „წამყვანი როლი" საახალწლო მოსართავებში ნაძვის ხეს უკავია, თუმცა კი ჩიჩილაკიც გავიხსენეთ, განსაკუთრებით ბოლო წლებში და ადგილი ნაძვის ხის გვერდით მივუჩინეთ.

ნინო ჯაფარიძე

„ოცდახუთსა დეკემბერსა, ქრისტე იშვა ბეთლემსაო“

ვინც ალილო არ იცოდა...

25 დეკემბერს (ახალი სტილით 7 იანვარს) ერი და ბერი სრულიად საქართველოსი ქრისტეშობას ზეიმობდა. შობის წინა ღამეს საწესო სიმღერა, ალილო სრულდებოდა მთასა თუ ბარში. შეიკრიბებოდა რამდენიმე კაცი, სულ მცირე, სამი მაინც უნდა ყოფილიყო, რადგანაც ქართული სიმღერა ხომ სამხმიანია და ჩამოუვლიდნენ ყოველ ოჯახს, სიმღერით მიულოცავდნენ დღესასწაულს. და ისმოდა გამთენიამდე „ოცდახუთსა დეკემბერსა, ქრისტე იშვა ბეთლემსაო“, „ჩიტი ღობეზე შემოჯდა, იძახოდა ქრისტეშობას“, „წისქვილს პური დავარიგე“ და მრავალი სხვა. ალილო საქართველოს ყოველ კუთხეში თავისებური ინტერპრეტაციით სრულდებოდა. ეს რიტუალი უძველესი უნდა იყოს, სახელი კი, როგორც ჩანს, მოგვიანებით ალილუიასგან დაერქვა. ალილუიადან კი სიტყვასიტყვით ნიშნავს „აქებდეთ უფალს“. ამდენად, ალილო უფლის სადიდებელია, ხოლო საშობაოდ ალილოს სიმღერა ქრისტეს დაბადების, უფლის განკაცების სადიდებელია. ამიტომაცაა, ალილოს მომღერლებს რომ მახარებლებს ეძახიან.

ვარაუდობენ, რომ საშობაო და სააღდგომო სიმღერების საერთო სახელწოდება ჭონა უნდა ყოფილიყო.

ალილო გამორჩეულად ჰყვარებია პატარა კახს. ქართლიდან მომღერალი ზაქარია გაბაშვილი გაუძევებია მეფეს, ალილოს სიმღერისას ხმაც შეეშალა და სიტყვებშიც „სპარსულები ჩაურთოო“. სამაგიეროდ, ხმატკბილი ამბროსი წილკნელი მოუწვევია სამეფო კარზე, საჩუქრები უბოძებია მისთვის და შენ ეგ ალილო გვასწავლეო, უბრძანებია...

საშობაო ღორი

ჩამოივლიდნენ ქრისტეს მახარებელნი — მეალილოეები, რომელთაც ვინ სპილენძის ხურდა ფულს აძლევდა, ვინ ტკბილ ქადებსა და სასმელს, ვინ საშობაოდ გამომცხვარ შოთლავაშსა და კვერებს... დაილოცებოდნენ თითო ჭიქით, მადლს შესთხოვდნენ უფალს.

დასრულდებოდა ალილო და დაიწყებოდა საშობაოდ ნასუქი ღორის დაკვლის რიტუალი.

...ძველთაგანვე ღორი მიიჩნეოდა ღვთაებებისა და ღმერთების წმინდა ცხოველად. იგი ნაყოფიერების კულტს უკავშირდებოდა და ძირითადად ზამთრობით სწირავდნენ ხოლმე.

ღორის წმინდა ცხოველად მიჩნევა პირველ ყოვლისა უკავშირდება იმას, რომ იგი მიიჩნეოდა პირველ მიწათმოქმედად (პირველად აჩიჩქნა მიწა და ამით ადამიანებს მიწის დამუშავება ასწავლა!). მეორეც, ღორი რკოთი იკვებება, მას გამუდმებით უწევს მუხის ხესთან ყოფნა, მუხა კი წმინდა ხე იყო, შესაბამისად, ღორიც — წმინდა ცხოველი. ამდენად, მისი ჭამა აკრძალული იყო და მხოლოდ საახალწლოდ თუ გაიმეტებდნენ დასაკლავად და სადღესასწაულო სუფრის დასამშვენებლად. ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ კი საშობაოდ ღორის დაკვლა უკვე ტრადიციად იქცა.

უფლის შობა, უბისის ეკლესიის ფრესკა

ახალი წლის მოლოდინში

გამოცხვებოდა საშობაო კვერები თუ შოთლავაში, ხაჭაპური თუ კვერცხიანი ღვეზელები, ტკბილი ქადები, ნაზუქები და ნამცხვრები (კუთხეებისა და სოფლების მიხედვით. ასე მაგალითად, ქართლსა და კახეთში ქადებსა და ნაზუქებს აცხობდნენ, გურიასა და იმერეთში — ტკბილ კვერებს). მოიხარშებოდა ღორის ხორცი (თავს უმეტესწილად საშობაოდ შეინახავდნენ), გამზადდებოდა სამწვადე. მთავარი ლხინი საშობაო ლიტურგიიდან მობრუნების შემდგომ იწყებოდა. საშობაო სუფრის აუცილებელი ატრიბუტი ხილით სავსე გობი ან კალათა იყო. სუფრას ასევე ამშვენებდა ტკბილეული, ჩირი, ჩურჩხელები. თუ თვითონ წავიდოდნენ სტუმრად, უეჭველად მიჰქონდათ უხვი მოსაკითხი, თუ არადა, მათთან მოდიოდნენ ახლობლები. ახალ პატარძალს მშობლები ესტუმრებოდნენ უეჭველად. ხშირად ყოფილა, ურმით დატვირთული მიდიოდნენ ახლობელთა მისალოცადო...

ალილო თბილისში

გასრულდებოდა საშობაო ლხინი და ახლა ახალი წლის სამზადისს შეუდგებოდნენ...

P.S. ბოლო წლებში საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივით საყოველთაო ალილოს ტრადიცია დამკვიდრდა თბილისსა და ქვეყნის არაერთ ქალაქში. თეთრსამოსიანი მეალილოეები მკერდზე დიდი წითელი ჯვრით დილაადრიან აახმიანებენ ქუჩებს. მიდიან ურმებით, რომელზეც მოსახლეობა შესაწირავს დებს. ეს შესაწირავი მშობლების მზრუნველობამოკლებულ ბავშვებსა და უპოვართ ხმარდება.

შობის მადლი ფარავდეს სრულიად საქართველოს.

ნოდარ შოშიტაშვილი

როგორ ხვდებიან ახალ წელს ამერ-იმერში...

საახალწლო ცეცხლი დიდხანს უნდა ენთოს...

ტრადიციულ ქართულ დღეობათა კალენდარში ასახულია ოფიციალური საეკლესიო კალენდრის ცვალებადობის კვალი. წარმართულ საქართველოში ახალი წელი აგვისტოში იწყებოდა, ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ — სექტემბერში. IX საუკუნეში სულაც მარტიდან აითვლებოდა. X საუკუნეში შემოვიდა და XI საუკუნიდან დამტკიცდა იანვარი. იგი თანაარსებობდა საერო (სექტემბერი) წელთა აღრიცხვასთან. XVII საუკუნიდან კი ახალი წლის დასაწყისად საერო კალენდრითაც იანვარი დადგინდა. გასაბჭოების შემდეგ კი მართლმადიდებლებს აიძულებდნენ, შეჰგუებოდნენ ათეისტურ კალენდარს და ხელოვნურად შექმნილ საბჭოურ დღესასწაულებს. მაგრამ თვით დღემდეც კი ახალ წელს ქართულ სოფლებში უფრო მასშტაბურად ძველი სტილით — 14 იანვარს ზეიმობენ.

თვის სახელწოდება რომაელთა ღმერთის, იანუსის სახელიდან მოდის. იანუსი დროის ღვთაება იყო. ითვლებოდა მზისა და სინათლის ღმერთად, ასევე ყოველივე დასაწყისის ღვთაებად. ძველ რომაელთა წარმოდგენით, იანუსმა მისცა დასაწყისი თვით კაცობრიობას. ამიტომაც რომაელებმა ძ.წ. 46 წლის დასაწყისად დაამტკიცეს 1-ელი იანვარი.

ძველი ქართული წარმართული კალენდრით იანვარს აპანი, აპნისი ერქვა.

დასავლეთ საქართველოში ახალ წელს ჰქვია „კალანდა“, „კალანდობა“. „კანდა“ ფუძე შესაძლოა მომდინარეობდეს რომაული კალენდა-დან, რაც თვის პირველ ან 10 დღეს აღნიშნავდა (აქედან მოდის სიტყვა კალენდარიც).

მოკლედ წარმოგიდგენთ იმ წეს-ჩვეულებებს, რომლითაც ჩვენი წინაპარი ხვდებოდა ახალ წელს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში.

რაჭა: ტყიდან მოჰქონდათ შეშით სავსე მარხილი. შეშაზე ეწყო ბაგძარი — მარადმწვანე ეკლიანი და კურკოვანი საკმაოდ ლამაზი მცენარე. შეშიან მარხილს კალოზე დადგამდნენ, პირით აღმოსავლეთისკენ და ასე იდგა ნათლისღებამდე. საღამოს იკვლებოდა საკალანდო ღორი, ცხვებოდა განატეხები. გამოცხობის წინ ლოცულობდნენ და მოიხსენიებდნენ წმინდა ბასილს. ნავახშმევს ამზადებდნენ „სამკლოვიაროს“: გამოაცხობდნენ დიდ ლობიან-განატეხს და დადებდნენ ლერწმის გვერგვზე. გვერდით მიუწყობდნენ მონეტებს, ვაშლებს, თაფლს. ასევე აცხობდნენ კიდევ ერთ დიდ განატეხს, რომელზეც ჯვარს გამოსახავდნენ (ჯვარსახიანს უწოდებდნენ). მას ქალები გაინაწილებდნენ.

ლეჩხუმი: დილით ადრე დაკლავდნენ ღორს. მარხილით მოჰქონდათ ბაძგარშემოვლებული შეშა. ეკლიან ბაძგარს შემოავლებდნენ სახლს, ბეღელს, ნალიას და დაილოცებოდნენ. ამზადებდნენ ჩიჩილაკს, გვერგვს. აცხობდნენ დიდ საოჯახო ტაბლას (საწესო ჰურს). მასზე იდებოდა ფული და ტკბილეული, ყოველივე ეს თავსდებოდა გვერგზე. საღამოს აცხობდნენ ექვს

ქართველები. ვერა ბრაილაშვილის ნახატი

წარმართულ საქართველოში ახალი წელი აგვისტოში იწყებოდა, ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ — სექტემბერში. IX საუკუნეში სულაც მარტიდან აითვლებოდა. X საუკუნეში შემოვიდა და XI საუკუნიდან დამტკიცდა იანვარი.

საოჯახო ტაბლას და მეშვიდე დიდ სალოცავ ტაბლას. უფროსი ქალი კერიასთან ოჯახის მშვიდობიანობას შესთხოვდა უფალს.

ნავახშმევს მეკვლე — მკლოვიარე გავიდოდა სახლიდან დამხმარე სათავსში, რათა დილით მეკვლედ შემოსულიყო.

სვანეთი: დილით ტყეში ჭრიდნენ დიდ ხეს და შინ მოიტანდნენ. ამ ხის მორზე შესვამდნენ ბიჭს და საახალწლო სიმღერით კერიას სამჯერ შემოატარებდნენ. მერე ბიჭი მორიდან გადმოხტებოდა, მორს კი ცეცხლში შეუკეთებდნენ. სასურველი იყო, ცეცხლი დილამდე არ ჩამქრალიყო.

ახალი წლის ღამეს სანოვაგეს მოწნულ კალათაში ჩაალაგებდნენ და კართან დაჰკიდებდნენ. დილაადრიან ოჯახის უფროსი კერაზე ცეცხლს დაანთებდა, ოჯახში ყველაზე ლამაზ ქალსა და ყველაზე კეთილ ბიჭს გააღვიძებდა. მერე სახლიდან გაიყვანდა ხარს, თან ბიჭსა და სანოვაგიან კალათმოკიდებულ ქალს გაიყოლებდა. ხმის ამოუღებლად მდინარესთან მივიდოდა, ხარს წყალს დაალევინებდა. უკან მობრუნებულნი, ეზოში თოვლის გორას დადგამდნენ, შუაში ნაძვის ხეს ჩასვამდნენ, სამჯერ შემოუვლიდნენ და შინ ბრუნდებოდნენ. ამის შემდეგ შეეძლოთ ხმის ამოღება და ოჯახის დალოცვა.

სამეგრელო: მზადდებოდა ჩიჩილაკი, ასევე სუროსა და თხილის ლამაზი თაიგული — კვიკვილი. აცხობდნენ ღორის ქონიან მჭადებსა და კირუ-კარუებს — ეს იყო ყურძნის მტევნის, ვაშლის, მსხლის, წიწილების, ხელსაფქვავის გამოსახულებების მქონე კვერები.

ახალი წლის ღამეს ოჯახის უფროსი ჩიჩილაკით და საახალწლო გობით სხვა სადგომში მიდიოდა. გამთენიას წყაროზე დაიბანდა ხელ-პირს, ღომის მარცვლით სავსე მუჭას წყალში ჩაჰყოფდა და თუ ამოღებისას ღომის მარცვლები მშრალი აღმოჩნდებოდა, გვალვიანი წელი დაუდგებოდათ. წყაროდან დოქით წყალს წამოიღებდა და ჩიჩილაკსა და ხონჩასთან ერთად შინ მიიტანდა. კარზე სამჯერ დაკაკუნებდა და კითხვაზე, რა მოგაქვსო, — ასე უპასუხებდა: — კალანდა მოვბრძანდები, სიმრავლე, სიხარული და გამარჯვება მომაქვს. მერე სახლის შემოვლას იწყებდა იმავე გობითა და ჩიჩილაკით. სახლის გარშემო მოაბნევდა ღომის მარცვალს სიმრავლის ნიშნად, წყაროდან მოტანილი წყლით კი იატაკს მორწყავდა, რითაც წვიმას შესთხოვდა კალანდას.

მთელი დღე თოფის სროლითაც ზეიმობდნენ ახალი წლის დადგომას. ახალგაზრდები კარდაკარ დადიოდნენ ჩიჩილაკით ხელში და ყველას ულოცავდნენ კალანდას. წირვიდან გამოსულები კი ერთმანეთს ბრონწეულებს ჩუქნიდნენ, თან ასე დალოცავდნენ: „ღმერთმა იმდენი კალანდა გაგითენოს, რამდენი მარცვალიც ამ ბრონწეულშიაო“. კაკლის ჩუქებას კი ერიდებოდნენ. ერთ კუდიან დედაბერს ახალგაზრდა ქალისთვის კაკალი უჩუქებია. ქალი კაკალივით ჩამომხმარა და ვეღარც გათხოვილაო.

ახალი წლის ღამეს გასათხოვარი გოგონები ახალთახალი ხის სავარცხლით თმას ჩამოიშლიდნენ. ამ დროს მათ ხმა არავინ უნდა გასცეს. სავარცხელს ბალიშის ქვეშ ამოიდებენ — სიზმრად აუცილებლად საბედო გამოეცხადებათ და ჩამოშლილ თმასაც ის დაუვარცხნისო...

იმერეთი: ქვემო იმერეთის ერთ ნაწილში ჩიჩილაკსაც აშზადებდნენ. სახლში მოჰქონდათ მარადმწვანე და კენკროვანი მცენარეები, რომლისგანაც ამზადებდნენ მისალოცს და დებდნენ გობზე. გობის შუაში აუცილებლად უნდა ყოფილიყო საშობაოდ დაკლული ღორის მოხარშული თავი და სარიტუალო კვერები სხვადასხვა გამოსახულებით. მაგალითად, ყურძნის მტევნის გამოსახულებიანს გაიტანდნენ ვენახში და ვაზზე ჩამოჰკიდებდნენ — ბარაქა დაგვებდებაო.

გურია: ამ დღეს შელოცვა ან ცხემლის ჭრა ერქვა. იმარაგებდნენ ცხემლის შეშას. იკვლებოდა საკალანდე ღორი, ცხვებოდა საწესო პური საკაკავი — გოჭის ფეხით მხოლოდ ქალებისთვის.

მზადდებოდა ჩიჩილაკი. ცხვებოდა ბოკელი ჩიჩილაკისთვის და ოთხი დიდი საბასილობო პური. საღამოს ლოცულობდნენ ქალები სახლში, კაცები — გარეთ. ლოცვის შემდეგ კაცები შინ შემოდიოდნენ. ოჯახის უფროსს მოჰქონდა ჩიჩილაკი და ერთი ქოთანი, რომელიც ღომის მარცვლით იყო სავსე. კარზე სამჯერ დააკაკუნებდა და კითხვას, რა მოგაქვსო, უპასუხებდა: „მომაქვს წმინდა ბასილის წყალობა, კაცთა შორის მშვიდობა, თეთრი და საქონელი მრავალი“.

აღმოსავლეთ საქართველო: თითქმის ყველგან დიასახლისი 31 დეკემბერს აცხობდა სარიტუალო პურებს, ბედისკვერებს ოჯახის ყველა წევრისთვის. ცალკე აცხობდა ე.წ. ბასილას. ასევე გუთნის, ხარის, სახნისის, ნამგლისა და სხვ. ფორმის კვერებს — ვაჟებისთვის, ხოლო გოგონებისთვის — საქსოვი ჯარის, კრუხ-წიწილისა და სხვ. ფორმის კვერებს. მევენახეს ქვევრის ფორმის კვერს უცხობდნენ, მეომარს — ფარის ფორმისას.

წინა დღით ტყიდან მოჰქონდათ შეშა და სარიტუალო ხე, რომელსაც ცეცხლში შეუკეთებდნენ. საახალწლო ცეცხლი რაც შეიძლება დიდხანს უნდა ყოფილიყო დანთებული.

ხევი: აცხობდნენ საკვლელს. იგი მხოლოდ ფიჩხის შეშაზე უნდა გამოეცხოთ. საკვლელს გულს ამოუღებდნენ და შიგ ჩადებდნენ შაქრის კვნიტიან ერბოს: „ერბო და პური ბარაქაა, შაქარი კი სიტკბოო“.

ტყიდან მოჰქონდათ ასკილის ტოტები, რომელთაც ჭრიდნენ და მთელ სახლში აწყობდნენ: ფქვილის კიდობანში, ბაგაში, სარკმლებზე. ამ რიტუალს დამახვილება ერქვა. ამით ქაჯ-ეშმაკს ჩავცემთ მახვილსო. ასკილის ტოტების გვერდით ნახშირის ნატეხებსაც აწყობდნენ ავი თვალის დასაფრთხობად.

ხევსურეთი: სამეკვლეოს — პურს დააჭრელებდნენ საჭრელებლით, რომლითაც გამოისახებოდა: ჯვარი, ხარი, სახნისი... ღამით ხატში მიდიოდნენ და ერთმანეთს ახალ წელს მიულოცავდნენ, მათ ხუცესი ლოცავდა.

ფშავი: ფშავის სამეკვლეოს გოგა ერქვა. ის ხატში მიჰქონდათ. ხევისბერი გოგას დაანაწილებდა, თაფლიან ჯამში ჩაყრიდა და ყველა მეკვლეს თითო ლუკმას მიაწვდიდა. ამის შემდეგ მეკვლეები მიდიოდნენ სოფელში და ყველა ოჯახს ახალ წელს მიულოცავდნენ.

მთიულეთი: ტყიდან მოჰქონდათ დიდი ხე — სახალწლო. ჩადებდნენ შუაცეცხლში და დიასახლისი მასზე აცხობდა ბედისკვერებს. მოჰქონდათ სხვა ხეც — ბებერა. მასზე მოგრეხილი წნელით ნეკერი უნდა ყოფილიყო შებ-

მხატვარმა-ეთნოლოგმა ვერა ბრაილაშვილმა ასე წარმოადგინა 1950-იანი წლების საახალწლო განწყობა გურიაში

საახალწლო განწყობა სვანეთში

მული. აქაც ხატში მიდიოდნენ, სადაც დეკანოზი ლოცავდა ხალხს.

გუდამაყარი: აქ ბებერა იფნის ხისა უნდა ყოფილიყო. ბებერას ცეცხლში ჩადების წინ თავში, შუაში და ბოლოში ჯვარედინად თაფლსა და ერბოს წაუსვამდნენ. ბებერაზე ბიჭს გადასვამდნენ, რომელსაც აუცილებლად უნდა გასცინებოდა. ეს ბიჭი დაილოცებოდა: „ღმერთო, დალოცვილო, შენი მახვეწარი ვართ, საქრისტიანოს დამაარსებელო, ბევრ წელიწადს ქრისტე გვალოცვინე! მშვიდობისი, რგებისი, გახარებისი, შენ ნუ დაღლევ ჩვენ სახლში, მაუმატე ბებრათ მამჭრელს, ბებერათ გამკეთებელს, ბებერათ გადამჯდომს. პურსა, წულსა, სუფველას მაუმატე“. საღამოს ხატში მიდიოდნენ, დეკანოზი თოვლს შემოატანინებდა ხატში და ხალხს გადააყრიდა, ასე თეთრად დამიბერდითო.

ქართლი: აცხობდნენ დიდ პურს, აგრეთვე პატარა კვერებს, რომლებსაც ბიჭებს მკლავზე ჩამოაცვამდნენ. ეს კვერები ბიჭებს წყალკურთხევამდე უნდა ეტარებინათ და იმ დღეს ეკლესიიდან მობრუნების შემდეგ ეჭამათ...

ტაბლაზე დააწყობდნენ მოხარშულ დედალს, საშობაოდ დაკლული ღორის მოხარშულ თავს, მოხარშულ კვერცხებს, ჩურჩხელებს, გოზინაყს, სარიტუალო პურებს. იქვე დადგამდნენ ღვინოს, ჯამით წყალს, თაფლს. თაფლში პურის ნატეხებს ჩაყრიდნენ და ანთებულ სანთლებს მიაკრავდნენ. ამ ტაბლას აბრამიანი ერქვა.

გამთენიისას ოჯახის უფროსი აბრამიანს ანთებული სანთლებით გარეთ გაიტანდა, სამჯერ შემოუვლიდა სახლს ლოცვით. მერე ბოსელში მივიდოდა, პირუტყვს მიულოცავდა. უკან დაბრუნებული აბრამიანს კერასთან დადგამდა. ცეცხლთან მივიდოდა, მუგუზალს აიღებდა, ცეცხლს შეუჩიჩხინებდა და ნაპერწკლები რომ გასცვივდებოდა, ხმამაღლა იტყოდა: — ამდენი ძროხა, ამდენი ხარი, ამდენი ღორი, ამდენი ფრინველი ჩვენს ოჯახსო. ჯამიდან თაფლიან ლუკმას აიღებდა და ოჯახის წევრებს ტკბილად დააბერებდა.

დილით ტყიდან მოჰქონდათ შეშა და სარიტუალო ხე — სათარი. ეს ხე მუხისა უნდა ყოფილიყო.

კახეთი: ტაბლაზე დააწყობდნენ მოხარშულ დედალს, საშობაოდ დაკლული ღორის მოხარშულ თავს, მოხარშულ კვერცხებს, ჩურჩხელებს, გოზინაყს, სარიტუალო პურებს... იქვე დადგამდნენ ღვინოს, ჯამით წყალს, თაფლს. თაფლში პურის ნატეხებს ჩაყრიდნენ — აქაც ოჯახის წევრთა „დასაბერებლად“. ამ ტაბლას საკვლევარი ერქვა.

მეკვლეს ცოცხალი ხის ტოტები მიჰქონდა ბედნიერების ნიშნად. კახელი კაცი დიდხანს გულდაგულ არჩევდა საახალწლოდ დასაწვავ ხეს, მთელ ღამეს რომ არ ჩამქრალიყო ცეცხლი. სჯეროდათ, ამით ოჯახს ღვთის წყალობა დაებედებაო.

გოზინაყი, აუცილებელი საახალწლო ატრიბუტი

* * *

თურქეთში, მარმარილოს ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ქართველები მოგვითხრობენ, როგორ ხვდებიან ისინი ახალ წელს: „წინასაახალწლო სამზადისი ერთი კვირით ადრე დაიწყება. ხეებს ისე ვეფერებით, როგორც ადამიანს, უფრო კარგი მოსავალი გვექნებაო. ესენი ცოცხლები არიან და მოფერება უნდათო. შემოდგომით, ხეზე აუცილებლად ტოვებენ ხილის ნაწილს, რომელსაც ახალი წლის წინა დღეებში კრეფენ — ბარაქის ნიშანიაო. კიდევ ჩიტისთვისაც ტოვებენ, ავი თვალისთვისაც.

ხილს საახალწლო დიდ კალათაში ჩავაწყობთ. ქალები ინდაურის ან მამლის საცივს ამზადებენ. თითქმის ისეთივეა, როგორიც აქაური, თბილისური. გემრიელ ქადებს აცხობენ (გოგრით, ნიგვზითა და შაქრით), ფაჰლავასაც, ნიგვზიან უშაქრო ქადებსაც. გოზინაყს თხილითა და შაქრიანი კარამელით ამზადებენ, ისიც საკმაოდ გემრიელია. კეჟერა ფხალი გვიყვარს ძალიან და პირველ თოვლში მოკრეფილს არაფერი სჯობს. ტოლმასაც (დაბეგვილი ხორცით ვამზადებთ) კეჟერა ფხალის ფოთლებში ვახვევთ. აუცილებლად ვამზადებთ ჩვენებურ საფირმო კერძს — შავფხალს ვეძახით, ერთმანეთშია არეული ღერღილი, ლობიო, სიმინდი, ცხვრის დუმა, კარაქი, წიწაკა, კეჟერა ფხალი... თონეში პურებსაც ვაცხობთ, ბატკანს ვწვავთ. ბადაგისგან ფაფარასაც (ჩვენებურ ფელამუშს) ვადუღებთ სიმინდის ფქვილით... შინდის შარბათსაც ვამზადებთ, ყურძნის წვენსაც... მჯადებს კეცზე აცხობენ ყურძნის ნეშოთი... რა ვიცი, კიდევ ათას რამეს აკეთებენ ჩვენი ქალები...

უმთავრესი საახალწლო ნუგბარი არის აშურაი — კალანდობის ტკბილი კერძი. აუცილებლად შვიდი ინგრედიენტისგან უნდა დამზადდეს და სიმრავლისა და ბარაქის სიმბოლოა (ნოეს კიდობანს უკავშირებენ). მოკლედ, აშურაი ხორბლის, თხილის, ნიგოზის, ქიშმიშის, თაფლის, შაქრის, ბროწეულის უგემრიელესი ნაზავია...

მთელი გვარი ან დიდი ოჯახი ერთად იკრიბება ახალ წელს. ახალგაზრდები ჩუმად დალევდნენ რახს და გამხიარულდებოდნენ. მთელ ღამეს ცეკვავდნენ და მხიარულობდნენ. დოლს დარბუკაზე (კეცზე გადაკრული ტყავი) უკრავდნენ ან სულაც სპილენძის ქვაბზე და ასე ქეიფობდნენ დილამდე. ჰეიამოზე, ანუ ალილოზეც მიდიოდნენ... ეს ტრადიციები თითქმის მთლიანადაა შენარჩუნებული ჩვენს ხალხში“.

მრავალ ახალ წელს დავსწრებოდეთ, ქართველებო!

როზეტა გუჯეჯიანი

დიდი ქართველების ბიოგრაფიები!
ეს ყველა ბავშვმა უნდა წაიკითხოს!

ჟურნალ "საბავშვო კარუსელის" ყოველ ნომერთან ერთად

წიგნის ფასი: 2.50
(ჟურნალთან ერთად 3.50)

უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!

ჰალილ-ბეგ მუსაიასული
და საქართველო

„ჩვენ, დაღესტნელებს, კიდევ ერთი შამილი გვყავდა, — აცხადებდა რასულ გამზათოვი, — ეს იყო ჰალილ-ბეგ მუსაიასული, ხელოვნების შამილი, გენიალური მხატვარი სოფელ ჭოხიდან. სამწუხაროდ, მისი საფლავი ოკეანის გაღმაა, ნიუ-იორკთან.
მისმა სწორედაც რომ დაღესტნურმა ნამუშევრებმა გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ირანში, თურქეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში საყოველთაო აღიარება და თანამედროვეთა აღტაცება მოიპოვეს. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენთან, ათეული წლების განმავლობაში არამცთუ არავინ აღფრთოვანებულა მისი სახელით, ნიჭით და მისი სიყვარულით სამშობლოსადმი, არამედ მისკენ გზაც კი მოჭრილი გვქონდა“.

ჰალილ-ბეგ მუსაიასული

დაღესტნელ მხატვარ ჰალილ-ბეგ მუსაიასულს (1897-1948), იმავე მუსაევს, გამორჩეული ადგილი უჭირავს XX საუკუნის დიდ კავკასიელ ხელოვანთა შორის. მისი პერსონალური გამოფენები სისტემატურად ეწყობოდა ევროპის, ამერიკისა და აზიის ქვეყნების დიდ ქალაქებში.

მსოფლიო ხელოვნების საგანძურის გამდიდრებისთვის მხატვრის ხელების მტევნების ტვიფრი ნიუ-იორკში, „მეტროპოლიტენ-მუზეუმში“ გამოფინეს.

ჰალილ-ბეგს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსა და ქართველებთან.

ჰალილი იყო ხუნძეთიდან, ჭოხის თემში მცხოვრები მანიჟალის თუხუმიდან (საგვარეულო გაერთიანება). მისი პაპა და მამა რუსეთის იმპერიის არმიაში მსახურობდნენ. პაპა — მაჰომედი (მოჰამა) პორუჩიკის ჩინით მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის ომში და 1877 წელს დაიღუპა ყარსის ციხესთან ბრძოლაში, ხოლო მამა — ლაიბგვარდიის პოლკოვნიკი ისრაფილი ჯერ იმპერატორ ალექსანდრე II-ის პირად დაცვაში მსახურობდა, შემ-

ჰალილ-ბეგ მუსაიასულის გერბი

დეგ კი დაღესტნის სამხედრო-სახალხო მმართველობაში სამხედრო ჩინოვნიკად.

დაღესტნის სასოფლო თემებში მოსახლეთაგან ყველა როდი სარგებლობდა თავისუფალ მეთემეთა ანუ უზდენთა უფლებებით. ასეთ კატეგორიას განეკუთვნებოდა გვიან მოსული მოსახლეობა — „აპარაგალ“ (დაქირავებული მუშები, მოწვეული ხელოსნები, სისხლის აღების შიშით გამოხვეწილნი და სხვ.).

ცალკე ჯგუფს წარმოადგენდნენ გადმოსახლებულები და სხვადასხვა დროს მომხდარ ბრძოლაში დატყვევებულთა ან ნაყიდ მონათა შთამომავლები, რომლებიც თუხუმებში ერთიანდებოდნენ. ასეთი ექვსი მრავალრიცხოვანი ჯგუფი ჭოხში ცხოვრობდა.

ჭოხის თუხუმები აღწერეს: 1882 წელს — ო. კარანაილოვმა, 1916 წელს — დ. ბუტაევმა, ხოლო 1927 წელს — ეთნოგრაფმა გრიგორი ჩურსინმა, თუმცა მათ მანიჟალის თუხუმი არ ახსენეს. ეს მით უფრო საკვირველია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ღუნიბის ოლქში მოგზაურობისას ჩურსინს მთარგმნელად ახლდა ჰალილის ძმა — აბდულკაირი, რომელმაც ეთნოგრაფს ჭოხში უმასპინძლა და იქაურ თუხუმთა შორის საკუთარი, მანიჟალის თუხუმი არ დაუსახელა.

საინტერესოა, რამ გამოიწვია ყოველივე ეს?

როგორც ჩანს, ამის მიზეზი ის იყო, რომ მანიჟალის თუხუმის წინაპარი ჭოხში ჩასახლდა სულ სხვა მხრიდან და თანაც, საკმაოდ გვიან. ჩვენი ვარაუდით, იგი უნდა ყოფილიყო საქართველოდან, კერძოდ, დაღესტნის მოსაზღვრე რეგიონიდან — კახეთიდან, სადაც დღემდე ცხოვრობს მანიჟაშვილების გვარი. 1995 წლის აღწერით, საქართველოში მოსახლე მანიჟაშვილთა საერთო რაოდენობა 410 კაცს შეადგენდა.

ჰალილის ცხოვრებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მნიშვნელოვანი პერიოდი დაკავშირებულია საქართველოსთან. 1910-1913 და 1916-1921 წლებში იგი სხვადასხვა დროს ცხოვრობდა ტფილისში, სადაც სწავლობდა და მონაწილეობდა გამოფენებში. მის ნაცნობ-მეგობართა შორის იყვნენ იმდროინდელი ქართველი საზოგადოებრიობის ცნობილი წარმომადგენლები, მათ შორის: გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ტიციან ტაბიძე, ოსკარ შმერლინგი, დიმიტრი შევარდნაძე, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, დავით კაკაბაძე, ქეთევან მაღალაშვილი, ირაკლი

ელენე დარიანის პორტრეტი (ტფილისი, 1921 წ.). კერძო კოლექციიდან



შალვა ქართველიშვილის პორტრეტი (ტფილისი, 1921 წ.). კერძო კოლექციიდან

იმამი შამილი თავის ნაიბებთან, ელისუს სულთან დანიელთან, ჰაჯი-მურატთან და მოლა შუაიბთან ერთად

ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილი, ევგენი ლანსერე და სხვები.

ჰალილმა დახატა არაერთი ქართველი მოღვაწე, მათ შორის: კომპოზიტორი თამარ ნიკოლოზის ასული ვახვახიშვილი (1893-1977), ადვოკატი შალვა ივანეს ძე ქართველიშვილი (1890-1937) — ივანე მაჩაბლის ქორწინების გარეშე დაბადებული ვაჟი და მისი მეუღლე, პოეტი ელენე თევდორეს ასული ბაქრაძე (1897-1979), ფსევდონიმით „ელენე დარიანი", თავადი ირაკლი გიორგის ძე ბაგრატიონი-მუხრანბატონიშვილი (1909-1977) და სხვ. ამ შესანიშნავი მხატვრული ნამუშევრების ნაწილი ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებსა და კერძო კოლექციებში.

რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, ახალგაზრდა დაღესტნელი მხატვარი, მრავალი ქართველი მამულიშვილის მსგავსად, ემიგრაციაში წავიდა. ქართველ ემიგრანტებთან იგი სიცოცხლის ბოლომდე მეგობრობდა.

დიდი ქართველი მხატვარი ლადო გუდიაშვილი წერდა: „მე ახლოს ვიცნობდი ჰალილს, ამ პირველ დაღესტნელ მხატვარს, დაღესტნური გამომსახველობითი ხელოვნების ფუძემდებელს. არასოდეს შემპარვია ეჭვი ამ გასაოცარი მხატვრის ნიჭში მისი მოღვაწეობის დასაწყისშიც კი. ჩვენი მეგობრობის დასტურად, ჰალილმა მაჩუქა თავისი ერთი უმშვენიერესი ნახატი, „ხუნძი ასული", რომელსაც დღემდე ვინახავ. ჰალილს ძალიან უყვარდა საქართველო, ხშირად ვმოგზაურობდით ერთად ქართულ ისტორიულ ძეგლთა მოსანახულებლად. ეს ჰალილს ეხმარებოდა თავისი შემოქმედებითი თვალსაწიერის გაფართოებასა და ახალი მწვერვალების დაპყრობაში..."

უცხოეთის ცის ქვეშ მცხოვრებმა დაღესტნელმა მხატვარმა პოპულარობა მოიპოვა.

მკვლევარ მანანა ხომერიკის ცნობით, მისი შემოქმედების ურიცხვ თაყვანისმცემელთა შორის იყვნენ იმდროინდელი მსოფლიოს არისტოკრატიის ზედაფენის წარმომადგენლებიც, კერძოდ, გერმანიის უკანასკნელი კაიზერის, ვილჰელმ II-ის ასული ლუდვიგა და ეგვიპტის პრინცესა კადრია მილექი.

პრინცესა მილექი იმდენად მოხიბლულა ჰალილ მუსაიასულით, რომ მასთან საკუთარი ბედის დაკავშირებაც კი მოუსურვებია. ვინაიდან მუსაიასულთა გვარი არ განეკუთვნებოდა არისტოკრატიას, მასთან შეუღლება პრინცე-

ჰალილ მუსაიასული (ეგვიპტე, 1928 წ.)

საადათი (არაბულად — „ბედნიერება")

მარცხნიდან: ქეთევან მაღალაშვილი, ჰალილ-ბეგ მუსაიასული, უცნობი, მუჩუტო ხუნდაძე.
ქვემოთ: რაჟდენ რუსიშვილი (მიუნხენი, 1925 წ.)

პრინცესა კადრია მილექის პორტრეტი

მელანი ოლივია იულია ფონ ნაგელის პორტრეტი

მარცხნიდან: გრიგოლ რობაქიძე, რაჟდენ რუსიშვილი, ჰალილ-ბეგ მუსაიასული (მიუნხენი, 1935 წ.)

სას მორგანატულად ჩაეთვლებოდა. ერთადერთი მონარქი იმდროინდელ მსოფლიოში, ვისაც დაღესტნელისთვის არისტოკრატიული წოდების მინიჭება შეეძლო, იყო ირანის შაჰინშაჰი. იგი ხომ სწორედ იმ სამეფოს ტახტზე იჯდა, ვისი შაჰინშაჰებიც, თავის დროზე, კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სხვა ქვეყნებთან ერთად, დაღესტანსაც ფლობდნენ.

ამიტომაც, პრინცესა კადრია მილექის თხოვნით, მისმა სიძემ, ირანის უკანასკნელმა შაჰინშაჰმა მოჰამად რეზა ფაჰლავიმ (რომლის პირველი მეუღლეც იყო ეგვიპტის მონარქ ფარუკის და — პრინცესა ფაჯზია), ჰალილს მიანიჭა ირანის ქვეშევრდომობა, ბეგის (ანუ აზნაურის) წოდება და გერბიც უბოძა.

მიუხედავად აღნიშნული წყალობისა, ზემოხსენებული ქორწინება ვერ შედგა. ირანის ბეგის რანგში აყვანილმა ჰალილ მუსაიასულმა 1939 წელს იქორწინა გერმანელი გენერლის ასულზე ბარონესა მელანი ოლივია იულია ფონ ნაგელზე (1908-2006), რომელიც პოეტი და არქიტექტურის პროფესორი გახლდათ.

II მსოფლიო ომის შემდეგ, ცოლ-ქმარი გადასახლდა აშშ-ში, სადაც ჰალილ-ბეგი 51 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, დაქვრივებული ბარონესა, დედა ჟერომეს სახელით, მონაზვნად აღიკვეცა. XX საუკუნის დასასრულს, მან ჰალილის ასი ნახატი და პირადი არქივის ნაწილი საჩუქრად გადასცა დაღესტანს.

ჰალილ-ბეგის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი რომანტიკული თხზულება „უკანასკნელ რაინდთა ქვეყანა“, რომელიც პირველად 1936 წელს მიუნხენში გერმანულ ენაზე გამოიცა, ხოლო შემდეგ ითარგმნა თურქულად, რუსულად და კიდევ რამდენიმე ენაზე.

ამრიგად, გამოჩენილ დაღესტნელ მხატვარ ჰალილ-ბეგ მუსაიასულს (მუსაევს) მჭიდრო შემოქმედებითი და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ქართველებთან.

გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ მისი უშუალო წინაპარი, ჭოხის თემში მოსახლე მანიჟალის თუხუმის დამაარსებელი, წარმოშობით იყო საქართველოდან, კერძოდ, კახეთის ერთ-ერთი მკვიდრი გვარიდან — მანიჟაშვილიდან.

ნიკო ჯავახიშვილი

ანდრია დადიანი

ჭადრაკის მეფე და „ბობოქარი" მიჯნური

ბევრისთვის ალბათ მოულოდნელობა იქნება, რომ ქართული პროფესიული ჭადრაკის სათავეში დგას ანდრია დადიანი — ეკატერინე ჭავჭავაძისა და დავით დადიანის ნაბოლარა ვაჟი.

პატარა ანდრიასთვის ჭადრაკის თამაში დედას უსწავლებია. ნამდვილი საჭადრაკო სკოლა კი ევროპაში გაიარა, სადაც ჭადრაკის მაესტროებს ხვდებოდა. ანდრიამ გერმანიასა და საფრანგეთში არაერთი საერთაშორისო ტურნირი მოაწყო, თავად კი 1903 წლის

მონტე კარლოს ტურნირის დროს გახდა ცნობილი, რომლის პრეზიდენტიც თვითონ გახლდათ. მისი თაოსნობით დაწესდა რამდენიმე პრიზი „ლამაზი პარტიებისთვის“. 1897 წელს ინგლისური ჟურნალი British Chess Magazine წერდა: „სამეგრელოს თავადის, დადიანის საჭადრაკო პარტიები საუცხოოა და საჭადრაკო ლიტერატურაში დარჩება როგორც შედევრი“.

დადიანს უთამაშია მსოფლიოს ისეთ ცნობილ მოჭადრაკეებთან, როგორებიც იყვნენ: ბერნსი, იგნაც კოლიში, როზენტალი, დიუბუა, შუმოვი. მიმოწერა ჰქონდა მსოფლიო ჩემპიონებთან, ვილჰელმ სტეინიცსა და ემანუელ ლასკერთან. ანდრია დადიანს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ასევე დიდ რუს მწერალ ივან ტურგენევთანაც.

ანდრია ოფიციალურად ატარებდა უბრწყინვალესი თავადის, მინგრელსკის წოდებას. მან 1873 წელს დაამთავრა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მსახურობდა ცარსკოე სელოში, ლაიბგვარდიის პოლკში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში (1877-1878 წწ.). ბალკანეთის ნახევარკუნძულის გათავისუფლებისას გამოჩენილი მამაცობისთვის ანდრია და მისი ძმა ნიკო ოქროს ხმლებით დაჯილდოვდნენ. 1879 წლიდან

ანდრია დადიანი ბავშვობაში

რუსეთ-თურქეთის ომის (1877-1878 წწ.) ერთ-ერთი ბრძოლა. ნიკოლაი დმიტრიევ-ორენბურგსკი. ზეთი, 1885 წ.

ანდრია დადიანი და პეტრე კოზლოვსკი ლაიბგვარდიის ჰუსართა პოლკის ფორმაში

ეწეოდა დიპლომატიურ საქმიანობას რომში, რუსეთის საელჩოში. ფლობდა რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, ესპანურ და იტალიურ ენებს. ანდრია ძალიან პოპულარული იყო იმპერიის ელიტარულ საზოგადოებასა და სამეფო კარზე.

თავადი ანდრია იმდენად მიმზიდველი მამაკაცი ყოფილა, რომ გერმანიის ერთ-ერთ გამომცემლობას ფერად საფოსტო ბარათზე მისი ფოტო დაუბეჭდავს დიდი ტირაჟით. ანდრიას არაერთი სასიყვარულო გატაცება ჰქონია და არც მშვენიერი ქალები ყოფილან მისდამი გულგრილი. თანამედროვეთა მოგონებებმა უბრწყინვალესი თავადის რამდენიმე სასიყვა-

რულო თავგადასავალი შემოინახა: „ერთხელ, ნევის პროსპექტზე ეტლით სეირნობისას, მოპირდაპირე მხარეს ანდრიას ლამაზი ქალი დაუნახავს. როცა გაცნობაზე უარი მიუღია, თავადს იგი პირდაპირ პროსპექტიდან მოუტაცია. ეს ამბავი პეტერბურგში სკანდალური გამხდარა, რადგან გატაცებული ქალი ერთ-ერთი გრაფის შვილი აღმოჩნდა, რომლის დედაც რუსეთის დედოფლის ფრეილინა იყო. იმპერატორს ანდრია დაუბარებია და ქალის ცოლად შერთვა უბრძანებია, მაგრამ დადიანს სასტიკი უარი განუცხადებია, რის შემდეგაც თავადი დროებით კიევში გადაასახლეს. მიუხედავად ასეთი „სასჯელისა“, ანდრია ქალების დევნას არ შეეშვა. როდესაც ერთ-ერთმა ფრანგმა ქალმა მის სიყვარულზე უარი თქვა, დადიანმა შურისძიება საკმაოდ დამამცირებელი ფორმით გამოხატა. მას, პარიზის ბაღში მოსეირნეს, დაუნახავს მისი უარმყოფელი ქალი, რომელიც კაფეში სხვა მამაკაცთან ერთად შამპანურს მიირთმევდა. ეს სასმელი მაშინ ევროპაში საკმაოდ ძვირად ღირებული სიამოვნება იყო. ანდრიამ ოფიციანტს იმავე კაფეში უმაღლესი ხარისხის შამპანური მოატანინა და ქალის დასანახად თავის ცხენს დაალევინა“.

ანდრია საკმაოდ ფიცხი, მაგრამ უბოროტო ადამიანი ყოფილა. რასაც არა მარტო მეგობრები, ოჯახის წევრებიც გრძნობდნენ. როცა მისი ბიძა, კონსტანტინე დადიანი გარდაცვლილა, შეტყობინების მიუხედავად, ანდრია ზუგდიდში რამდენიმე დღე არ გამოჩენილა. პროცესიას ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იონა მეუნარგია ხელმძღვანელობდა და რადგან დიდხანს ელოდნენ უმცროს დადიანს, გადაწყვიტეს, პროცესია დაძრულიყო.

სულ ცოტა ხანში ანდრიაც გამოჩნდა, ცხენზე ამხედრებული, ულაყს მეგობრებთან ერთად თავგანწირვით მოაგელვებდა. უბრწყინვალესი თავადი ხმალამოღებული მოჰქროდა...

მეუნარგიას ეს რომ დაუნახავს, გრიგოლ დადიანისთვის უჩურჩულია, მგონი დავიღუპეო და ბალდახინის ქვეშ შემძვრალა. იონა ისე გაპარულა თბილისში, რომ არავის უნახავს. ანდრია კი დიდხანს ემუქრებოდა იონას ყურის მოჭრით, როგორ თუ არ დამელოდა და ჩემს დაუტირებლად ბიძის დაკრძალვა გაბედაო.

სიცოცხლის ბოლო ოცი წელიწადი მინგრელსკიმ კიევში გაატარა, სადაც მდიდრული ორსართულიანი სასახლე აიშენა. ადრე დაავადდა, ხელის დამბლა მიიღო და ენა წაერთვა. გარდაიცვალა მარტოხელა. მისი ცხედარი დამ — სალომე მიურატმა საქართველოში ჩამოასვენა და მარტვილის საკათედრო ტაძარში დაკრძალა.

გიორგი კალანდია

რატომ შეჩერდა რუსეთის საეკლესიო ანექსია აფხაზეთში

სოხუმის ხედი
შუქურის კონცხის მხრიდან

რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა პერიოდსა და XXI საუკუნის დასაწყისის აფხაზეთში

(დასასრული. დასაწყისი იხილეთ „ისტორიანი“ №12, 2011 წ.)

რუსეთი XX საუკუნეშიც განაგრძობდა კავკასიაში თავისი იმპერიული და სტრატეგიული გეგმების განხორციელებას. მიუხედავად იმისა, რომ 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულებით, რუსეთმა უპირობოდ ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და ამასთან, აფხაზეთის ყოფნა საქართველოს შემადგენლობაში. ეს ფორმალობა ისეთივე ფარსი აღმოჩნდა, როგორც არაერთი ადრინდელი რუსეთსა და საქართველოს შორის ხელმოწერილი შეთანხმება. როცა 1921 წლის 21 თებერვალს საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ მოახდინა საქართველოს ოკუპაცია და გასაბჭოება, აფხაზეთი, საქართველოსთან ერთად (და მის შემადგენლობაში) გახდა საბჭოთა იმპერიის ნაწილი.

საბჭოთა მმართველობის პერიოდში აფხაზები რუსების მიერ იყვნენ წაქეზებულნი. აფხაზეთის მმართველობის ყველა სფეროში მაღალი თანამდებობების უმეტესობა მათ ეკავათ, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის ისინი აფხაზეთის მოსახლეობის მეხუთედსაც არ შეადგენდნენ. ამრიგად, მთელი საბჭოთა კავშირის არსებობის განმავლობაში აფხაზეთში წარმოებდა სხვა ეროვნებათა ეთნიკური დისკრიმინაცია აფხაზთა ეთნოკრატიის ხარჯზე.

აფხაზეთის ნომენკლატურა, რომელმაც 1980-იანი წლების დამლევიდან საქართველოსგან გამოყოფასა და რუსეთთან შეერთებაზე აიღო კურსი, პროვოკაციულად აღვივებდა აფხაზეთში ქართველთა წინააღმდეგ სიძულვილს და საბჭოთა კავშირის ხელისუფლებასაც აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფისკენ მოუწოდებდა. 1989 წლიდან სეპარატისტულ პროვოკაციებს მრავალი უდანაშაულო ადამიანი შეეწირა.

1991 წელს, აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა საბჭომ, რომლის უმრავლესობას აფხაზი სეპარატისტები შეადგენდნენ, აქტიურად დაიწყო აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფისკენ მიმართული საქმიანობა. 1992 წლის ზაფხულში აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ, რომელიც სეპარატისტული კურსისადმი

პროტესტის ნიშნად დატოვეს ქართველმა და სხვა ეროვნების დეპუტატებმა, უკანონოდ მიიღო რამდენიმე საკანონმდებლო აქტი, რომლითაც აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფა ცხადდებოდა.

მდგომარეობის გამოსასწორებლად, 1992 წლის 10 აგვისტოს, საქართველოს ხელისუფლებამ საკუთარ ტერიტორიაზე — აფხაზეთში საპოლიციო და შემდგომში, სამხედრო ნაწილების შეყვანის და რკინიგზისა და საავტომობილო მაგისტრალის დაცვის გადაწყვეტილება მიიღო, რაზეც მოხდა წინასწარი შეთანხმება აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან. თუმცა აფხაზეთის სეპარატისტულმა ლიდერებმა ცეცხლი გაუხსნეს ქართულ ნაწილებს ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონებში, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. სეპარატისტებმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით საქვეყნოდ განაცხადეს, რომ საქართველო თავს დაესხა აფხაზეთს და მოსახლეობის საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადეს. ასე დაიწყო ომი აფხაზეთში.

აფხაზეთში 1992-1993 წლების კონფლიქტის პირველივე დღიდან მესამე მხარედ რუსეთის ფედერაცია გამოვიდა, რომელსაც შუამავლის როლი მიეკუთვნა.

1993 წლის სექტემბერ-ოქტომბერში და 1994 წლის თებერვალში აფხაზეთში ქართული მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა და ეთნოწმენდა მიმდინარეობდა, 240 ათასი ქართველი ადგილობრივი მკვიდრი განდევნეს აფხაზეთიდან, სოხუმი დატოვა ლეგიტიმური ხელისუფლების — აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს წევრთა უმეტესობამ.

რუსეთის სპეცსამსახურების ხელშეწყობით გამოწვეული ერების დაპირისპირება, ომი და შედეგად ქართველთაგან საკუთარი მიწის იძულებით დატოვება უმძიმესი ტრაგედიაა ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში. ამისთვის რუსეთი ორი საუკუნე თანამიმდევრულად მოქმედებდა. ახლა კი იგი აქტიურად ახორციელებს აფხაზეთის ტერიტორიის რუსეთთან შეერთების პოლიტიკას.

აფხაზეთის ასიმილაციისთვის, ისევე როგორც წინა საუკუნეებში, ახლაც აქტიურად გამოიყენებოდა ეკლესიის თანადგომა.

მოქვის ეკლესია, X საუკუნის მეორე ნახევარი

XX საუკუნის დასაწყისში, როცა რეალური გახდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი, რუსეთის სინოდისა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა აფხაზეთის ეპარქიის საქართველოდან ჩამოშორება განიზრახეს, მაგრამ აფხაზმა პატრიოტებმა და სამღვდელოებამ ყველაფერი იღონეს, რათა ეს არ მომხდარიყო.

1917 წლის სექტემბერში, ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ საქართველოს პირველ საეკლესიო კრებაზე აღადგინეს აფხაზეთის ეპარქია, რომლის მწყემსმთავარს ცხუმელ-ბედიელი ეწოდა.

საბჭოთა კავშირის არსებობის წლებში ქართველთა და აფხაზთა დაპირისპირების პროპაგანდა გამუდმებით გრძელდებოდა, თუმცა გამოკვეთილი საეკლესიო რეფორმები და მოძრაობა არ შეიმჩნეოდა, საბჭოეთის ათეისტური იდეოლოგიის გამო და ამასთანავე იმ მიზეზით, რომ აფხაზეთიც და მთლიანად საქართველო იმპერიის შემადგენელი ნაწილები იყვნენ და ხელისუფლება მათ გაშვებას არსად აპირებდა.

აფხაზეთის ომის პერიოდში სეპარატისტები და მომხდურები განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენდნენ ღვთისმსახურებისადმი. ანგრევდნენ ეკლესიებს, საარტილერიო დაბომბვების დროს პირდაპირი დამიზნებით არაერთხელ მოარტყეს ჭურვები სოხუმის ხარების სახელობის საკათედრო ტაძარსა და სახლს, სადაც სასულიერო პირები ცხოვრობდნენ.

საქვეყნოდ ცნობილია წმინდა ადგილი სოხუმის მახლობლად — სოფელი კამანი. იქ ადრეული პერიოდიდან არსებობდა ქრისტიანული ეკლესია, რომელიც XX საუკუნის 80-იან წლებში აღადგინა აფხაზ ანუათა ოჯახმა. კამანის ეკლესიაში ასვენია წმინდა იოანე ოქროპირის სარკოფაგი, აქ არის დაკრძალული წმინდა ვასილისკო და სწორედ აქ ესვენა წმინდა იოანე ნათლისმცემლის მოკვეთილი თავი. სწორედ ამ მიდამოებში მიმდინარეობდა საბრძოლო მოქმედებები. კამანის წმინდა იოანე ოქროპირის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მამა ანდრია (ყურაშვილი) ამ ომის დროს მოწამებრივი სიკვდილით აღესრულა ტაძრის ტერიტორიაზე. ომს შეეწირნენ მამა სერგი, დედა მარია და სხვა არაერთი ღვთისმსახური. აფხაზეთის ომის განმავლობაში ქართველი მღვდლები და მონაზვნები ხშირად მიდიოდნენ ბრძოლის წინა ხაზზე, ნათლავდნენ მოუნათლავებს და აზიარებდნენ ქრისტიანებს.

წმინდა იოანე ოქროპირის სარკოფაგი კამანში

1990-იან წლებში ძნელი იყო იმის მიღწევა, რომ რუსეთსა და მის ეკლესიას დაეძლია უფროსი ძმის სინდრომი და საქართველოსთან თანასწორუფლებიანი ურთიერთობა ჰქონოდა. ეს ფაქტორი დღემდე არ არის ბოლომდე გადალახული. თუმცა მოხერხდა იმის მიღწევა, რომ ოფიციალურად რუსეთის ეკლესია აფხაზეთსა და სამაჩაბლოს საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ აღიარებს, მიუხედავად იმისა, რომ კრემლი ამ რეგიონების სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ცნობს.

სწორედ ამასთან დაკავშირებით 2008 წლის 6 ოქტომბერს გაიმართა რუსეთის საპატრიარქოს სინოდის სხდომა, სადაც გამოიკვეთა, რომ კრემლი დროებით დარჩა ეკლესიის თანადგომის გარეშე აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ საკითხში. საპატრიარქოს ოფიციალურ განცხადებებში მკვეთრად ისმის, რომ „ოსეთისა და აფხაზეთის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შემადგენლობაში შეყვანაზე ლაპარაკიც ზედმეტია“. როგორც წესი, ისტორიულად ასე იყო, სადაც მყარდებოდა რუსული გავლენა, მით უმეტეს კი შედიოდა რუსული სამხედრო ნაწილები, იქ შედიოდა რუსეთის საპატრიარქოც. მაგრამ ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის შემთხვევაში ასე არ მოხდა. წესით, რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასაც უნდა ეღიარებინა ის ე.წ. სახელმწიფოები, რომელთა დამოუკიდებლობაც რუსეთმა ცნო, მაგრამ მოსკოვის საპატრიარქო ჯერჯერობით აზრს არ იცვლის. მიუხედავად იმისა, რომ მას შეუძლია ჩვეული ხერხით „შეიფაროს“ ეს ეპარქიები და

ამის გასამართლებელი საბაბიც ადვილად იპოვოს. მაგრამ ამ შემთხვევაში არ გამოუვიდათ ეკლესიისა და სახელმწიფოს შეთანხმებული მოქმედება – რუსი მღვდლები არ გაჰყვნენ რუსულ ტანკებს.

თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ეს მხოლოდ ოფიციალური მხარეა, რეალურად კი რუსულ პოლიტიკურ ძალებთან ერთად აფხაზეთში რუსი მღვდელმსახურები, არქიტექტორ-რესტავრატორები და შესაბამისად, მრევლიც ჩნდება.

ჩნდება კითხვა: ნუთუ კანონიკისადმი ასეთი სიყვარულისა და მორჩილების გამო წავიდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფო პოლიტიკის კურსის საპირისპიროდ? რუსეთისთვის ეს მეტად უჩვეულო იქნებოდა. მოსკოვის საპატრიარქო იყენებს ტერმინს „კანონიკური ტერიტორია“ — სწორედ თავისი პოლიტიკის გასამართლებლად უკრაინისა და ესტონეთის მართლმადიდებელი ეკლესიებისადმი. საქართველოს ამ ეპარქიების აღიარებით, იგი მაშინვე დაკარგავს ამ ქვეყნების სამრევლოებზე პრეტენზიის უფლებას. მეორე მხრივ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იმ რამდენიმე ერთეულს მიეკუთვნება, რომელიც რიგ საკითხებში რუსეთის საპატრიარქოს მოკავშირეა საერთაშორისო მართლმადიდებლურ ურთიერთობებში.

მოსკოვისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოებს შორის არაერთ საკითხზეა დაპირისპირება. უპირველესია მსოფლიო მართლმადიდებლობაში გლობალური მმართველობის მოპოვების პრეტენზია. ასევე, ესტონეთისა და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიების საკითხი. ამ ორივე ქვეყანაში არსებობს მართლმადიდებელი ეკლესიები, რომელთაგან ერთნი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ არიან, მეორენი – მოსკოვის. ორივე ქვეყანაში კონსტანტინოპოლის საპატრიარქო მოიწვიეს იმისთვის, რომ ადგილობრივი მორწმუნეები არაკანონიერად ცნობდნენ რუსეთის მიერ მათი ეკლესიის საკუთარ იურისდიქციაში ძალდატანებით შეყვანას. იმდენად, რამდენადაც ორივე ქვეყანაში რუსეთის მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობს, ვერ ხდება კონსენსუსის მიღწევა. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია არც ერთი ავტოკეფალური ეკლესიის მიერ არ არის აღიარებული, ხოლო ესტონეთში პარალელურად არსებობს ორი მართლმადიდებელი ეკლესია, ერთი კონ-

ბედიის ტაძარი

სტანტინოპოლის, მეორე კი მოსკოვის დაქვემდებარებაში და ურთიერთობაც გამწვავებულია. საქართველოს საპატრიარქომ რომ აღიაროს უკრაინისა და ესტონეთის ეკლესიების ავტოკეფალია, იგი დაკარგავს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს. მოსკოვის საპატრიარქოს ტერიტორიულად მცირე და ეკონომიკურად შეჭირვებული ეპარქიის აღიარება კი მას დააკარგვინებს გაცილებით დიდ და ძლიერ ეკლესიებს უკრაინისა და ესტონეთის სახით. ასე რომ, რუსეთის ეკლესიის კანონიკისადმი მორჩილება მხოლოდ ფორმალობაა, რომლის უკანაც დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური გათვლებია.

აღსანიშნავია ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრული ძეგლების მდგომარეობა ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე. საერთო სურათი ძალზე სავალალოა. XI საუკუნის ილორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარმა, რომელიც ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, დღემდე თითქმის პირვანდელი სახით მოაღწია, ხოლო 2010 წელს ჩატარებული ე.წ. თვითნებური სარესტავრაციო სამუშაოების შემდეგ, როგორც სპეციალისტები განმარტავენ, ტაძრის ავთენტურობა დაირღვა. ე.წ. რესტავრირებული ტაძარი თეთრადაა გადაღებილი, ასევე შეთეთრებულია შიდა ინტერიერიც, რომელსაც შიგნით და გარეთ წითელი არშიები დაჰყვება. ტაძარს ზემოდან რუსული, ე.წ. ხახვის ფორმის გუმბათი დაადგეს, რომელიც უცხოა ქართული

არქიტექტურული სტილისთვის. გავრცელებული ინფორმაციით, ასევე იგეგმება X საუკუნის ბედიის მონასტრის აღდგენა. ცხადია, სარესტავრაციო სამუშაოებს ქართველი სპეციალისტების მაგივრად რუსი რესტავრატორები შეასრულებენ და მსგავსად ილორის ტაძრისა, მასაც რუსულ იერსახეს მისცემენ. ფაქტია, შეგნებულად ხდება აფხაზეთში ქართული კვალის წაშლა. ქართულმა მხარემ შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა ქართული ისტორიული ძეგლების ხელყოფის ფაქტებთან დაკავშირებით. ვიმედოვნებთ, რომ მსოფლიო სიძველეთა დაცვის ორგანიზაცია უფრო აქტიურად ჩაერთვება და მიზანმიმართულ ვანდალურ ქმედებებს აღკვეთს.

2009 წელს ე.წ. ბიჭვინთისა და სოხუმის ეპარქიის მმართველის მოვალეობის შემსრულებელმა ბესარიონ აპლიამ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს წერილი გაუგზავნა და „დამოუკიდებელი აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის“ შექმნისა და მისი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებიდან გამოსვლის კურთხევა ითხოვა. მის მიერ გავრცელებულ მიმართვის ტექსტში იგი ასევე სთხოვდა რუსეთის პატრიარქსა და წმინდა სინოდს, დახმარებოდა აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის „კანონიკური სტატუსის აღდგენაში“. ბესარიონ აპლიას ბიჭვინთა-სოხუმის ეპარქიის დამოუკიდებლობის სურვილი რომ არ ამოძრავებდა, ეს თავიდანვე ყველასთვის ნათელი იყო. მოგვიანებით, მან რამდენჯერმე მიმართა რუსეთის პატრიარქს კირილ II-ს აფხაზეთის ეპარქიის რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან შეერთების შესახებ. მართალია, მღვდელმთავარმა აპლიას თხოვნა ვერ დააკმაყოფილა, სამაგიეროდ, უმაღლესი საეკლესიო ორდენებით დააჯილდოვა.

ილორის ეკლესია. ზემოთ: XIX საუკუნის დასასრულის გამოსახულება. ქვემოთ: 2010 წელს გადაკეთებული ტაძარი, რუსული იერსახის გუმბათით

აღნიშნული საყოველთაო დარღვევების საპასუხოდ, საქართველოს წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია, რომლის მღვდელმთავარიც მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი) გახლდათ, 2010 წლის დეკემბრიდან უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ჩაიბარა. ამიერიდან მას ეწოდა: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა. ამ აქტით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმას, რომ აფხაზეთის ეკლესია, ისევე როგორც აფხაზეთი, საქართველოს ორგანული ნაწილია, ხოლო აქ არსებული საეკლესიო ხუროთმოძღვრული ტაძრების იურიდიული მესაკუთრე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაა.

2011 წლის დასაწყისიდან შეინიშნება ახალი მოძრაობის დაწყება აფხაზეთში, კერძოდ, სეპარატისტული აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ნაციონალისტურად განწყობილი სასულიერო პირების ერთი ჯგუფი დაუპირისპირდა აფხაზეთში მოქმედ პრორუსულად განწყობილ რუს და აფხაზ სასულიერო პირებს, რაც განხეთქილებად შეირაცხა. მანამდე, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის კირილისა და ბესარიონ აპლიას ერთობლივი გადაწყვეტილებით ახალი ათონის სვიმონ კანანელის სახელობის მონასტერში იერომონაზონ ანდრეის (ამპარი) ნაცვლად,

ახალი ათონის წმინდა სიმონ კანანელის სახელობის მონასტერი

ახალი წინამძღვარი, რუსი მღვდელმსახური, იღუმენი ეფრემი (ვინოგრადოვი) დაინიშნა, რომელმაც რუსი ბერების ჯგუფი ჩამოიყვანა და მონასტერში რუსული წეს-განგების დამკვიდრებას შეუდგა. ამის გამო აფხაზური მოსახლეობისა და სასულიერო პირების ერთმა ნაწილმა ბესარიონ აპლიას უნდობლობა გამოუცხადა.

2011 წლის 15 მაისს აფხაზეთში სახალხო-საეკლესიო კრება გაიმართა, რომლის შედეგადაც ახალგაზრდა სასულიერო პირების მიერ ახალი, „აფხაზეთის წმინდა მიტროპოლიის“ ჩამოყალიბება გაფორმდა, ოფიციალური რეზიდენციით ანაკოფია-ახალ ათონში. მის დროებით მმართველად კი არქიმანდრიტი დოროთე დბარი დაინიშნა, რომლის გუნდიც „პატრიოტული“ საწყისებით საზრდოობს. ბესარიონ აპლიას ე.წ. „დამოუკიდებელი აფხაზეთის ეკლესიის“ რეზიდენციად კი დღემდე სოხუმის საკათედრო ტაძარი ითვლება.

აღსანიშნავია, რომ „პატრიოტებმა“ იმავე ყრილობაზე მიიღეს გადაწყვეტილება, აფხაზეთის დამოუკიდებლობის გასაღები არა რუსეთში ან საქართველოში ეძებონ, არამედ ამ საქმეში ჩართონ კონსტანტინოპოლი, სადაც გაიგზავნა კიდეც შესაბამისი დოკუმენტი, დე ფაქტო აფხაზეთის ეკლესიის სტატუსის განსაზღვრის მოთხოვნით.

სწორედ ამ და სხვა არაერთ პრობლემურ საკითხზე სასაუბროდ შეხვდნენ საქართველოსა და რუსეთის მწყემსმთავრები 2011 წლის 26-27 ივლისს კიევ-პეჩორის ლავრაში. ამ შეხვედრაზე განიხილეს და დაგმეს განხეთქილება აფხაზეთის ეპარქიაში. რუსეთის პატრიარქმა კიდევ ერთხელ აღიარა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ. აღიარებას კი რუსეთისთვის ჩვეული საპირისპირო გამოსვლა მოჰყვა — რუსეთის პატრიარქი კირილი ამჯერად ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ოფიციალურად მიულოცა ალექსანდრ ანქვაბს აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის პოსტზე არჩევა.

დასკვნის სახით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ რუსეთის ინტერესი აფხაზეთისადმი ისტორიულად არ შეცვლილა. რომ არა რუსეთის მიზანმიმართული საეკლესიო ანექსია ამ ორ რეგიონში, პოლიტიკური პერიპეტიების მიუხედავად, საქართველოს ეკლესია შეძლებდა ამ ეპარქიებში საკუთარი გავლენის შენარჩუნებას. მიუხედავად იმისა, რომ XVIII საუკუნიდან მოყოლებული, რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება ერთობლივად მოქმედებდნენ შიდა თუ გარე პოლიტიკის გატარებისას, ამ შემთხვევაში რუსეთის ეკლესიამ ხელისუფლებისგან განსხვავებული პოზიცია აირჩია ამჯერად უკრაინისა და ესტონეთის ეკლესიების ხელში ჩასაგდებად. თუმცა მოსახერხებელ ჟამს, არც საერთაშორისო, საერთო მართლმადიდებლური კანონიკის დარღვევაზე იტყვიან უარს საქართველოს საეპარქიო საზღვრების დასარღვევად და საამისოდ აუცილებლად მოძებნიან გამამართლებელ საბუთებს.

ლელა გიორგაძე
ოქროპირ ჯიქური

მეფე ეშაფოტზე

ლუი XVI ბურბონის აღსასრული

1715 წელს საფრანგეთის მეფედ გამოცხადდა ლუი XV. მისი მმართველობის დროს აბსოლუტიზმის პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი უკიდურესად გაღრმავდა. სამი წარუმატებელი ომი, მონარქის გულგრილობა სახელმწიფო საქმეებისადმი, სამეფო კარისა თუ არისტოკრატიის უსაშველოდ გაზრდილი ხარჯები — ყოველივე ამან ქვეყნის ხაზინა გააჩანაგა. „ჩემს ცხოვრებაში მეყოფა, ხოლო ჩვენ შემდეგ თუნდაც წარღვნა მოხდესო“, — განაცხადა ლუი XV-მ. ცხადია, ასეთმა ფუქსავატურმა პოლიტიკამ ფრანგული მონარქიზმი კატასტროფამდე მიიყვანა. „წარღვნამ“ კი მომდევნო მონარქს — ლუი XVI-ს უწია.

1793 წლის 21 იანვარია. პარიზში სამარისებური სიჩუმე სუფევს. მხოლოდ ტამპლის კარიბჭესთან სუსტად გაისმა სასოწარკვეთილი ამოძახილი: „შეიწყალეთ! შეიწყალეთ!“ ყველაზე მეტად უჩვეულო კი ის არის, რომ ქალაქში 80 ათასი კაცი თითქოს მარილის სვეტებად ქცეულა. რევოლუციის სახელობის მოედანზე შეკრებილ ხალხში მოლოდინი იგრძნობა.

გაისმის დაფდაფების ხმა. ტამპლის ციხესიმაგრიდან ნელ-ნელა ეკიპაჟი გამოდის. მას სიკვდილმისჯილი გილიოტინისკენ მიჰყავს. თუმცა ამჯერად ეს არ არის უბრალოდ მორიგი პატიმარი. ამ ეკიპაჟში სრულიად განსაკუთრებული პერსონა იმყოფება — თვით საფრანგეთის მონარქი, მისი სამეფო უდიდებულესობა ლუი XVI ბურბონი. როგორ მოხდა, რომ ეს ტიტული, ეს რეგალიები უკვე აღარაფერს ნიშნავს? რატომ და როდის შეიცვალა ასე საფრანგეთი? ამ გადმოსახედიდან თითქოს ჯადოსნურ ზღაპარსაც კი დაემსგავსა „მეფე მზის“ — ლუი XIV-ის ეპოქა.

ლუი XVI თითქოს ვერაფერს ამჩნევს ირგვლივ და მომაკვდავის ლოცვებს კითხულობს. ეკიპაჟი რევოლუციის მოედანს მიუახლოვდა. მეფე ეტლიდან გადმოვიდა. კვლავ გაისმის დაფდაფების ხმა. „გაჩერდით!“ — შეჰყვირა ლუი XVI-მ. იგი ნელი ნაბიჯით ადის ეშაფოტზე. მონარქს, რომელსაც ერთ დროს მთელ ევროპაში საუკეთესო მკერავები ემსახურებოდნენ, ამჯერად სადად აცვია: ყავისფერი კამზოლი, ნაცრისფერი პანტალონები, თეთრი წინდები. და აი, მეფე ეშაფოტზეა. მან კამზოლი გაიხადა და თეთრი პერანგის ამარა დარჩა. ჯალათები მიუახლოვდნენ ხელების შესაკრავად, მეფე წინააღმეგობას უწევს მათ. მოძღვარმა, აბატმა ეჯუორთმა შეახსენა მონარქს, რომ სამყაროს მხსნელმა იესო ქრისტემაც თავმდაბლობით დაითმინა ყოველივე... ლუი XVI-ს ხელები შეუკრეს. მონარქმა ძალა მოიკრიბა, რათა უკანასკნელად მიმართოს ფრანგ ხალხს, ერთ დროს მის ქვეშევრდომად წოდებულთ. „ფრანგებო, მე უდანაშაულო ვკვდები, გეუბნებით ამას ეშაფოტიდან და ვემზადები ღმერთის წინაშე წარსადგომად. მე ყოველივეს ვაპატიებ ჩემს მტრებს, მსურს, რომ საფრანგეთი...“ — თუმცა მონარქის ბოლო სიტყვები ვეღარავინ გაიგო. დაფდაფებმა ლუი XVI-ის ხმა მთლიანად გადაფარა.

— ჯალათებო, შეასრულეთ თქვენი მოვალეობა! — გაისმა ბრძანება. ექვსმა ჯალათმა მეფე გილიოტინის დაფაზე მიაბა. აბატი მონარქისკენ დაიხარა უკანასკნელი დარიგების მისაცემად. რამდენიმე წამიც და გილიოტინის ბასრმა მახვილმა საფრანგეთის მეფეს თავი მოჰკვეთა. ლუი XVI, სრულიად ახალგაზრდა, 38 წლის ასაკში გამოეთხოვა სიცოცხლეს. ჯალათმა მეფის მოკვეთილი თავი მოედანზე შეკრებილთა დასანახად ჰაერში ასწია. აღფრთოვანებული ხალხის შეძახილებმა მეხვით გადაუარა იქაურობას: „გაუმარჯოს ნაციას! გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ ბედნიერი შეძახილები არ წყდება. გახარებული ხალხი ქუდებს აფრიალებს. სახალხო ზეიმს სტუდენტებიც უერთდებიან. მეფის დაღვრილ სისხლში ზოგი შუბის თავს აწობს, ზოგიც ცხვირსახოცს. ჯალათი ლუი XVI-ის თმას ყიდის... ხალხი მეფის კამზოლსაც ანაწევრებს თან წასაღებად.

გზა ეშაფოტისკენ

1774 წელს გარდაიცვალა საფრანგეთის მეფე ლუი XV. ტახტზე ავიდა მისი შვილიშვილი — 19 წლის ლუი XVI. სამწუხაროდ, ლუი XVI-ს არ აღმოაჩნდა მონარქისთვის აუცილებელი თვისებები, სახელმწიფო რომ ღირსეულად ემართა. ეპოქა და ვითარება სრულიად სხვა ტიპის მმართველს საჭიროებდა. ლუი XVI კეთილი და ლმობიერი ბუნების ადამიანი გახლდათ. მისი პიროვნული თვისებებიდან თანამედროვენი ასევე გამოყოფდნენ სუსტ ნებისყოფას, მორიდებულობას, მერყეობასა და ენერგიის უქონლობას.

ლუი XVI-მ იმთავითვე აღიქვა, რომ საფრანგეთის მთავარი პრობლემა იყო მოსახლეობის სიღარიბე და სიღატაკე. მონარქს ჭეშმარიტად შესტკიოდა გული ამ მდგომარეობის გამო. მაგრამ იმავდროულად ვერ გააცნობიერა მონარქიის არსებული მძიმე და რთული ვითარება. მისი მერყეობა და არაკომპეტენტურობა კიდევ უფრო საგანგაშო გარემოებებს ქმნიდა არსებული სისტემისთვის. მეფის გარემოცვაშიც არ აღმოჩნდა შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, რომელიც დაეხმარებოდა მას, რათა მიმდინარე პროცესებში გარკვეულიყო.

მონარქმა თავიდანვე აქტიური ეკონომიკური რეფორმების წარმართვა დაიწყო. ამ საქმეში მისი დასაყრდენი იყვნენ იმ პერიოდის ევროპის საუკეთესო ფინანსისტები: მიშელ ეტიენ ტიურგო და ჟაკ ნეკერი. ლუი XVI-ის

ლუი XVI ბურბონი

დედოფალმა მარია-ანტუანეტამ მძიმე ზეგავლენა იქონია მონარქის რეპუტაციაზე

მთელი მეფობის განმავლობაში დედოფალმა მარია-ანტუანეტამ და მისმა გარემოცვამ მძიმე ზეგავლენა იქონია მონარქის რეპუტაციაზე. სამეფო კარისა და დედოფლის დაუსრულებელი ბალ-მასკარადები, არისტოკრატიის ფუფუნება და განცხრომა, მაღალი წოდების სამღვდელოების დიდძალი ქონება — ამგვარ ფონზე ვერც ეკონომიკური რეფორმები იძლეოდა შედეგს. საბოლოო ჯამში, მეფისა და მისი აპარატის უუნარო ბრძოლამ მოუსავლიანობის, შიმშილის, მრავალი გადასახადის, სიდუხჭირისა და სიღატაკის წინააღმდეგ, საფრანგეთში ქაოსსა და რევოლუციურ პროცესს დაუდო საფუძველი.

1789-1792 წლებში განვითარებულმა მოვლენებმა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ბურბონთა აბსოლუტიზმს. რევოლუციამ ეტაპობრივად ყველა პრივილეგია და უფლებამოსილება ჩამოართვა ლუი XVI-ს. ომიანობამ, პოლიტიკურმა ინტრიგებმა, სამეფო ოჯახის ემიგრაციაში ფარულად გამგზავრების წარუმატებელმა მცდელობამ კი გამოუსწორებელი ზიანი ლუი XVI-ის სახელს მიაყენა.

დასასრულის დასაწყისი

1792 წლის 21 სექტემბერს რევოლუციის შედეგად აღზევებულმა ნაციონალურმა კონვენტმა (ითავსებდა უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ფუნქციებს) მეორე სხდომაზე ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო „საფრანგეთში სამეფო ხელისუფლების გაუქმების შესახებ“, საგანგებო კომისიას კი მეფის პირადი საბუთების შესწავლა დაევალა. სულ მალე კომისიამ განაცხადა, რომ მიმდინარე ეტაპზე უკვე საკმარისად აღმოაჩინა სამხილები მეფის სახელმწიფო ღალატში დასადანაშაულებლად. რევოლუციის პერიოდში ლუი XVI დიდ იმედს ამყარებდა მეზობელ მონარქისტულ სახელმწიფოებზე და მათი სამხედრო დახმარების გამოყენებით გეგმავდა საფრანგეთში არეულობის ლიკვიდაციას, საკუთარი ხელისუფლების აღდგენასა და ვითარების სტაბილიზაციას. მეფის ეს კურსი კონვენტის გადმოსახედიდან სახელმწიფო ღალატს ნიშნავდა. კონვენტმა შექმნა 21-წევრიანი კომისია, რომელსაც სასამართლო პროცესზე ლუი XVI-ის წინააღმდეგ უნდა შეემუშავებინა საბრალდებო დასკვნა.

ამასობაში კი ლუი XVI ოჯახთან (დედოფალთან, ორ შვილსა და დასთან) ერთად ტამ-

ნაციონალურ კონვენტში საფრანგეთის მეფის საკითხმა ცხარე კამათი გამოიწვია

პლის ციხესიმაგრეში ჰყავდათ დაპატიმრებული.

11 დეკემბერს ლუი XVI კონვენტის დარბაზში გამოცხადდა. მას ელოდებოდნენ საბრალდებო აქტის მოსასმენად და დასაკითხად. სამი საათის განმავლობაში ლუი XVI-მ 57 კითხვა მოისმინა, რის შემდეგაც მან დარბაზი დატოვა.

ტამპლის ციხეში დაბრუნებული მონარქი ოჯახს დააშორეს და ცალკე საპატიმროში მოათავსეს. სრულიად მარტომ გულწრფელი, მშვიდი და თავმდაბლური ანდერძი შეადგინა. კონვენტმა ხანგრძლივი დებატების შედეგად მისცა უფლება ლუი XVI-ს, თავისი შეხედულებისამებრ აერჩია ადვოკატი. ერთ დროს სახელოვანმა იურისტმა ტარჟემ უარი თქვა ლუი XVI-ის ადვოკატობაზე და მიზეზად ასაკი დაასახელა (54 წელი). სამაგიეროდ, დაახლოებით 10 წლით უფროსი ადვოკატი ტრონშე თანხმდება მეფის თხოვნას. აღსანიშნავია 70 წლის იურისტის, მალზერბის გამბედაობა, რომელმაც საკუთარი ინიციატივით იტვირთა მონარქის ადვოკატობა. „მე მოვალე ვარ მეფეს ვემსახურო სწორედ ახლა, როდესაც ბევრს ეს სახიფათოდ მიაჩნია“, — განაცხადა მალზერბმა. მეფის მესამე ადვოკატი ხდება ახალგაზრდა, ენერგიული და ნიჭიერი დე სეზი. სწორედ მას დაევალა დაცვის მხარის სიტყვის წარმოთქმა.

კონვენტი ჩქარობდა. საბოლოო ჯამში, კონვენტმა გადაწყვიტა, რომ ლუი XVI 26 დეკემბერს უნდა გამოცხადებულიყო თავის დასაცავად. დაცვის მხარემ თავისი უფლებისამებრ გააპროტესტა ეს გადაწყვეტილება. ადვოკატების აზრით, ასეთი სიჩქარე შესაძლოა საბედისწერო აღმოჩენილიყო ბრალდებულისთვის, მაგრამ კონვენტმა არ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა.

26 დეკემბერს, დილის 9 საათზე, ხალხით სავსე დარბაზში გამოჩნდა ლუი XVI თავის ადვოკატებთან ერთად. ბრძოლის ველზე დე სეზი გამოდის. ნაჩქარევად შედგენილ დაცვის სიტყვას ადვოკატი სამი საათის განმავლობაში ამცნობდა დარბაზში მსხდომთ. დე სეზის გამოსვლა იყო უკიდურესად ბრძნული, დახვეწილი და, იმავდროულად, გაბედულიც. ვიდრე დაცვის მხარე დარბაზს დატოვებდა მეფესთან ერთად, ლუი XVI-მ კონვენტის წინაშე უკანასკნელი სიტყვები წარმოთქვა: „ყველაზე მეტად ჩემს გულს თრგუნავს ის, რომ... მე ბრალს მდებენ ამა თუ იმ სისხლის ღვრაში ან სურვილში, დაღვრილიყო ფრანგული სისხლი“. დარბაზიდან გასვლის შემდეგ ადვოკატის გამოსვლით აღფრთოვანებული ლუი XVI დე სეზს მოეხვია და ცრემლმორეულმა შესძახა: „ჩემი საბრალო დე სეზი!“

მეფის წინააღმდეგ მიმდინარე პროცესში ლუი XVI-ის დასახმარებლად ერთვებიან მონარქისტული ესპანეთი და ინგლისი, თუმცა კონვენტი უყურადღებოდ ტოვებს მათ შუამდგომლობას. 1793 წლის 15 იანვარს კონვენტი კვლავ შეიკრიბა. იმ დღეს სამ საკითხს ეყარა

დაპატიმრებული ლუი XVI ტამპლის ციხესიმაგრეში. ჟან ფრანსუა გარნიე (1755-1837 წწ.)

ლუი XVI-ისა და მარია-ანტუანეტას მემორიალი სენ-დენის ბაზილიკაში

კენჭი: 1. დამნაშავეა თუ არა ლუი XVI თავისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებაში? — „დამნაშავეა“ (აბსოლუტური უმრავლესობით); 2. უნდა იყოს თუ არა კონვენტის გადაწყვეტილება საბოლოო, თუ საჭიროა მისი რატიფიკაციის მიზნით მთელი ერის განსახილველად გადაცემა? — „არ არის საჭირო“ (ორი ერთის წინააღმდეგ უმრავლესობით); 3. თუ ლუი დამნაშავეა, რა სასჯელს იმსახურებს იგი? — ამ საკითხის განხილვა მომდევნო დღისთვის გადაიდო.

სხდომა 16 იანვარს, დილით განახლდა. ღია კენჭისყრა უკიდურესად დაძაბულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. მეზობლად მდებარე ყავახანებში პარიზელები მოსალოდნელ გადაწყვეტილებაზე ნაძლევს დებდნენ. კენჭისყრა მთელ დღესა და ღამეს გაგრძელდა და მხოლოდ 17 იანვრის გვიან ღამით დასრულდა. დარბაზის სამარისებურ სიჩუმეში თავმჯდომარემ დელეგატებს შედეგები გააცნო: „განვაცხადებ, რომ კონვენტის სახელით, სასჯელი, რომელიც ეკისრება ლუი XVI-ს, არის სიკვდილი“ (სიკვდილით დასჯას 387-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, 334-მა დეპუტატმა — მეფის ციხეში ჩასმას). გადაწყვეტილების გამოცხადების უმალვე დარბაზში დე სეზი, ტრონშე და მალზერბი შევიდნენ. ადვოკატებმა მეფის სახელით პროტესტი განაცხადეს კენჭისყრის შედეგზე. დე სეზმა და ტრონშემ წამოაყენეს მოთხოვნა: საკითხის განხილვაში საფრანგეთის მთელი მოსახლეობა ჩართულიყო და სიკვდილით დასჯა გადადებულიყო. ცრემლმორეული მოხუცი მალზერბი, უკიდურესად ანერვიულებული და აღელვებული, გულწრფელად, მთელი თავისი ენერგიით ცდილობდა დაერწმუნებინა დეპუტატები დე სეზისა და ტრონშეს მოთხოვნის სისწორეში. ადვოკატთა მოთხოვნის ეს მხარე არ დააკმაყოფილეს. რაც შეეხება სიკვდილით დასჯის გადავადებას, ამასთან დაკავშირებით დეპუტატებმა კენჭისყრა მომდევნო დღისთვის გადაიტანეს. საბოლოო ჯამში, კვირას, დილის 3 საათზე, თავმჯდომარემ გადაწყვეტილება გამოაცხადა: „გადავადება უარყოფილია 70 ხმის უმრავლესობით. სიკვდილით დასჯა უნდა აღსრულდეს 24 საათის განმავლობაში!“

სამი ფუთი სიკვდილამდე

იუსტიციის მინისტრმა დომინიკ ჟოზე გარამ ტამპლში კონვენტის გადაწყვეტილება

გააცნო ლუი XVI-ს. მალზერბის ცნობით, მეფემ გარასგან შეტყობინება სრული სიმშვიდით მოისმინა და წარმოთქვა: „სიკვდილი მე არ მაშინებს, მე ღვთის მოწყალების იმედად ვარ“. მეფემ მოითხოვა სასულიერო პირი და სამი დღე მაინც სიკვდილისთვის მოსამზადებლად. კონვენტმა სამ დღესა და ყველანაირ გადავადებაზე უარი თქვა, მოძღვრის შესვლაზე კი დეპუტატებმა თანხმობა განაცხადეს. ყველაფერი ასე გადაწყდა! ერთგულმა ადვოკატებმა ყველაფერი მოიმოქმედეს, რაც შეეძლოთ, თუმცა უშედეგოდ. ლუი XVI-ს უკვე ვეღარავინ უშველიდა. იგი ტამპლის ყრუ, სქელ კედლებში იყო დაპატიმრებული და მისი წუთები — დათვლილი. ვერც მეფის მომხრე როიალისტური ძალები მოიმოქმედებენ რამეს, რევოლუციამ მათ დიდი დარტყმა მიაყენა და ახლა ემიგრაციაში იყვნენ გაფანტული. სიკვდილით დასჯის წინა ღამით მხოლოდ რამდენიმე ერთგულმა როიალისტმა მღვდელმა მეფის შეწყალებისა და გათავისუფლების მოთხოვნის პროკლამაციები გამოაკრა. კონვენტში გავრცელდა ხმა, თითქოს ლუი ჟოზეფ დე ბურბონი — პრინცი კონდე, სამეფო კარის ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელი, საიდუმლოდ პარიზში იმყოფებოდა და კონვენტზე როიალისტების თავდასხმა იგეგმებოდა. ქალაქის ხელისუფლებამ პატრული გაასამმაგა. არავითარი როიალისტური არმია არ გამოჩენილა და ვერც გამოჩნდებოდა.

ლუი XVI-სთან აბატი ეჯუორთი მივიდა. მეფემ ნათესავებისა და ახლობლებისთვის წერილები შეადგინა. ყველაზე საშინელი მომენტიც მოახლოვდა — ლუი XVI თავის ოჯახს საბოლოოდ გამოეშვიდობა.

21 იანვრის დილის 5 საათზე ლუი XVI კამერდინერმა კლერიმ გააღვიძა. კლერიმ მონარქი დავარცხნა, მოაწესრიგა. რვის ნახევარზე მეფე ეზიარა, შემდეგ კი აბატ ეჯუორთთან ერთად ლოცვა განაგრძო. რვა საათზე მუნიციპალიტეტის წევრები გამოჩნდნენ. მათ ჩაიბარეს მეფის პირადი ნივთები. ცხრა საათზე გაისმა ბრძანება: „დროა!“ ლუი XVI-მ ითხოვა, სამი წუთით განმარტოების საშუალება მიეცათ. სამი წუთიც გავიდა და... პროცესია გილიოტინისკენ დაიძრა.

მიხეილ ბარნოვი

„ჯალათმა მეფის მოკვეთილი თავი მოედანზე შეკრებილების დასანახად ჰაერში ასწია. აღფრთოვანებული ხალხის შეძახილებმა მეხივით გადაუარა იქაურობას...“



არჩილ ზოიძე (აბდულლაჰ ზორლუ): ჩემი გვარი უნდა დაბრუნდეს ამ მიწაზე!..

„მე ხომ ერთი სამშობლოდან „გაძევებული“ კაცი ვარ, რომელიც ისევ სამშობლოს ძახილს მოჰყვება უკან და უნდა სხვებიც გამოიყოლოს“

„მუდმივად მომავალზე უნდა ვიყუროთ“ — ეს ტარიელ ზოიძის სლოგანია!

პრემამბულა, ანუ ვინ არიან მუჰაჯირები

დავიწყოთ იმით, რომ 1590 წლის ირან-ოსმალეთის ზავით შაჰ აბას I-მა ოსმალეთს დაუთმო თითქმის მთელი სამხრეთი კავკასია. ამდენად, რეგიონის სხვა ტერიტორიათა შორის ოსმალეთის უღელქვეშ მოექცა ისედაც დანაწევრებული საქართველოს უმნიშვნელოვანესი ნაწილი: სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, ჭანეთი (ლაზეთი), ტაო-კლარჯეთი, შავშეთი, კოლა-არტაანი, სპერი... 1160 ქართული სოფელი შევიდა გურჯისტანის ვილაიეთში (ახალციხის საფაშოში).

აქედან მოყოლებული, თითქმის 300 წელიწადს გაგრძელდა ქვეყნის ძირძველ ნაწილზე ოსმალთა ბატონობა. ეს პერიოდი „საკმარისი“ აღმოჩნდა, რომ დაპყრობილი მართლმადიდებელი ქართველები გამუსლიმებულიყვნენ.

მას შემდეგ, რაც საქართველო კიდევ ერთი მტრის, რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომად იქცა, რუსეთმა თავისი პრეტენზიები თავდაპირველად მესხეთზე გამოაცხადა. 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ კი მისი ერთი ნაწილი — სამცხე-ჯავახეთი წაართვა კიდეც თურქ-ოსმალებს ადრიანოპოლის ზავით.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის კიდევ ერთი ომის დასრულებისას, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, აჭარა და მესხეთის დიდი ნაწილი (შავშეთი, იმერხევი, კლარჯეთი) საქართველოს დაუბრუნდა.

სამწუხაროდ, „სამშობლოში დაბრუნება“ ხანმოკლე გამოდგა. 1918 წელს ლენინმა ქართველთა დაუკითხავად ბრესტის ზავით (რუსეთი-გერმანია-თურქეთი) თურქეთს დაუბრუნა მესხეთის ნაწილი. იმავე ზავით თურქეთისთვის აჭარის „დაბრუნებაც“ იყო გადაწყვეტილი, მაგრამ საბედნიეროდ, გიორგი მაზნიაშვილისა და სხვა უდიდეს ქართველ პატრიოტთა თავდადებით აჭარა საქართველოს შემადგენლობაში დარჩა.

სანამ „ახლო და შორეული მეზობლები“ საქართველოს უძველეს მიწას აქეთ-იქით ანაწილებდნენ და აქუცმაცებდნენ, ბუნებრივია, ეს პროცესები ყველაზე ტრაგიკულად მოსახლეობაზე აისახებოდა.

თითქოს ის არ გვეყოფოდა, რომ ქართველთა ტერიტორიები ქვეყნისგან მოწყვეტილი აღმოჩნდა. არანაკლებ ტრაგიკული ფურცელია საქართველოს ისტორიაში მუჰაჯირობა.

მუჰაჯირი არაბული სიტყვაა და სამშობლოდან სხვა ქვეყანაში გადასახლებულს, გადახვეწილს ნიშნავს.

მუჰაჯირობის პირველმა ტალღამ 1829 წელს გადაუარა სამცხე-ჯავახეთს, როცა იქაურობა ლამის მთლიანად დაიცალა ქართველი მუსლიმებისგან. იგივე გამეორდა ათწლეულების შემდეგ აჭარასა და მესხეთში, ვერც აფხაზეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაურჩა მუჰაჯირობას.

საქართველოს ქართველთაგან დაცლა შედიოდა როგორც რუსეთის, ასევე ოსმალეთის ინტერესებში. ოსმალეთი ქართველი მუჰაჯირებით ითვისებდა დაუსახლებელ ტერიტორიებს, ხოლო რუსეთი „გამოთავისუფლებულ“ მიწა-წყალს მიზანმიმართული კოლონიზაციისთვის იყენებდა.

ოსმალი ემისრები აშინებდნენ მაჰმადიან ქართველებს, რომ რუსები მათ რელიგიურ მრწამსს შეურაცხყოფდნენ, ძალდატანებით გააქრისტიანებდნენ, ხოლო მართლმორწმუნე ოსმალები იზრუნებენ, რათა ცხოვრებისთვის შესაფერისი პირობები შეგიქმნან ჩვენს ქვეყანაში გადმოსახლებულთო...

მუჰაჯირობის შედეგად თითქმის მთლიანად დაიცალა მურღულის ხეობა (ეს ის ხეობაა, მოგვიანებით ლენინმა თურქეთს რომ „უსახსოვრა“). ბევრი გადასახლდა ქვემო გურიიდან, გონიოდან, ქვემო აჭარიდან.

მიდიოდნენ ურმებით, უვარგისი გემებით... არაერთი ემსხვერპლა სიცივეს, აბობოქრებულ ზღვას, შიმშილს, ეპიდემიას... სამშობლოდან გადახვეწილნი დასახლდნენ დასავლეთ თურქეთში, მარმარილოს ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სტამბოლსა და თურქეთის სხვა ქალაქებში.

მუჰაჯირობის შესაჩერებლად თავი არ დაუზოგავთ ღვაწლმოსილ მამულიშვილებს: ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს, გიორგი წერეთელს, სერგეი მესხს, გიორგი გურიელს, გიორგი ყაზბეგს... მუჰაჯირთა ერთი ნაწილი უკან დაბრუნდა, პროცესი კი შენელდა... უმეტესობა კი სამშობლოსგან მოწყვეტილი აღმოჩნდა.

მუჰაჯირობა კარგა ხანს ტაბუდადებული თემა იყო როგორც საქართველოში, ასევე თურქეთში...

მუჰაჯირები

„ქართველივით ვაჭკაცურად უნდა იცეკვო!..“

აბდულლაჰ ზორლუს, 11 წლის მეხუთეკლასელ ბიჭს, ცეკვა უყვარდა. ტანად პატარა კი იყო, მაგრამ ისე კარგად ცეკვავდა, სკოლის ანსამბლის სოლისტად შეარჩიეს. კონცერტისთვის ემზადებოდა და რეპეტიციიდან შინ მოსულმა ბაბუას ახარა, ახალი ილეთები ვისწავლეო და თურქულად „დაუარა“ სხეულის რხევით. ბაბუა ფეხზე წამოიჭრა და შექების ნაცვლად გაუბრაზდა: — ქართველი ბიჭი ტ...ის თამაშით როგორ იწონებ თავს. შენი წინაპრები, ქართველები, ვაჭკაცურად ცეკვავენ, თითის წვერებზე დგებიან და ხანჯლებს ატრიალებენ... იცოდე, ჩვენ ქართველები ვართო!

პირველად მაშინ გაიგო, რომ... ქართველი იყო! და რომ ბაბუამისი (დედის მამა) ქაზიმი გონეჯი კი არა, ბარამიძე ყოფილა. ასე გაჩნდა პირველი სერიოზული კითხვის ნიშანი მის ცხოვრებაში.

აბდულლაჰის ოჯახი მარმარილოს ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდა, ქალაქ იზმითში. მა-

მა — ომარ ფარუგ ზორლუ ქოჯაელის ვილაიეთში ყველაზე დიდი ქაღალდის ქარხნის დირექტორი იყო.

იმ დღეს, სკოლაში გარმონის ხმას მოჰკრა ყური. სხვა კლასის ანსამბლი მისთვის უცნობ ცეკვას ასრულებდა. დარბაზში შეიხედა და ბაბუას სიტყვებმა ისევ შეახსენეს თავი: — შენ ქართველი ხარ!

მამას „ულტიმატუმი“ წაუყენა: — შენ ხომ ქარხნის დირექტორი ხარ, ჰოდა ჩემი სკოლის დირექტორს უთხარი, მურთაზ ბეგის კლასის დამთავრება მინდა. იქ მგონი ქართულ ცეკვებს ასწავლიან და იმ ანსამბლში უნდა ვიცეკვოო.

მამამ კი სთხოვა „კოლეგა“ დირექტორს, მაგრამ... შენი შვილი სოლისტია და ვერაფრით ვერ გადავიყვანთ სხვა ანსამბლშიო.

მერე ფეხბურთმა გაიტაცა. 11 ნომრით თამაშობდა და 12 წლისა თურქეთის ჩემპიონი გახდა. სტაჟირება მიუნხენის „ბაიერნის“ გუნდში გაიარა... ფეხბურთში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ქართული ცეკვის დარდი არა და არ ასვენებდა.

ᲡᲐᲛᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ

მართლა ასე იყო. იცოდა, რომ „საქართველო“ იყო ართვინი, შავშეთი, არხავი, არტანუჯი, იუსუფელი, არტაანი, თორთუმი, ბორჩხა, მარადიდი, მაჭახელი... სხვა საქართველოზე ყურმოკვრითაც არ იცოდა არაფერი.

მოგვიანებით, ლიცეუმში ართვინულ ხალხურ ცეკვებს სწავლობდა. იქ შეიტყო, რომ იზმითში ერთ დროს ქართული სათვისტომო ყოფილა (გასული საუკუნის 70-იან წლებში). ისიც „გაიხსენა“, რომ თვითონაც ქართველი იყო. ცეკვის მასწავლებელმა მუსტაფა უზუნმა (გამეშიძემ) კი ბევრი რამ უამბო ქართველებსა და საქართველოზე. ასე „ნაპოვნი“ სამშობლოს სიყვარულს ცეკვით გამოხატავდა. მუსტაფასგან ქართული ცეკვების ერთი უბრალო მოძრაობაც არ დაუტოვებია უსწავლელი.

1984 წელს მის ქალაქში სუხიშვილების ანსამბლმა გამართა კონცერტი. პირველ რიგში იჯდა. გულმა არ გაუძლო და კულისებამდე ააღწია. უნაკლოდ იმეორებდა კულისებში „თანამემამულეთა“ მიერ შესრულებული ცეცხლოვანი ცეკვების ურთულეს ილეთებს. ერთ ქართველ სოლისტს (რომლის გვარიც, სამწუხაროდ, ვერც იკითხა) ისე მოეწონა ახალგაზრდა მოცეკვავე, დაუძახა და ჰკითხა, ქართული ცეკვები ასე კარგად სად ისწავლეო.

— მე ქართველი ვარ! — უპასუხა ამაყად, ოღონდ ეს სამად სამი სიტყვა იყო, მაშინ რომ იცოდა ქართულად!

ქართველმა მოცეკვავემ კონცერტის შემდეგ სთხოვა, დამელოდეო და კულისებში მის თვალწინ გაიხადა აჭარული ფორმა, ასე ძალიან რომ მოსწონდა აბდულლაჰს. დანანებით ადევნებდა თვალს, როგორ ათავსებდა საგანგებოდ შეკერილ ტომარაში ქართველი მოცეკვავე აჭარულ სამოსს. მერე კი ისეთი რამ მოხდა, მხოლოდ ზღაპარში თუ წარმოიდგენდა: ქართველმა მოცეკვავემ ეს ტომარა აბდულლაჰს გადააწოდა და უთხრა, — ჩემგან სახსოვრად გქონდესო!

იმ პირველ ქართულ სამოსს დღემდე ინახავს.

სტამბოლის უნივერსიტეტში სწავლისას (საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი დაამთავრა) „შამილის ფონდის“ კავკასიურ ანსამბლში ცეკვავდა. მის შესახებ იბერია მელაშვილს, ქართული დიასპორის პირველი ლიდერის, აჰმედ მელაშვილის (1981 წლის 5 ივ-

არჩილ ზოიძის დაარსებული პირველი ფოლკლორული ანსამბლი. 1987 წ.

ლისს მოკლეს) ვაჟს გაუგია, ერთი ბიჭია და ქართულად ცეკვავს, სუხიშვილების მოცეკვავეების „კოპიოაო“... მათი მეგობრობაც აქედან დაიწყო.

საქართველოს „საძიებლად“

1987 წელს ქალაქ ბურსაში ქართული სათვისტომო ჩამოაყალიბა და ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლიც შექმნა.

მომდევნო წელს საქართველოში ჩამოვიდა ქართული დიასპორის დელეგაციასთან ერთად. ახალგაზრდა, მაგრამ თურქეთში უკვე ცნობილი ადვოკატი იყო. 18 წლისას ჟურნალი „ჩვენებურები“ ჩაუვარდა ხელში და სახელი არჩილი საკუთარ თავს თვითონვე შეურჩია. გვარიც საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ „შეიძინა“. სავარაუდოდ, მისი შორეული წინაპრები ზუბალაშვილები თუ ზუბადალაშვილები ყოფილან. „დროებით“ ზოიძე გახდა, ბათუმელი ახლობლების პატივსაცემად ატარებს ამ გვარს, სანამ თავის ნამდვილ გვარს „იპოვის“...

1990 წელს იზმითშიც გახსნა ქართული სათვისტომო. აქედან გადაიდგა პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოსა და თურქეთში მცხოვრები ქართველების დასაახლოებლად. პირველ წელს სამი სტუდენტი ჩამოიყვანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლებლად. სამთავრობო დონეზე დამტკიცდა თურქეთიდან ჩამოყვანილი ახალგაზრდების საქართველოში სწავლების პროექტი. ყოველი ჩამოსვლისას დედა ენის სახელმძღვანელოებითა და ქართული კულტურის ისტორიის ამსახველი ლიტერატურით დატვირთული ბრუნდებოდნენ უკან.

არჩილი: — 1994 წლამდე 150 ახალგაზრდა სწავლობდა საქართველოში. მერე ერთხანს ყველაფერი აირია. ქართულ დიპლომსაც ფასი აღარ ჰქონდა და აღარც შვილებს აგზავნიდნენ თბილისში. საბედნიეროდ, დღეისათვის სიტუაცია შეიცვალა. ახლა თურქეთში 50 ნიჭიერი ახალგაზრდა ემზადება (ქართულ ენას ეუფლებიან), გაისად რომ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩააბარონ. მიხარია, რომ ჩემი სიტყვით გზავნიან შვილებს საქართველოში.

მის წინაპარს გვარი ათათურქმა უბოძა...

აბდულლაჰს, არჩილის ბაბუას, ექვსი ძმა ჰყოლია. შვიდივენი სულთანთან დაახლოებული ყოფილან (ერთ-ერთ ძმას, ჰასანს, მუსტაფა ქემალ ათათურქი გვერდიდან არ იშორებდაო) და თურქეთის ომში თავდადებისთვის ორდენებიც მიუღიათ. ღვთის მადლით, შვიდივე ძმა გადარჩენილა სასტიკ ომში და ათათურქს მათთვის „ზორლუ“ უწოდებია, რაც თურქულად ძალიან ძლიერს ნიშნავს. აქედან მოდის მათი თურქული გვარიც — ზორლუ.

ქორწილი იზმითში

არჩილი ლეგენდასავით შემორჩენილ ამბავსაც იხსენებს თავისი შორეული წინაპრის, ქრისტიანობისთვის წამებული ბაბუის შესახებ. თავის დროზე მას ვერც სჯული შეაცვლევინეს და ვერც სამშობლოზე ათქმევინეს უარი თურმე... ერთი ამბავი კიდევ ბაბუამისისგან ახსოვს, — მამიდა გვყავდა ერთი, ბათუმის ეკლესიაში აღიკვეცა მონაზვნად და ასე გადაურჩა თურქეთში გადახვეწასო. არჩილმა მიაგნო ძველ საეკლესიო დავთრებში იმ სავარაუდო შორეული მამიდის, ვინმე ზუბალაშვილის თუ ზუბადალაშვილის კვალს...

ათასკაციანი ქორწილი

ამ ქორწილს დღესაც იხსენებენ იზმითში.

...23 წლისა იყო, როცა სეიჰანს შეხვდა. ქართველი ქალის გარდა ცოლს არ მოვიყვანო, მეგობრებს გამოუტყდა და ერთ-ერთმაც უთხრა, ჩემი ახლობელი ქართველი ლამაზი გოგო უნდა გაჩვენო, ოღონდ ჯერ ძალიან პატარაააო. დაუფიქრებლად გაჰყვა „ქალის სანახავად“. დაძახება არ დასჭირვებიათ, პირველი სართულის აივანზე იდგა სეიჰანი. მუქი მწვანე თვალებით მოხიბლა. 15 წლისა იყო და მაშინ ვინ გაათხოვებდა.

არჩილ ზოიძე პატრიარქთან

ყველაფერი „იქაური ქართული“ ტრადიციის მიხედვით წარიმართა. ექვსი წელიწადი შეყვარებულები იყვნენ, აქედან სამი — დანიშნულები. ქორწილამდე ერაყში მოუწია გამგზავრებამ საომრად. სპეცნაწილის წევრი იყო და 16-კაციან ჯგუფს ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა ლეიტენანტი.

ერაყიდან დაბრუნების შემდეგ სეიჰანი გამოუტყდა, დიდხანს ვქარგავდი ოქრომკედით საქორწინო კაბასო (ომში წასვლამდე საქმრომ „ულტიმატუმი“ წაუყენა, ქორწილში შენი შეკერილი და მოქარგული კაბა უნდა გეცვასო!).

და მართლაც, ქორწილზე სეიჰანს ქართული ორნამენტებით ნაქარგი კაბა ეცვა, არჩილს — ქართული ჩოხა!

ათასკაციანი ქორწილის სტუმართა შორის გამორჩეული ადგილი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს ეჭირა, რომლის ხელმძღვანელიც ნეფე იყო. არა მხოლოდ ხელმძღვანელი, ანსამბლის სოლისტიც იყო არჩილი, სეიჰანიც სოლისტი იყო. ამიტომაც მათი ქორწილი სადღესასწაულო კონცერტს უფრო ჰგავდა...

ის თავისი საპატარძლო კაბა სკივრში არ შეუნახავს სეიჰანს. მისი მსგავსი კიდევ ორი შეიკერა პატარძლის დიზაინით და „სამაიას“ ამ კაბებით მერე დიდხანს ცეკვავდნენ.

პატრიარქმა ბევრჯერ მითხრა, ჩემი შვილობილი ხარო...

არჩილი: — ახალდაქორწინებულები საქართველოში ჩამოვედით. გულმა არ მომითმინა და პატრიარქთან მივიყვანე სეიჰანი. მანამდეც მივდიოდი ხოლმე უწმინდეს და უნეტარეს ილია მეორესთან. მაშინაც და ახლაც, როცა მხედავს, თვალები სითბოთი აევსება ხოლმე. გაოცებული ვარ, საიდან მოდის ამხელა სიყვარული, მე ხომ მისთვის ერთი სამშობლოდან „გაძევებული“ კაცი ვარ, რომელიც ისევ სამშობლოს ძახილს მოჰყვება უკან და უნდა, სხვებიც გამოიყოლოს... რა ვიცი, ალბათ ეს ჩემი სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარული დაინახა და ამიტომ ვუყვარვარ. ვიცი, ვუყვარვარ... მარტო მე კი არა, ყველა მუჰაჯირი უყვარს. ჩემი შვილობილი ხარო, ბევრჯერ მითხრა და მასთან ყოველი სტუმრობა თითქოს მეც სიცოცხლეს მმატებს და მავალებს, ერთგულად ვემსახურო ჩემს ქართველებსა და საქართველოს, თურქეთშიცა და საქართველოშიც.

საქართველოზე ფიქრით

დიახ, საქართველოზე ფიქრით და მუჰაჯირთა საქართველოსთან დასაახლოებლად იქმნება ქართველთა სათვისტომოები ბურსაში, იზმითში, გოლჯუკში; საქართველოს ხელოვნების ცენტრი სტამბოლში; ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები თითქმის ყველა დიდ დასახლებულ პუნქტში...

არჩილი: „თურქეთის პარლამენტში რომ მუჰაჯირთა გათურქების კანონი დაუმტკიცებიათ ჩუმად, ახლახან გავიგეთ. თუმცა უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს აღარ გვიკრძალავენ ქართული ენის სწავლებას. ბევრი მუჰაჯირი და მათ შორის მეც მთელი ოჯახით, ორმაგი მოქალაქეები ვართ.

საქართველოში, როგორც გითხარით, 90-იანი წლებიდან უფრო ხშირად ჩამოვდიოდი ანსამბლთან ერთად. 2001 წელს ბაიარ შაჰინიც ჩამოვიყვანეთ. კონცერტები გავმართეთ ბათუმში, ქუთაისში, გორში, თბილისში... აქედან გაიცნეს ქართველებმა ბაიარი და აქედან დაიწყო მისი პოპულარობა.

წლის ბოლოს კიდევ ერთი ქართული კულ-

იმერხევში გამართულ მარიამობის დღესასწაულზე

ტურის ცენტრი გავხსენით ქოჯაელის ვილაიეთში და მინდა, მსგავსი ცენტრები ყველგან გაიხსნას, სადაც კი ჩვენი ხალხი ცხოვრობს. გული მწყდება, რომ იქ უფრო ადვილია ქართველობის დაკარგვა და მინდა ხელი შევუწყო, რომ ქართველებმა ქართველობა არ დაკარგონ“.

იქაურ ქართველ ბიჭებს ფეხბურთშიც აოსტატებს არჩილ ზოიძე. „ქოჯაელისპორის“ ვიცე-პრეზიდენტია. ეს გუნდი თურქეთის ჩემპიონატის მეორე ლიგაში თამაშობს და პირველში გადასასვლელად ემზადება.

ამდენი სათვისტომო თუ კულტურის ცენტრი, სოლიდური საადვოკატო ფირმა, მცირე ბიზნესი თბილისშიც, ახლა კიდევ ფეხბურთელთა გუნდის ვიცე-პრეზიდენტობა... თბილისიდან იზმითამდე 1600 კილომეტრია. თვეში ზოგჯერ რამდენჯერმე უხდება ამ მანძილის „დაფარვა“ ხან თვითმფრინავით და არცთუ იშვიათად მანქანით, რომლის საჭესაც თვითონ უზის.

— ეს ყველაფერი ჩემს საქართველოზე ფიქრით მოდის, თორემ თურქეთში ჩემნაირი ადვოკატი ბევრი კი არ ჰყავთ, ვიქნებოდი ჩემთვის მშვიდად იზმითში ან სულაც სტამბოლში ვიცხოვრებდი და არც ამდენი სადარდებელი მექნებოდაო, — გვითხრა.

ოჯახი და ტრადიციები

არჩილის ოჯახი ახლა ქალაქ გოლჯუკში ცხოვრობს, ოფისი იზმითში აქვს, თურქეთში ცნობილ საადვოკატო ფირმას ხელმძღვანელობს. მამამისს, ომარ ფარუგ ზორლუს საბუღალტრო ფირმა აქვს და სეიჰანიც იქ მუშაობს. ძმა არსენ (ახმედ) ზორლუ (ზოიძე) თურქეთის ჯანდაცვის სამინისტროს ექიმია იზმითში. საერთაშორისო დახმარების ფონდშიც მუშაობს (საავადმყოფო ააშენეს პაკისტანში). და — აიშენ (მაია) ქოჯაელის ვილაიეთის ბიზნესმენთა კავშირის მთავარი ბუღალტერია, ქმარიც ქართველი ჰყავს — სუათ (სოსო) გაბრიელაძე და სამ შვილსაც ზრდიან.

არჩილი: — დიდი ოჯახი გვაქვს, ტრადიციების პატივისმცემელი. დედა სახელს, ანუ აბდულლაჰს, ვერ მეძახდა და შვილოთი მომ-

თამარ, ტარიელ, არჩილ და სეიჰან ზოიძეები

არჩილ ზოიძე და იბერია მელაშვილი

მართავს. მე ბაბუის სახელი მერქვა, რძალს კი უფლება არ ჰქონდა მამამთილის სახელი ეხსენებინა. ეს „უმძრახობა“ დღემდე გრძელდება ჩვენს ოჯახში. დედა მამასაც შეფარვით ეძახის ფარუგას, სხვები ომარს ეძახიან.

ტარიელი 12 წლისაა და ფეხბურთს თამაშობს ქოჯაელის გუნდში. ჩემპიონობისთვის ემზადება. ჩემპიონობისთვის და... საქართველოს ან თურქეთის ნაკრებში სათამაშოდ. ქართულიც იცის, თურქულიც და უცხო ენებსაც ეუფლება. „მუდმივად მომავალზე უნდა ვიყუროთ“ — ეს ტარიელის სლოგანია. მთლად გამართულად ვერ ჟღერს, მაგრამ ტარიელი საქართველოში აპირებს სწავლას და მალე ქართულშიც უფრო გაიწაფება.

თამარი 17 წლისაა, კოლეჯში სწავლობს, საბალეტო სტუდია დაამთავრა და ახლა იზმითის ხელოვნების სასახლის თანამედროვე ცეკვების ანსამბლში ცეკვავს. ექიმობაზე ოცნებობს და გამოცდების ჩაბარებას თბილისში აპირებს... ქართული თამარმაც იცის.

სეიჰანი კი ენების ცოდნაში ნამდვილი „ჩემპიონია“. ფლამანდიურიც იცის, ინგლისურიც, გერმანული და რაღა თქმა უნდა — ქართული და თურქული ენები.

არჩილმა კი ინგლისური იცის, ცოტა გერმანული, ლაზურიც. გული წყდება, რომ ქართული ენის სწავლა 20 წლისამ დაიწყო და მთლად ისე ვერ გამოუდის ლაპარაკი, როგორც თვითონ უნდა. სამაგიეროდ, მისი ქართველი მეგობრები ან ისინი, ვისთანაც სამსახურებრივი თუ შემოქმედებითი ურთიერთობა აქვს, ამას ოდნავადაც ვერ გრძნობენ. მათ სჯერათ, რომ არჩილ ზოიძე ნაღდი ქართველია, რომ იგი აუცილებლად „იპოვის“ თავის ნამდვილ ქართულ გვარს და რომ არჩილის ოცნებაც ასრულდება: მისი გვარი აუცილებლად დაბრუნდება საქართველოში...

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲝᲨᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

არსენ, იშილ, სეიჰან, არჩილ, მაია ზოიძეები, სოსო გაბრიელაძე

ძველი აღმოსავლეთის ისტორია — საქართველოს გარეშე?!

ორი წლის წინ მოსკოვის სახელმწიფო საოლქო უნივერსიტეტის ეგიდით დაიბეჭდა წიგნი „ძველი აღმოსავლეთის ისტორია“. მისი ავტორები გახლავან მ.დ. ბუხარინი, ი.ა. ლადინინი, ბ.ს. ლიაპუსტინი და ა.ა. ნემიროვსკი. აღვნიშნავთ იმასაც, რომ წიგნი შესაბამისი ინსტანციის მიერ დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ მომავალი ჰუმანიტარებისთვის.
დასახელებულ წიგნზე ჩვენი ყურადღების გამახვილება მაინცდამაინც არ ღირდა, რომ არა ერთი გარემოება. იგი გადმოსცემს ძველი აღმოსავლეთის მრავალათასწლიან ისტორიას ახ.წ. III-V საუკუნეებამდე და თითქმის სრულიად უგულებელყოფს საქართველოს ისტორიას. არადა, ელემენტარული ფაქტი გახლავთ, რომ ჩვენი ძველი ისტორია ამ სამყაროს ერთ-ერთი შემადგენელი (თუმცა პერიფერიული) ნაწილი იყო, ანტიკურ ქვეყნებთან (საბერძნეთი და რომი) მჭიდრო კონტაქტებთან ერთად.

ირანი ძველად — რუკა რუსული გამოცემიდან „ძველი აღმოსავლეთის ისტორია“

რასაკვირველია, საქართველოში ცივილიზაციის წარმოშობამ მეტად დაიგვიანა ძველი აღმოსავლეთის მოწინავე ქვეყნებთან შედარებით, მაგრამ ამ გარემოებას გააჩნია თავისი მიზეზები: ჯერ ერთი, ქართული ცივილიზაცია გეოგრაფიულად დიდად დაშორებული იყო მოწინავე ცენტრებისგან და მეორე, ბუნებრივი პირობების გამოისობით (ტყეების ფართო მასივები, მაგარი ნიადაგები) ჩვენში ცივილიზაციის საფეხურის მიღწევა მხოლოდ რკინის მეტალურგიის ფართო გავრცელების პირობებში იყო შესაძლებელი.

გარდა აღნიშნულისა, თვით წიგნის მიხედვითაც ძველაღმოსავლური ცივილიზაციები გაშლილი იყვნენ კავკასიონის ქედიდან და ჩრდილოეთით დიდი სტეპიდან (როგორ მოგწონთ ასეთი გეოგრაფიული თანამიმდევრობა?) ეთიოპიასა და ინდოეთის ოკეანემდე (გვ. 10).

თუ წიგნის ავტორებს ვერწმუნებით, არათუ საქართველო, არამედ აღმოსავლეთი ამიერკავკასიაც, რომელიც ისტორიულად ალბანეთს ეკავა, დაუსახლებელი ყოფილა. ცხადია, თურმე არ ჩანს აქ ჩვენი წინაპრების ნაკვალევიც. ჩვენს სამხრეთ-დასავლეთით სახლებულან აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ხალხი (მათ შორის კასკები), სამხრეთით ხურიტები, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზაგროსის მთიანეთში — დაღესტნური მოდგმის ეთნოსი (კუტიები). სომხების მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე წიგნში საკმაოდ არის ნათქვამი, ასე რომ, ამ მხრივ სომხებს ავტორებისადმი არაფერი სასაყვედურო არ ექნებათ.

357-ე გვერდზე მოთავსებულ რუკაზე ფიგურირებენ „ხალიბები“, რომელთა ეთნიკურ კუთვნილებაზე წიგნი დუმს. ყოველ შემთხვევაში, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ავტორები მათ არ უკავშირებენ ქართველურ მოდგმას.

355-ე გვერდზე (იხ. აგრეთვე გვ. 360) ვკითხულობთ, რომ კავკასიონის უღელტეხილები წარმოადგენდნენ თავისებურ კარებს მიგრაციისთვის. რომ „მოსულები, როგორც წესი, ბინავდებოდნენ რეგიონში და მას უკვე აღარ ტოვებდნენ. ასე რომ, ეს ტერიტორია გახდა ნამდვილი „ნაკრძალი“ ეთნოსებისთვის, რომლებიც სხვადასხვა მხრიდან აქ აღწევდნენ ათასწლეულების განმავლობაში“. აქაც იკვეთება ჩვენი ძველი ისტორიის სიბნელე.

მხოლოდ წიგნში დართულ ერთ რუკაზე (გვ. 357) ფიგურირებს „კოლხა“ (თანამედროვე

აჭარისა და სამცხის ტერიტორიაზე, ჭოროხის აუზი გამორიცხულია), ხოლო მტკვრის სამხრეთით (თანამედროვე თრიალეთში) — კურიანი, რომლის თაობაზეც, კერძოდ ეთნიკურ ვინაობაზე, ავტორები არაფერს გვეუბნებიან. ერთ-ერთი რუკის (გვ. 337) თანახმად, ძვ.წ. VII საუკუნისთვის საქართველოს აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილები სკვითების ბატონობის სფეროში არიან ნაჩვენები, თუმცა აქაური მოსახლეობა წიგნის მიხედვით კვლავაც ანონიმური რჩება.

357-ე გვერდზე ვკითხულობთ: „უცნობია, როდის და საიდან შეაღწიეს მტკვრის ზემოთში ქართველებმა (პროტოქართველურმა ტომებმა), მაგრამ, ყოველ შემთხვევაში ისინი აქ არ ყოფილან ავტოქთონები“.

ისე, არაქსისა და მტკვრის ფართო ველები ძალიან ხელსაყრელი ყოფილან მიწათმოქმედებისთვის (გვ. 355).

მაგრამ ისტორიის წყალობით ფაქტია, რომ ჩვენ, ქართველები ვარსებობთ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, ცხადია, ვარსებობდით წინა ათასწლეულების განმავლობაშიც, ადგილი ჰქონდა წინარექართველური ერთობის და შემდეგ ეთნიკურ დიფერენციაციას, თუმცა, ჩანს, მავან რუს ისტორიკოსებს ამაში ეჭვი ეპარებათ.

ავტორები გვამცნობენ, რომ სახელმძღვანელოში, ჩვეულებრივი ტრადიციისგან განსხვავებით, მოტანილია სხვადასხვა თვალსაზრისიც (გვ. 6). მაგრამ ამ მხრივ გამონაკლისი გახლავთ აღმოსავლელი მუშქების საკითხი, რომელიც რუს ისტორიკოს იგორ დიაკონოვის (ავტორები რომ „თანამედროვე სამამულო ასიროლოგიის ნამდვილ კორიფედ“ მოიხსენიებენ) კვალდაკვალ (გვ. 187) კატეგორიული სახით მხოლოდ სომხების წინაპრებად არიან გამოცხადებულნი. გვაქვს კი სათანადო საფუძველი, რომ მუშქებში ჩვენი მესხებიც ვიგულისხმოთ.

რასაკვირველია, ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხის თაობაზე დღევანდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში მრავალი გაურკვევლობა სუფევს, მაგრამ არქეოლოგოსთა და ისტორიკოსთა ძალისხმევით გარკვეულობანიც სახეზეა. წარმოჩენილია მტკვარ-არაქსის, კოლხური და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის არქეოლოგიური კულტურები, რომლებიც უეჭველად ჩვენს წინაპრებსაც მოიცავდნენ. დიდად სამწუხაროდ, „ძველი აღმოსავლეთის ისტორიის“ ავტორებმა, ჩანს, ყოველივე ამის შესახებ არაფერი იციან.

შეგახსენებთ, რომ გასულ ათწლეულებში, 1950-იანი წლებიდან მოკიდებული, საქართველოს საბჭოთა კავშირის, ფაქტობრივად რუსეთის შემადგენლობაში ყოფნისას რუსი ავტორები შეეცადნენ (სამგზის მაინც) ძველი აღმოსავლეთის ისტორიის წარმოდგენისას ჩვენი ძველი ისტორიისთვისაც დაეთმოთ ადგილი. სხვა ამბავია, რამდენად პროფესიულად გააკეთეს მათ ეს და რომ საკითხის გაშუქებისას ისინი გაურბოდნენ კერძოდ ქართველ ავტორებს.

ამჯერად კი სულ სხვა რამეს ვაწყდებით. ასე რომ, გვაქვს საფუძველი დავასკვნათ — საქმე გვაქვს აღვირახსნილ რუსულ იმპერიალიზმთან, რომლის ინტერესებში სრულიადაც არ შედის ისტორიის ობიექტურობა. დასასრულ, მსგავსი ტენდენცია გამოსჭვივის იმაშიც, რომ ჩვენი ცნობილი მეცნიერი გიორგი მელიქიშვილი რუსეთელ (российский) ისტორიკოსადაა გამოცხადებული (გვ. 354).

გურამ ყორანაშვილი

ანატოლია და სომხეთის ზეგანი ძველად — რუკა რუსული გამოცემიდან „ძველი აღმოსავლეთის ისტორია“

იზი ეინსტეინი და მოო სმიტი

ვინ და როგორ იცავდა „მშრალ კანონს“ ამერიკაში

თუ ბუტლეგერებს ჰყავდათ თავიანთი გმირები, რჩეულები მათ მოწინააღმდეგეთა ბანაკშიც არსებობდნენ. პროჰიბიციის აგენტთა შორის ასეთთა რიცხვს იზი ეინსტეინი და მოო სმიტი მიეკუთვნებოდნენ. „მშრალი კანონის“ ამოქმედების პირველ წლებში გაზეთები აჭრელებული იყო მათი ფოტოსურათებითა და ფათერაკებით აღსავსე თავგადასავლებით. ამ ორი აგენტის წარმატებები მალამოსავით ედებოდა გულზე ნირწამხდარ პროჰიბიციონისტებს, თუმცა განსაკუთრებით გამჭრიახნი გრძნობდნენ, რომ ყოველივე ეს მხოლოდ ზღვაში წვეთი იყო.

თავდაპირველად იზი ეინსტეინი ნიუ-იორკის სარკინიგზო სადგურის საფოსტო განყოფილების რიგითი მოხელე გახლდათ და იმ დროისთვის საშუალო ხელფასი ჰქონდა. მაგრამ ალბათ ყველა ქვეყანაში და მათ შორის, აშშ-შიც რიგითი ხელფასი არ კმაროდა ცოლის, ოთხი შვილისა და მოხუცი მამის შესანახავად. ამიტომ, როგორც კი იზიმ შეიტყო, რომ პროჰიბიციის აგენტებს წელიწადში $2.500-ს სთავაზობდნენ, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გაეშურა ნიუ-იორკის პროჰიბიციის სააგენტოსკენ. სააგენტოს ხელმძღვანელს მოეჩვენა, რომ 40 წლის საკმაოდ ჩასუქებული და მიამიტი გარეგნობის მამაკაცი სრულიად არ შეეფერებოდა დეტექტივის რისკიან პროფესიას და გააფრთხილა ეინსტეინი, რომ ბუტლეგერთა დაკავება სახიფათო საქმე იყო, სხვა თუ არაფერი, ბოთლი შეუძლიათ ჩაგარტყან თავშიო. მაგრამ, როგორც ჩანს, იზის საკუთარი ოჯახის გაჭირვების ცქერას თავის გატეხა ერჩია და მიზანს მიაღწია კი-

„მშრალი კანონის“ დროს იატაკქვეშ მომუშავე ერთ-ერთი ბარი აშშ-ში

დეც. ისიც უნდა დავძინოთ, რომ მრავალეროვანი ამერიკისთვის იზის ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნდა, იგი პოლიგლოტი იყო და გარდა ინგლისურისა და იდიშისა, საკმაოდ კარგად ფლობდა გერმანულს, პოლონურს, უნგრულს და ცოტაოდენი ფრანგული, იტალიური და რუსულიც გაეგებოდა. მიამიტი კაცის გარეგნობამ კი შემდგომში დიდი სამსახური გაუწია. სააგენტოს ხელმძღვანელისა არ იყოს, ბუტლეგერებსაც არ ეგონათ, რომ მსგავსი გამომეტყველების კაცი შეიძლება დეტექტივი ყოფილიყო და სწორედ ასეთი შეუსაბამობის წყალობით, იზის არაერთი ბუტლეგერი მოუტყუებია და დაუპატიმრებია კიდეც.

მაგალითად, თავისი საქმიანობის პირველივე დღეებში იზიმ გაბედულად დააბრახუნა ერთი დახურული კლუბის კარზე. საერთოდ, კლუბის მომსახურე პერსონალი კარს მხოლოდ სანდო ხალხს უღებდა და ხშირად კლუბის წევრობის ბარათსაც მოითხოვდა. როცა იზის ვინაობა ჰკითხეს, მან წარბშეუხრელად განაცხადა, რომ ახალდანიშნული პროჰიბიციის აგენტი იყო და უფროსმა გამოაგზავნა. ბარმენმა ეს ხუმრობად მიიჩნია და ზედმეტი კითხვების გარეშე მიართვა მას ვისკი, მაგრამ იზი ხომ მართლაც აგენტი იყო.

სულ მალე იზიმ იმდენი იატაკქვეშა რესტორანი დაარბია, რომ ბევრ ასეთ რესტორანსა თუ ბარში მისი უზარმაზარი ფოტოსურათი დაკიდეს, რათა ბარმენებს მაშინვე ეცნოთ ბუტლეგერთა რისხვა. მაგრამ იზი არ დაბნეულა, — ერთხელ მან ისეთ ბარში შეაღწია, სადაც მისი სამი დიდი ფოტოსურათი ეკიდა. მიუხედავად ამისა, თამამად მოითხოვა ვისკი.

— მაგრამ მე რომ არ გიცნობთ? — შეიცხადა ბარმენმა.

— როგორ თუ არ მიცნობ, მე ხომ ცნობილი აგენტი იზი ეპსტეინი ვარ! — განგებ დაიმახინჯა გვარი იზიმ

— ცდებით, მეგობარო. იზის გვარი ეპსტე-

გადაცმული აგენტები იზი ეინსტეინი და მოო სმიტი

ინი კი არა, ეინსტეინია! — იყო პასუხი.

— როგორ, — გაცხარდა იზი, — შენ გინდა დამარწმუნო, რომ საკუთარი გვარი არ ვიცი?!

— შენი შეიძლება იცი კიდევაც, მაგრამ იმ კაცს, ვის სახელსაც იბრალებ, ნამდვილად ეინსტეინი ჰქვია! — არ დათმო ბარმენმა.

— მე არასოდეს შემშლია, ჩემი გვარი ეპსტეინია! — არა. ეინსტეინი!

— ეპსტეინი! — აღრიალდა იზი.

მაშინ ბარმენმა ნაძლევი შესთავაზა.

— კარგი, — დათანხმდა იზი, — დამარცხებული ვისკის კისრულობს.

ბარმენმა იქ მყოფთ მოუხმო და დიდი სჯაბაასის შემდეგ ყველამ აღიარა იზის მარცხი. დამარცხებულმა იზიმ ყველასთვის ვისკი შეუკვეთა, გამარჯვებულმა ბარმენმა კი დიდი სიამოვნებით შეასრულა ეს თხოვნა. ამის შემდეგ იგი ყოველგვარი კამათისა და ნაძლევის გარეშე დააპატიმრეს.

ერთ-ერთ ბარში, სადაც სხვა აგენტებმა მარცხი განიცადეს, იზიმ ასეთ ხრიკს მიმართა: ერთ სუსხიან საღამოს, საგანგებოდ თხელ ტანსაცმელში გამოწყობილი, ბარის წინ იყინებოდა. ბოლოს და ბოლოს, როცა მართლაც გაითოშა და სიცივისგან სახე აუჭარხლდა, მისმა კოლეგამ, აგენტმა მოო სმიტმა იგი ბარში შეათრია, — არიქა, კაცი გაგვეყინა და სანამ სული არ განუტევებია, რამე დავალევინოთო. გულმოწყალე ბარმენმა მათ მაშინვე ვისკი მიართვა, მაგრამ უმადურმა აგენტებმა ბარმენი იქვე დააპატიმრეს.

ერთ სუსხიან საღამოს, საგანგებოდ თხელ ტანსაცმელში გამოწყობილი იზი ეინსტეინი ბარის წინ იყინებოდა. როცა მართლაც გაითოშა, მისმა კოლეგამ, აგენტმა მოო სმიტმა იგი ბარში შეათრია, — არიქა, კაცი გაგვეყინა, რამე დავალევინოთო. ბარმენმა მათ ვისკი მიართვა და უმადურმა აგენტებმაც იქვე დააპატიმრეს.

იზის გარდასახვის ჭეშმარიტად არტისტული ნიჭი ჰქონდა, ყოველთვის ისე იქცეოდა, იცვამდა, როგორც ეს ამა თუ უბანს ან საზოგადოებას შეეფერებოდა. მაგალითად, ბარში, სადაც მუსიკოსები იკრიბებოდნენ, ის ტრომბონით ან ვიოლინოთი ხელში შედიოდა, მით უმეტეს, რომ მართლაც კარგად უკრავდა და მისი საყვარელი სიმღერა იყო „როგორი მშრალი ვარ“. ბრუკლინში, ბარში, სადაც მოსამართლეები და ადვოკატები იკრიბებოდნენ, სოლიდურად ჩაცმული იზი საკანონმდებლო კოდექსის უზარმაზარი ტომით ხელში შევიდა, სიარულისას კითხვა არ შეუწყვეტია და ბარმენსაც კითხვა-კითხვაში დაუკვეთა სასმელი. ბარმენი ადვილად წამოეგო ანკესზე. საინტერესო ისიც არის, რომ ბარი სწორედ კანონის დამცველთა თავშეყრის საყვარელი ადგილი იყო, რაც კიდევ ერთხელ მოწმობდა ამ

სუპერაგენტებმა ალკოჰოლური სასმელების უკანონო დამამზადებლის მორიგი საცავი აღმოაჩინეს

სპირტიანი სასმლების იატაკქვეშ გამომზდელებისთვის ჩამორთმეული სახდელი აპარატები

„მშრალი კანონის“ დამცველებმა მორიგ სპირტის სახდელს მიაკვლიეს

კანონისადმი ამერიკელთა დამოკიდებულებას. ბრუკლინის შედარებით ღარიბ უბნებში იზიმ რამდენიმე ბარი დააწიოკა — კიტრის მწნილით სავსე ჩანთით შედიოდა და აბა, ვის მოუვიდოდა აზრად, რომ დეტექტივი ოპერაციაზე კიტრის მწნილით წავიდოდა. ნიუ-იორკის ზანგთა უბან ჰარლემში იზი შავად იღებავდა სახეს და ადგილობრივ მცხოვრებს ასახიერებდა. თუ იზი ნიუ-იორკის მახლობელ ზღვის კურორტებზე მუშაობდა, მუდამ თან ჰქონდა ანკესი თუ საცურაო კოსტიუმი. ერთ სპორტულ კლუბთან მდებარე ბარში იზი და მისი კოლეგები ფეხბურთელთა ფორმაში გამოწყობილი შევიდნენ, სახეც წინასწარვე დაეთხუპნათ, რათა ნამდვილ სპორტსმენებს დამსგავსებოდნენ. აგენტებმა განასახიერეს გუნდი, რომელიც საფეხბურთო სეზონის ბოლო მატჩში გამარჯვებას ზეიმობდა და ამიტომაც არ ერიდებოდა ალკოჰოლს. ბარშიც დაიჯერეს.

ნაცნობის დაკრძალვაზე იზიმ შეამჩნია,

რომ სასაფლაოს გვერდით მდებარე შენობაში რამდენიმე საეჭვო მანქანა დაცალეს. იგი მაშინვე შენობისკენ გაემართა, მაგრამ ხელმოსაკიდი ვერაფერი აღმოაჩინა, არადა გუმანით გრძნობდა, რომ ეს ადგილი არ უნდა ყოფილიყო წმინდა წყლის. მან არ დაიზარა, დაბინდებისას მიწის მთხრელის ტანსაცმელში გამოწყობილ აგენტებთან ერთად მიადგა სასაფლაოს და საფლავების თხრა დაიწყო. იზი და მისი კოლეგები თითქმის მთელ საღამოს თხრიდნენ და სასაფლაოს დარაჯიც კი გაოცდა, ამდენი ხალხი ერთბაშად რამ დახოცაო. ყოველივე ამას საეჭვო სახლის მკვიდრნიც კარგად ხედავდნენ და, ცხადია, ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ამდენი დეტექტივი ერთბაშად მესაფლავეობას მიჰყოფდა ხელს. ამიტომ, როცა დაღლილი „მესაფლავეები“ ამ სახლს მიადგნენ და ვისკი მოითხოვეს, დაუყოვნებლივ მიიღეს კიდეც.

ერთხელ იზიმ ორ ლამაზმანთან ერთად ფეშენებელურ კლუბში მოინდომა შესვლა. როცა კარისკაცმა ვინაობა ჰკითხა, მან დაუფიქრებლად მიაწოდა პირველივე სავიზიტო ბარათი, რომელიც ჯიბეში იპოვა. ამჯერად ეს რაბინის სახელზე დამზადებული სავიზიტო ბარათი აღმოჩნდა. მაგრამ კარისკაცმა, ჩანს, მეტი ყურადღება იზის რესპექტაბელურ გარეგნობას მიაქცია, ვიდრე მის უცნაურ ბარათს. დაპატიმრების შემდეგ იზი დასცინოდა მას, სად გინახავს უწვერო რაბინი და ისიც ქალებთან ერთადო?

მსგავსი ოინებისა და საზრიანობის წყალობით იზიმ და მოომ ხუთი წელიწადის განმავლობაში დაახლოებით 5 მილიონი ბოთლი სასმლის კონფისკაცია მოახდინეს, რომელთა საერთო ღირებულებაც $15 მილიონს აღწევდა. მათ დააკავეს 4392 მოქალაქე, რომელთა 95% გაასამართლეს, რაც თურმე ძალიან იშვიათად ხდებოდა.

როგორც ჟურნალ „ამერიკენ მერკურიში“ 1926 წელს გამოქვეყნებული სტატიის ავტორი ჰერბერტ აშბური აღნიშნავდა, პროჰიბიციის გმირები ძირითად მეორეხარისხოვან პერსონაჟებს ამარცხებდნენ.

მართალია, იზიცა და მოოც არაერთხელ ყოფილან ჩიკაგოსა და დეტროიტში, ისინი არასოდეს შეხვედრიან ნამდვილ განგსტერებს. ისეთებს, როგორიც კაპონეს, ტორიოს ან იელის ბანდების წევრები იყვნენ. სხვათა შორის, იზი საერთოდ არ ატარებდა იარაღს, მას კი იარაღით მხოლოდ ორჯერ'დაემუქრნენ. ერთხელ, როცა ბარმენმა იზის კოლტის რევოლვერი მიადო მუცელზე, იზიმ დინჯად ურჩია: „შვილო, დადე იარაღი, ჩემი სიკვდილი ვერ დაეხმარება შენს ცოლ-შვილს“. ბუნებრივია, იზის კაპონეს ბიჭებთან ასეთი ტონი არ გაუვიდოდა.

როგორც აღვნიშნეთ, იზი და მოო ნამდვილ საგაზეთო გმირებად იქცნენ, ხოლო მათი თავგადასავლების წყალობით პროჰიბიციურ საქმიანობას, გარკვეულწილად, ვოდევილური და საოპერეტო იმიჯი შეექმნა. ბევრს ეს ძალიან არ მოსწონდა. იზისა და მოოს უშუალო ხელმძღვანელებს კი უბრალოდ შურდათ მათი. საბოლოოდ, ორივე ვაშინგტონში გამოიძახეს და უსაყვედურეს, რომ ალკოჰოლთან დრამატული ბრძოლა მათ გართობად აქციეს და ინტერვიუებს მეტისმეტად ხშირად იძლეოდნენ. მალე ოფიციოზმა აუკრძალა თავის აგენტებს პრესისთვის რამე ინფორმაციის მიწოდება. 1925 წელს ხელმძღვანელობის უმადურობითა და დიდების შარავანდედით დაღლილი იზიცა

„მშრალი კანონის“ დროის პროპაგანდისტული პლაკატი

იზიმ და მოომ სპირტის იატაკქვეშა სახდელს მიაგნეს

იზი ეინსტეინი და მოო სმიტი მშრალი კანონის გაუქმებას ზეიმობენ

და მოოც გადადგნენ და სადაზღვევო ბიზნესში წამოიწყეს საქმიანობა. უკანონო რესტორნების მფლობელებმა თავისუფლად ამოისუნთქეს.

ცხოვრება კი გრძელდებოდა და დაპირისპირება ე.წ. მშრალებსა და სველებს შორის სულ უფრო მძაფრდებოდა. იმ დროის ერთ-ერთი უნიჭიერესი ამერიკელი მკვლევარი ფრედერიკ ალენი საკმაოდ იუმორისტულად ხატავს შეერთებულ შტატებში მაშინ არსებულ განწყობებს: „ყოველი მშრალი გეტყოდათ, რომ სწორედ პროჰიბიცია იყო ამერიკული კეთილდღეობის საფუძველი. კეთილდღეობა გამოიხატა ბანკების დეპოზიტების ზრდაში, რაც, მეწარმეთა აზრით, იმან განაპირობა, რომ ორშაბათობით მუშები სამსახურში დაწშენდილი თვალებით მიდიოდნენ და ხელები არ უკანკალებდათ. მშრალები იმასაც გეტყოდნენ, რომ პროჰიბიციამ შეამცირა ალკოჰოლიზმით გამოწვეული სიკვდილიანობა, დააცარიელა ციხეები და დაუზოგა მშრომელებს ფული მანქანის, სახლის ან რადიომიმღების საყიდლად. ამაზე თითქმის ყოველი სველი გიპასუხებდათ, რომ პროჰიბიციას არაფერი შეუმატებია კეთილდღეობისთვის, სამაგიეროდ, იზარდა დანაშაულებრიობის ტალღამ, ამორალობამ, განქორწინებათა რიცხვმა, კანონისადმი უპატივცემულობამ, რაც ძირს უთხრიდა საზოგადოების საფუძველს. სველი გეტყოდათ, რომ მშრალები ხელს უწყობდნენ ბოლშევიზმს აუტანელი კანონებისადმი ფანატიკური ერთგულებით. მშრალები, თავის მხრივ, სველებს აბრალებდნენ ბოლშევიზმის პროპაგანდას არსებული კანონებისადმი უპატივცემულობის დანერგვით... ყველას შეხედულებისამებრ შეეძლო იმ ინფორმაციის მიღება, რომელიც მისთვის უფრო სასურველი იყო. ერთს, მაგალითად, საერთოდ აღარ უნახავს მთვრალი ქუჩაში, მეორე კი, თურმე, პირიქით, ვეღარ აუდიოდა მათ თვლას. ზოგიერთს მიაჩნდა, რომ ლოთობა კოლეჯებში უმწვავეს პრობლემად იქცა, სხვა კი მიიჩნევდა, რომ ლოთობა იქ საერთოდ მოისპო და სხვ“.

როგორც ალენი, ასევე სხვა მკვლევრებიც, უფრო უარყოფითად აფასებდნენ მშრალ კანონსა და მის შედეგებს. განსაკუთრებულ მღელვარებას ის იწვევდა, რომ „მშრალი კანონის“ დარღვევის ფაქტები საოცარი სისწრაფით მრავლდებოდა. სულ რამდენიმე წელიწადში „მშრალი კანონის“ უგულებელყოფა საყოველთაო მოვლენად იქცა. მას ნებისმიე-

ამერიკელები „მშრალი კანონის“ გაუქმებას ითხოვენ

რი საზოგადოებრივი მდგომარეობის ადამიანები არღვევდნენ, მათ შორის ის კონგრესმენები და სენატორებიც, რომელთაც თავის დროზე ზარ-ზეიმით მიიღეს მე-18 შესწორება. როგორც აღვნიშნეთ, ამერიკაში „აკრძალული იყო არა მარტო სპირტიანი სასმლის გაყიდვა, არამედ მისი ყიდვაცა და გამოყენებაც“, ანუ უბრალოდ რომ ვთქვათ, დალევაც. ასე რომ, კანონს არღვევდა არა მარტო ჩიკაგოელი განგსტერი თავისი ავტომატით, არამედ ჩვეულებრივი ამერიკელი დიასახლისიც, რომელიც სურნელისთვის რამდენიმე წვეთ რომს დააპკურებდა ნამცხვარს ან რიგითი ობივატელი, რომელიც მეგობრებთან ერთად ჩუმ-ჩუმად წრუპავდა ბუტლეგერისგან ნაყიდ ჯინზე დამზადებულ კოქტეილს.

ამერიკელი მწერალი ოუენ ჯონსონი იუმორით შენიშნავდა: „ალბათ, მთელი მსოფლიო დაგვცინის, რადგან ჩვენ ვქადაგებთ თავისუფლებასა და დემოკრატიას, სინამდვილეში კი ასეთ ელემენტარულ უფლებებში შევზღუდეთ ჩვენი მოქალაქეები“.

საბოლოოდ, 1933 წლის დეკემბერში დამტკიცდა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის 21-ე შესწორება, რომელმაც იმავე კონსტიტუციის მე-18 შესწორება გააუქმა. ამრიგად, „მშრალი კანონი“, რომელიც, ბევრის აზრით, ყველაზე დიდი სოციალური ექსპერიმენტი იყო მსოფლიოში და რომელმაც ამდენი აურზაური გამოიწვია, საბოლოოდ გაუქმდა. კანონმორჩილმა ამერიკელებმა თამამად შეაღეს რესტორნების კარები და გულარხეინად დაუკვეთეს ესოდენ ნანატრი კანონიერი ბურბონ ვისკი. სავარაუდოა, რომ ყველაზე მეტს პოლიციელები სვამდნენ, რომლებიც მანამდე იძულებული იყვნენ, „მშრალი კანონის“ ერთგული მსახურები განესახიერებინათ. თუმცა ვინ იცის, ზოგიერთი ალბათ ბუტლეგერებისგან მიღებულ ქრთამებსაც მისტიროდა.

ვასილ კაჭარავა

მარადიული ხელოვანი

ლეონარდო და ვინჩი

„ვინც სიცოცხლეს არ აფასებს, არც იმსახურებს მას“.

„ვაზს ეცოტავა თავისი მხარე, მესერზე გადავიდა, ქუჩის მიღმა მოეჭიდა სხვა ღობეს, მაშინ გამვლელებმა იგი გადაჭრეს“.

„ადამიანისა და ბუნების ქმნილებებს შორის ისეთივე კავშირი არსებობს, როგორიც ადამიანსა და ღმერთს შორის“

ლეონარდო და ვინჩი

1452 წლის 15 აპრილს, ტოსკანის პატარა სოფელ ვინჩიში, ფლორენციის მახლობლად დაიბადა აღორძინების ხანის უდიდესი ფერმწერი, მოქანდაკე, სწავლული და ინჟინერი ლეონარდო და ვინჩი. იგი იყო ნოტარიუსის, სერ პიეროსა და ლამაზი გლეხის ქალის, კატარინა დე ანკიანოს უკანონო შვილი. ხუთ წლამდე ლეონარდო დედასთან იზრდებოდა, შემდეგ კი მას მამა მზრუნველობდა, რომელიც ცდილობდა, შვილისთვის შესაფერისი ცოდნა მიეცა. ლეონარდოზე განსაკუთრებით დიდ ზეგავლენას ბაბუა ანტონიო და ვინჩი ახდენდა. მან პატარაობიდანვე გაუღვივა შვილიშვილს შრომისმოყვარეობისა და პიროვნული ღირსების განცდა, რისთვისაც ოსტატი სიცოცხლის ბოლომდე ემადლიერებოდა.

ლეონარდო ინტერესების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. იგი ერთდროულად ეუფლებოდა მათემატიკას, მექანიკას, ქიმიას, მუსიკას, პოეზიასა და ხატვას.

14 წლის ლეონარდო მიაბარეს იტალიური ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეს, ანდრეა დელ ვეროკიოს, რომელმაც პირველი შეხვედრისთანავე ნიჭიერი მოწაფე შეგირდად აიყვანა. ვეროკიოს სახელოსნოში დიდი ცხოვრებისეული სკოლაც გამოდგა. და ვინჩი ხშირად მონაწილეობდა ცხარე დისკუსიებსა და მსჯელობებში.

თექვსმეტი წლის ასაკში ლეოს ჩამოყალიბებულ მხატვრად აღიარებდნენ. ისეთი სიცხადით ხატავდა მცენარეთა და ცხოველთა გამოსახულებებს, რომ ნამდვილისგან რთული გასარჩევი იყო.

ლეონარდომ მხატვრობა პატარაობიდანვე აქცია შემოსავლის წყაროდ.

ერთხელ მამამ ლეონარდოს სთხოვა გლეხკაცისთვის საბრძოლო ფარის მოხატვა. სიმძაფრისთვის მასზე გამოსახული უნდა ყოფილიყო რომელიმე საშინელი ცხოველის თავი. მცირე ხნის შემდეგ ოსტატმა მამა სახელოსნოში დაიბარა. ჩაბნელებულ ოთახში სინათლე მხოლოდ მოხატულ ფარს ეცემოდა. ოთახში შესულ პიერო და ვინჩის შიშისგან მუხლები მოეკვეთა. ფარზე გამოსახული გვე-

ლი მან ნამდვილისგან ვერ გაარჩია და თავზარდაცემული ეზოში გაიქცა.

შეგირდობისას ანდრეა დელ ვეროკიო ნებას რთავდა ლეონარდოს, მონაწილეობა მიეღო შეკვეთილი ნაწარმოებების ხატვაში. პირველი აღიარება და ვინჩის „ქრისტეს ნათლისღების“ ტილოზე გამოსახულმა ანგელოზმა მოუტანა. როგორც ლეონარდოს მემატიანე ჯორჯო ვაზარი გვაუწყებს, ამ ფერწერულმა შედევრმა პედაგოგის ერთგვარი გაღიზიანებაც გამოიწვია. შეგირდმა ოსტატის მიერ დახატულ ტილოზე მცირედი შესწორებები შეიტანა. ანგელოზი სრულიად ახლებური სტილით შეასრულა. მან იგი მუხლმოყრილი, სამოსით ხელში დახატა, რაც ვეროკიოს სტილს სავსებით ეწინააღმდეგებოდა. მან გამოსახა ანგელოზის არა ფიზიკური, არამედ სულიერი მდგომარეობა. ამასთანავე, ლეონარდოს ანგელოზი თავისი დინამიკურობით, ახლებური მანერითა და მკვეთრი ფერებით უკვე იყო სიახლე ფერწერაში.

ვეროკიომ შეგირდთან ერთად 1469 წელს ვენეციაში იმოგზაურა. და ვინჩი მაშინ გაიტაცა პეიზაჟებზე დაკვირვებამ. პირველი დამოუკიდებელი პეიზაჟი 1473 წლის 5 აგვისტოს შექმნა. ნახატზე შექმნის თარიღი დატანილია მისთვის დამახასიათებელი ე.წ. სარკისებური მანერით. ოსტატი ცაცია გახლდათ და მარჯვნიდან მარცხნივ წერდა, ამიტომ ნაწერის წასაკითხად სარკის გამოყენება იყო საჭირო.

1472 წელს ლეონარდო წმინდა ლუკას სახელობის მხატვართა გილდიის წევრად მიიღეს და ფერწერის ოსტატად ოფიციალურად აღიარეს. ამის მიუხედავად, ლეონარდო ვეროკიოსთან კავშირს არ წყვეტდა. 1478-1480 წლებში ლეონარდომ შექმნა პირველი დამოუკიდებელი ფერწერული ტილო „მადონა მიხაკით“. სურათზე გამოსახულია დედაშვილური სიყვარულის სცენა, რომლის მიღმა ჩანს პეიზაჟი სიმბოლური დატვირთვით.

ფლორენციის სააბატოს საკურთხევლისთვის „წმინდა იერონიმეს“ ფერწერული ტილო და ვინჩიმ 1480-1482 წლებში შექმნა. ნახატი შედევრთა შორის მოხვდა. ტრაგიკული შინაარსიდან გამომდინარე, მას მძიმე ხვედრი ერგო წილად. ტილო დიდი ხნის განმავლობაში დაკარგული იყო. ბოლოს, ფრაგმენტებად დაშლილი, მრავალ წელიწადს ელოდა კვლავ შეერთებას. ნაპოლეონ ბონაპარტის ბიძამ, კარდინალმა ჟოზეფ ფეშმა იპოვა „წმინდა იერონიმე“, ოღონდ არასრული სახით, თავის გარეშე, შემდეგ კი ბედნიერმა შემთხვევამ ის ერთ-ერთ ხარაზთან მიიყვანა, რომელთანაც ნაკლული ფრაგმენტი აღმოჩნდა.

ლეონარდოს „მოგვთა თაყვანისცემის“ შესრულება დაუკვეთეს. ეს უკანასკნელიც ლეონარდოს მრავალრიცხოვან დაუსრულებელ ნაშრომთა რიგშია. და ვინჩიმ ერთ ტილოზე კაცობრიობის ორი უმთავრესი მომენტი გადმოგვცა. პერსონაჟთა მიმიკებითა და განლა-

სახლი, სადაც დაიბადა ლეონარდო და ვინჩი

გებით მოთხრობილია გზა მაცხოვრის დაბადებიდან მის გარდაცვალებამდე და შემდგომ.

ლეონარდოს ინტერესის სფერო იმდენად ფართო და ღრმა იყო, რომ ერთი საქმის ბოლომდე მისაყვანად ნებისყოფა არ ჰყოფნიდა. იგი თავის გამოცდილებასა და დიდ მათემატიკურ შესაძლებლობებს სამხედრო საინჟინრო ტექნოლოგიების გამოგონებებს ახმარდა. ის მკაფიოდ მიუთითებდა: ვინც მათემატიკოსი არ არის, ჩემს ნაწერებს ნუ წაიკითხავსო.

მილანში და ვინჩი 30 წლის ასაკში გაემგზავრა, რათა მონაწილეობა მიეღო ჰერცოგ ლუდოვიკო სფორცას მამის, ფრანჩესკო სფორცას ცხენოსანი ქანდაკების შექმნაში. ეს ყველაზე დიდი ცხენის ქანდაკება უნდა ყოფილიყო მსოფლიოში. მილანში ჩასვლისთანავე, 1482 წელს, ლეონარდო სკულპტურაზე მუშაობას შეუდგა და გეომეტრიისა და ანატომიის შესანიშნავი ცოდნა გამოავლინა. ლეონარდო და ვინჩის ბიოგრაფ ჯორჯო ვაზარის გადმოცემით, თიხის კოლოსი მხატვრის საყვარელი ნაწარმოები იყო. მასზე და ვინჩი 16 წელიწადს მუშაობდა. საუბედუროდ, ქანდაკებისთვის ბრინჯაო ვერ გაიმეტეს და 1499 წელს იგი ფრანგმა ჯარისკაცებმა გაანადგურეს მილანში შეჭრისას.

ლეონარდომ თითქმის ოც წელიწადს დაყო მილანში. იქ მხატვარი ერთდროულად არქიტექტორიც იყო, სამხედრო ინჟინერიცა და მუსიკოსიც. და ვინჩიმ შექმნა მხატვრული ხერხი, რასაც სფუმატო, გაბნევის პრინციპი ეწოდა. სფუმატო გულისხმობს გამოსახულების მკაფიო ტონების შერბილებას, გაბუნდოვნებას ნაზი ფერებით, რაც სივრცისა და სიღრმის ეფექტს ქმნის. სხვა ნამუშევრებთან ერთად, სწორედ სფუმატოს წყალობით შეიქმნა ჯოკონდას იდუმალი ღიმილი. ცქერის ფოკუსის შესაბამისად, მაყურებელს ხან ეჩვენება, რომ მონა ლიზა ნაზად უღიმის, ხანაც — მტაცებლურად. ყველაზე უცნაური ის არის, რომ საუკუნეთა განმავლობაში მისი ღიმილი იცვლება, ტუჩის კუთხეები მაღლა იწევს.

ლუდოვიკო სფორცა (მორო) ლეონარდოს ნიჭს ღირსეულად ვერ აფასებდა. ოსტატი კი ძალ-ღონეს არ იშურებდა მისთვის თავის მოსაწონებლად — სთავაზობდა უნიკალურ ტექნოლოგიურ მიღწევებს, ქმნიდა ნახაზებს მსუბუქი და მოძრავი ხიდების, ბომბარდების ასაგებად, შეადგინა არაერთი ტაძრის გეგმა.

1483-1486 წლებში ოსტატმა სან ფრანჩესკო გრანდეს ეკლესიისთვის დახატა „მადონა მღვიმეში“. მხატვარმა კომპოზიცია ნატურალიზმისთვის დამახასიათებელი ახალი მხატვრული ხერხით, შუქჩრდილებით გააძლიერა. 1506 წელს ლეონარდოს სასამართლოს ძალით მოსთხოვეს დაესრულებინა ეს ნახატი, რომელზედაც წლების წინ აიღო პასუხისმგებლობა. პირვანდელი ვარიანტისგან განსხვავებით, ახალს ბევრი დეტალი შემატა და ფაქტობრივად, სრულიად შეცვლილი ვერსია შექმნა.

„ადამიანის სახის შესახებ“ წიგნის წერას და ვინჩი 1489 წლის აპრილში შეუდგა და მას რამდენიმე წელიწადი მოანდომა. იგი ექსპერიმენტის საშუალებით ცდილობდა ადამიანის ზუსტი პროპორციების დადგენას. მან მოიშველია ძ.წ. I საუკუნის რომაელ არქიტექტორ ვიტრუვიუსის „ტრაქტატი არქიტექტურის შესახებ“. შეიტანა შესწორებები და და-

„მადონა მღვიმეში“. 1483-1486 წწ.

ადგინა, რომ ადამიანი განზე გადგმული ფეხებითა და გაშლილი მკლავებით შეიძლება მოთავსდეს წრესა და კვადრატში. და ვინჩის უნივერსალური ნახატი „ვიტრუვიუსის ადამიანი“ (1492 წ.) XV საუკუნიდან დღემდე რჩება ადამიანის ყველაზე სრულყოფილ გამოსახულებად.

პორტრეტების ხატვა ლეონარდოს დიდად არ იტაცებდა, მაგრამ მაინც მოუწია რამდენიმე წარჩინებული ქალბატონის სახის შექმნამ, რამაც მას მსოფლიო აღიარება მოუტანა. მათ რიცხვს მიეკუთვნება ჩეჩილია გალერანის პორტრეტი. 1490 წელს ლუდოვიკო სფორცას თხოვნით ლეონარდომ დახატა ჰერცოგის სატრფოს, მშვენიერი ჩეჩილიას პორტრეტი. ასე შეიქმნა „ქალი ყარყუმით“. ნახატის ღირსება ტილოზე გამოსახული ცხოველის ორიგინალურობაა. 1491 წელს ლუდოვიკოსა და ჩეჩილიას რომანი დასრულდა, რადგან სფორცამ ცოლად ბეატრიჩე დ’ესტე შეირთო. მცირე ხნის შემდეგ, ლუდოვიკომ ლეონარდოს თავისი ახალი სატრფოს, ლუკრეცია კრიველის დახატვა სთხოვა. პორტრეტი ცნობილია „მშვენიერი ფერონიერას“ სახელწოდებით. თუმცა მეცნიერები ეჭვობდნენ, რომ პორტრეტი ლეონარდოს არ ეკუთვნოდა. მასში ვხვდებით ისეთ ნიუანსებს, რომელიც დამახასიათებელი იყო სფორცას კარზე მოღვაწე ანტონელო დე მესინას სტილისთვის: ბნელი უკანა პლანი, პორტრეტის სამკაულის შეფერილობა (მას აკლდა ელვარება). ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს ფრაგმენტი ლუკრეციას მკერდით, რომელიც დატვირთულია ეროტიკული ელემენტებით.

1495 წელს და ვინჩის მიანდეს სანტა-მარია დელე გრაციეს მონასტრის საკურთხევლის მოხატვა. ასე შეიქმნა მსოფლიო შედევრი „საიდუმლო სერობა“.

კედელი, რომელზეც ფერმწერი წერდა, საკმაოდ ვიწრო გახლდათ და ნახატს თავისი მრავალფეროვნებით მნახველის თვალი რომ არ გადაეღალა, ფიგურები ვიზუალურ სამკუთხედში განალაგა. ლეონარდო თითოეული პერსონაჟის ხასიათსა და მდგომარეობას ჟესტებითა და ემოციებით გადმოგვცემს. ეს მეტად ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესი იყო. იმავდროულად ის სფორცას ცხენის ქანდაკებას ძერწავდა. ფრესკაზე მუშაობა ოსტატმა 1497 წელს დაასრულა. სავსებით დამსახურებულად უწოდეს ხელოვნებათმცოდნეებმა „საიდუმლო სერობას“ ადამიანის გენი-

„ვიტრუვიუსის ადამიანი“. 1492 წ.

„ქალი ყარყუმით“. 1490 წ.



„საიდუმლო სერობა“

ის მიერ შექმნილი ერთ-ერთი უდიდესი სასწაული. ოსტატმა ფრესკა მშრალ კედელზე დახატა, და არა ნესტიან ბათქაშზე, ამიტომ ის მთლად ფრესკადაც ვერ ჩაითვლება. კედელი ლეონარდომ კუპრის, თაბაშირისა და მასტიკის ფენით დაფარა, ზედ კი ტემპერის საღებავებით დახატა. შერჩეული მეთოდის ნახატმა დაშლა უკვე რამდენიმე წლის შემდეგ დაიწყო. ბოლო რესტავრაცია ფრესკას XX საუკუნის მიწურულს ჩაუტარდა. ნაწილობრივ აღდგა ფერები, დეტალები, განათდა მოციქულთა სამოსი და გამოიკვეთა სახეები.

„საიდუმლო სერობისას“ დასრულების შემდეგ და ვინჩი ლუდოვიკო სფორცამ მთავარ ინჟინრად დაამტკიცა. ლეონარდო მუდმივად პოლიტიკური მოვლენების ცენტრში ექ-

სანტა-მარია დელე გრაციეს მონასტერი, რომლის საკურთხეველსაც „საიდუმლო სერობა“ ამშვენებს

ცეოდა. 1499 წელს მილანი ფრანგებმა დაიპყრეს. 1500 წელს ლეონარდომ წამოიწყო მოგზაურობა რომიდან მანტუაში, იქიდან ვენეციაში და ბოლოს, თვრამეტწლიანი განშორების შემდეგ, ფლორენციაში დაბრუნდა. საფრანგეთის მეფე ლუი XII აღფრთოვანებული იყო ლეონარდოს გენიით. მან ფლორენციაში ელჩი მიავლინა თხოვნით: „თქვენმა მთავრობამ ერთი სამსახური უნდა გამიწიოს. მსურს, ლეონარდო და ვინჩიმ ჩემთვის იმუშაოს. იგი კარგი ოსტატია და მსურს მისი ხელით დახატული ბევრი რამ მქონდეს“. ფლორენციიდან და ვინჩი რომში გადადის.

ერთხელ, როდესაც ლეონარდო ქუჩაში მისეირნობდა, აივნიდან მხიარული სიცილი და ახალგაზრდა ქალის მელოდიური ხმა შემოესმა. აიხედა და დაინახა სასიამოვნო გარეგნობის, 30 წლამდე, თმაგაშლილი ქალი. მასში ზღვა სიცოცხლე და სამყაროს შეგრძნების სიხარული მოჩანდა. ეს გახლდათ მდიდარი ვაჭრის, ფრანჩესკო დელ ჯოკონდას მეუღლე, მონა ლიზა. ლეონარდო რამდენიმე თვეს მუშაობდა ქალის პორტრეტზე. ნატურას რომ არ მოეწყინა, ლექსებს უკითხავდა და სიმღერებს უმღეროდა. ტილო ოთხ წელიწადს იხატებოდა. ვაზარი წერდა, რომ ამ სურათზე ლეონარდომ ნათლითა და სისველით საკუთარ თვალები წარმოადგინა, თითქოს ჩვენ წინაშე ცოცხალი ადამიანია. ნაზი ვარდისფერი ცხვირი და ტუჩების წითელი ტონი ნამდვილს გვაგონებს. „ვინც დააკვირდება ჯოკონდას ყელს, მიხვდება, რომ მას პულსი უცემს“. ვაზარი მეტაფორულად საუბრობს ნაზი ღიმილის საიდუმლოზე. „ლეონარდომ თითქოს მოიწვია მუსიკოსები და ჯამბაზები, რათა გაერთო პოზიორობისგან მოწყენილი ქალბატონიო“, — აცხადებს ბიოგრაფი.

და ვინჩი

დიდი მხატვრები

გამომცემლობა „პალიტრა L“-ის მიერ სერიით „დიდი მხატვრები“ გამოცემული წიგნის, „და ვინჩის“ გარეკანი ჯოკონდას გამოსახულებით

ვაზარიმ აღწერა წარბები, რომელიც ნახატ-

ლუვრის საგამოფენო დარბაზში „ჯოკონდა“ საგანგებოდ, ტყვიაგაუმტარი მინით არის დაცული

ზე არ არის. სპეციალისტები მიიჩნევდნენ, რომ მხატვარს არც არასდროს დაუხატავს ჯოკონდასთვის წარბები და წამწამები, რადგან ისიც დაუსრულებელია. მეცნიერების დიდი ხნის მუშაობის შემდეგ შესაძლებელი გახდა ნახატის თავდაპირველი ფერების დანახვა, რომელიც ლაქისა და რესტავრაციების გამო დროთა განმავლობაში შეცვლილი იყო. ნახატი დღეს მწვანე, ყვითელ და ყავისფერ ტონალობებშია, ხოლო მისი ორიგინალი ლურჯი და ბრწყინვალე თეთრით იყო კომბინირებული. ვაზარის ცნობით, ტილო ყველას აოცებდა, ვინაიდან რწმუნდებოდნენ, თუ რა ზომამდე შეიძლება წაბაძოს ხელოვნებამ სინამდვილეს. „ჯოკონდას“ თვალები ყველა თავდაჯერებულ მხატვარს შიშს ჰგვრიდა, ხოლო სახეზე მოთამაშე მსუბუქი ღიმილი მარადიულობის სიმბოლოდ იქცა.

„ჯოკონდაზე“ მუშაობა ლეონარდომ 1506 წელს შეწყვიტა, რადგან იგი საცხოვრებლად გადავიდა მილანში. იქ მხატვარი ათას გასაოცარ პროექტზე მუშაობდა: სარწყავ სისტემებზე, ვილებზე ბაღებით, სარწყავ ატრაქციონებზე, დაასრულა წლების წინ დაწყებული „წმინდა ანა მარიამითა და ყრმა იესოთი“. ლეონარდო წარმატებით იკვლევდა „ჰაერნაოსნობის“ თეორიას. თავისი დაკვირვებების დასაწ-

ადამიანის ემბრიონის ლეონარდოსეული ჩანახატი

„ანგიარის ბრძოლა“. პიტერ პაულ რუბენსის მიერ გადაღებული ასლი. დედანი ლეონარდოს მიერ შექმნილია 1503-1506 წლებში

ყისში ფრენის პროცესი ესმოდა, როგორც ფრინველთა ფრენის მარტივი მიმბაძველობა. მიიჩნევდა, რომ საკმარისია აღიჭურვო კარგად აგებული ფრთებით, რომელიც ფრინველის ფრთებს ემსგავსება და ადამიანი თავის კუნთოვანი ძალის მეშვეობით შეძლებს ჰაერში აფრენას. მოგვიანებით, ცდებისა და გაანგარიშებათა შედეგად მიხვდა, რომ ადამიანის კუნთოვანი ძალა აპარატს ვერ ასწევდა. საჭირო იყო ძრავა, რომელიც აპარატს აამოქმედებდა. ლეონარდომ მიაგნო ჰელიკოპტერის (ვერტმფრენის) იდეას. მაგრამ იმ დროის ტექნიკა გამოუსადეგარი იყო და ვინჩის მეცნიერული დასკვნების აღსასრულებლად. ლეონარდო ხვდებოდა, რომ მისი ბევრი სამეცნიერო პროექტი გეგმებისა და ნახაზების სახით დარჩებოდა, რადგან ისინი ეპოქის ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს უსწრებდა.

ლეონარდო ხშირად დახეტიალობდა ქუჩებში, არჩევდა ურთიერთსაპირისპირო სახეებს, მათი ესკიზები უბის წიგნაკში გადაჰქონდა და შემდგომ ამა თუ იმ პერსონაჟის სახედ იყენებდა. იგი მხატვართაგან ყველაზე უკეთ წვდებოდა ადამიანთა სულიერ მდგომარეობას.

რენესანსული ხელოვნების ერთ-ერთ უმთავრეს ნიშნულს ანატომია წარმოადგენდა. სამეცნიერო-სამედიცინო ექსპერიმენტებით ყველა დიდი შემოქმედი ინტერესდებოდა. ლეონარდო და ვინჩის ეპოქის ესეისტი არიო სატი აცხადებდა, რომ ექიმებისთვის აუცილებელია ანატომიის ღრმა ცოდნა, ახალბედა მხატვრებისთვის კი მოსამზადებელი სამუშაო ადამიანის ანატომიის შესწავლით იწყებაო. და ვინჩი ღამღამობით საავადმყოფოებში კვეთდა გვამებს და მათზე დაკვირვებით ანატომიას ეუფლებოდა. სხეულის აგებულების კარგი ცოდნა ლეონარდომ გამოავლინა „ანგიარის ბრძოლის“ ხატვისას. ამ უკანასკნელს ბენვენუტო ჩელინი აფასებდა, როგორც სკოლას მსოფლიო მხატვრობისთვის.

1511-1516 წლებში შექმნა ორი ფერწერული ტილო — „წმინდა იოანე ნათლისმცემელი“ და „ბახუსი“. „სადაც მთავრდება იდეები, იქ იწყება სიცარიელე“ — ამ ცნებით ცხოვრობდა დიდი ოსტატი. იგი სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ქმნიდა შედევრებს. უკანასკნელი ნაშრომი ავტოპორტრეტი გახლდათ.

ლეონარდო და ვინჩი გარდაიცვალა 1519 წლის 2 მაისს, 67 წლის ასაკში. დაკრძალულია დ'ამბუაზის სენ-ფლორანტენის ეკლესიაში.

ნინო გაძელიძე

ლეონარდო და ვინჩის ანატომიური ჩანახატები

ლეონარდო და ვინჩის საფლავი დ'ამბუაზის სენ-ფლორანტენის ეკლესიაში.



თემურ ჩხეიძე:

ყველაზე მეტად მეშინია არ დადგეს დღე, როცა აღარავის არ დავჭირდები...

ნოემბრის სუსხი კიდევ უფრო ამუქებს ფერებს.

ნოემბრის სუსხი კიდევ უფრო ამძაფრებს ტკივილს.

და მაინც, მთავარია ადამიანი, მისი სურვილი, გაანათოს დასუსხულ-დაზაფრული წუთისოფელი, უყვარდეს და ამ სიყვარულით სასაფლაოზეც კი ამოიყვანოს მაცოცხლებელი მზე... რატომღაც ეს გამახსენდა, როცა თემურ ჩხეიძეს ვუსმენდი და კინოკადრებად გამიცოცხლდა ერთი ეპიზოდი: სასაფლაოზე მიდის თეთრი ქრიზანთემებით. ეს სითეთრე ყველაფერს ანათებს, თითქმის მზეა, რადგან სიყვარულით ეფინება მისი სხივი დაზაფრულ სიმარტოვეს. სწორედ ეს არის მზე — მკვდრის კი არა — ცოცხალი, ნამდვილი მზე, რომლის ძალითაც ვიბადებით, ვიზრდებით და ბილიკ-ბილიკ გავდივართ ამქვეყნიურ ცხოვრებას... ჩვენ ხომ ყოველთვის შეგვიძლია სიყვარულით „მზე ამოვიყვანოთ“...

თემურ ჩხეიძე, მგონი სულ ასეთი „მზეებით“ მოდიოდა...

* * *

იხსენებს რეჟისორი თემურ ჩხეიძე:

ერთი სიზმარი ჩამრჩა მეხსიერებაში ბავშვობიდან... დედაჩემი ვნახე, მეფერებოდა... არაფერი იმ სიზმარში განსაკუთრებული არ ყოფილა, რატომ დამამახსოვრდა, ვერ გავიგე. რომ გამეღვიძა, რატომღაც შეშფოთებული ვიყავი დიდხანს... რამდენჯერაც გამახსენდებოდა ეს სიზმარი, იმდენჯერ იმავეს ვგრძნობდი.

სამი წლის გავხდი ნოემბერში და იანვარში ბაბუაჩემი — გიორგი ჩხეიძე. გარდაიცვალა. როგორც დედა მეუბნება, მაშინ მომნათლეს... მახსოვს ჩემი ნათლობა. კაცი ანაფორაში, რკინის თასი წყლით... წყალში რომ ჩამაყენეს, მგონი ვიტირე... დამამახსოვრდა, რომ იქ იყო ჩემი ერთ-ერთი ნათლია — ნათელა მახალდიანი. მეშინოდა. ეს მახსოვს, როგორც სურათი.

გიორგი ბაბუა არ მახსოვს, არც მისი გარდაცვალება.

კარგად ვსწავლობდი VII კლასამდე, ფრიადოსანი ვიყავი. მერე თანდათან „ავცდი“ ალგებრა-ტრიგონომეტრიას. ვერ ავუღე ალღო და აქედან გამომდინარე, ინტერესიც არ დამრჩენია... ატესტატი მაქვს საინტერესო: ქიმიაში, ფიზიკაში ოთხები, ალგებრა-ტრიგონომეტრიაში სამები (ხომ უნდა დამემთავრებინა სკოლა, თორემ ისიც არ მეკუთვნოდა, მე რომ მკითხოთ), რაც უნდა უცნაური იყოს, გეომეტრიაში ოთხსა და ხუთს შორის ვიყავი... ოთხი მყავს ატესტატში. სულ მეკითხებოდნენ შინ, გეომეტრიას თუ სწავლობ, ალგებრაში რა გემართებაო. არ ვიცი, რა ხდებოდა. დანარჩენ საგნებში კი მყავდა ხუთიანები. სკოლაში ეტყობა ხვდებოდნენ, რომ სხვა განხრით წავიდოდი და აღარაფერს მეუბნებოდნენ ალგებრაზე... მახსოვს, პირველ ხანებში ძალიან გაუკვირ-

დათ მასწავლებლებს, რომ აღარ ვსწავლობდი ამ საგანს.

მე კი ძალიან განვიცდიდი, რომ არ ვიცოდი. ასეთი განცდა დღემდე გამომყვა, როცა რაღაც არ გამომდის... შვილიშვილიც დამემსგავსა — თუ პირველივე ცდით ვერ გააკეთებს რამეს, ძალიან განიცდის.

არ მახსოვს, ფიზიკურად მეჩხუბა. ერთიორჯერ სკოლაში ალბათ... ჩემი ჯანმრთელობის გამო (ხელი დაზიანებული მაქვს დაბადებიდან), ამხანაგები მიფრთხილდებოდნენ. ბავშვობაში გამაფრთხილეს, ყურადღებით უნდა ვყოფილიყავი, რომ დავცემულიყავი და მომტეხოდა, შეიძლება აღარც აღდგენილიყო. მაგალითად, ფეხბურთს ვთამაშობდი ბევრს. მახსოვს, არ მეჯახებოდნენ, თუმცა არც მითმობდნენ. რომ წამოვიზარდე და ჩხუბები დაიწყო, მე უფრო მოსალაპარაკებლად მივყავდი ამხანაგებს, როცა ჯგუფი ჯგუფთან არჩევდა საქმეს. ვლაპარაკობდი მე, ჩხუბობდნენ ისინი...

დედა რომ სპექტაკლის სათამაშოდ მიდიოდა, მახსოვს, განვიცდიდი. ჩემი ძმა ივიკო უფრო მეტად განიცდიდა. მედიკო მთელი ცხოვრება დაკავებული იყო, მენატრებოდა უბრალოდ... ამას დაემატა ის, რომ როცა რომელიმე ჩემიანი სცენაზე გამოდის, საშინელი განცდა მაქვს, ვკვდები ნერვიულობით. ამიტომაც არ მიყვარდა მისი სახლიდან გასვლა...

მამა როგორი იყო ჩემს ცნობიერებაში?.. როგორიც საერთოდ იყო... ბევრი ადამიანი დარჩა მამაჩემის მადლიერი. ყველა იხსენებდა, რომ სამართლიანი კაცი იყო. ჩემი არ იყოს, ისიც ადვილად აალებადი ყოფილა. მამა რომ გარდაიცვალა (1981 წელს), მაშინ უკვე მარჯანიშვილის თეატრში ვიყავი. სულ ახალგაზრდა გახლდით, რომ ხალხი „ავანსად“ მენდობოდა, მამამისის შვილია, ეგ ტყუილს არ იტყვისო. ასეთი რამ ილექება ტვინში. კოტე მახარაძემ მითხრა ერთხელ ძალიან რთულ და საჭირო დროს საჭირო სიტყვები. ვერ გადამეწყვიტა როგორ მოვქცეულიყავი. არ იყო იოლი გადასაწყვეტი... პასუხი მანაც არ იცოდა ზუსტად. მითხრა: თვითონ უნდა გადაწყვიტო, ერთადერთი არ დაგავიწყდეს, რომ მამაშენის შვილი ხარო. და ამიტომ ის გადავწყვიტე არა ისე, როგორც უმრავლესობას მოეწონებოდა, არამედ ისე, როგორც სამართლიანად მივიჩნიე.

ძალიან ჭკვიანი კაცი იყო კოტე მახარაძე. ექვსი წლის ვიყავი, ის რომ შემოვიდა ჩვენს ოჯახში. ჩვენ იდეალური ურთიერთობა გვქონდა. მაშინაც, როცა გავიზარდე და მაგალითად, შემოქმედებითი თვალსაზრისით სხვადასხვა აზრზე ვრჩებოდით, მისი აზრი უმნიშვნელოვანესი იყო ჩემთვის.

ძალიან გამიმართლა ცხოვრებაში. მამინაცვალი ჰქვია, თორემ მამინაცვალი არ ყო-

ფილმზე „რაიკომის მდივანი“ მუშაობისას

კადრი ფილმიდან „რაიკომის მდივანი“

ფილა ჩემთვის. ჩემს და-ძმებს ვუთხარი კიდეც, თქვენზე არ აქვს კოტეს ისეთი ამაგი, როგორიც ჩემზე-მეთქი. იქნებ იმიტომაც რომ პირველი ბავშვი მე დავხვდი ოჯახში.

მთელი ბავშვობა საშუალოდ ვცხოვრობდით. ჩემს მშობლებს არ ჰქონიათ ბევრის საშუალება... ჩვენ გვქონდა რწმენა, რომ რაც გაქვს, ისიც უნდა გაუნაწილო სხვას... უამრავი ხალხი იზრდებოდა მამაჩემის სახლში, ბებიასთან... ჩვენთანაც ვინ არ რჩებოდა... არ მახსოვს, სახლში მარტო ვყოფილიყავი... მინდოდა ველოსიპედი, გული მწყდებოდა, მაგრამ ისიც ვიცოდი, იოტისოდენა შესაძლებლობაც რომ ჰქონოდათ დედაჩემს ან მამაჩემს, არ დაზოგავდნენ... საყვედურის მსგავსი არაფერი გამივლია გულში.

მერე პატარა და-ძმა გამიჩნდა და იმისი შეგრძნება გაჩნდა, რომ ისინი პატარები იყვნენ და მათ მეტი სჭირდებოდათ. ეს ძალიან კარგი შეგრძნებაა...

აზარტული თუ ვარ? როცა ვთამაშობ, მინდა მოვიგო. მაგალითად, მინდა ნარდი მოვუგო ნანის (მეუღლეს, მსახიობ ნანი ჩიქვინიძეს. — ავტ.)... მახსოვს, ახალგაზრდობაში შვებულების დროს მცირე თანხაზე პოკერი მითამაშია... ზოგჯერ რომ მომიგია, ფულის აღება არასოდეს მნდომებია... ფული არ მაინტერესებდა. თან ვიცი, რომ ძალიან აზარტული ვარ, ამიტომ ვერიდები აზარტულ თამაშს...

პირველად რომ სპექტაკლს ვდგამდი თუ მქონდა შიშის განცდა? შიშის არა, — ღელვის. ასეთი ღელვა არ ქრება... როგორც მაშინ, დღესაც განვიცდი ყველა სპექტაკლზე მუშაობას.

ჩემს ძველ სპექტაკლებს თუ ვუყურებ? ხანდახან... ამას წინათ სატელევიზიო სპექტაკლი ვნახე, მიხაილ ბულგაკოვის „მოლიერი“, საინტერესოა, რომ ვუყურებ, შეცდომასაც ვხედავ, რაღაც მომწონს კიდეც...

ძალიან გამიმართლა ადამიანებში, რომლებმაც გლობალურად დიდი კვალი დატოვეს ჩემს ცხოვრებაში. ამჟამად მეგობრებზე არ ვსაუბრობ... არც ჩემი ცხოვრების მანდილოსნებზე — დედაზე, მეუღლეზე. არც შვილებზე... თუ შეიძლება ითქვას, ჩემი ცხოვრების უფროს მამაკაცებზე გესაუბრებით...

ესენი იყვნენ მამაჩემი, კოტე, მიშა თუმანიშვილი და ცხოვრების ბოლო პერიოდში — კირილ ლავროვი...

ხანდახან მგონია, უფრო სწორად, კი არ მგონია, ასე იყო, რეჟისორი იმიტომ გავხდი, მიშა თუმანიშვილი რომ ძალიან მომწონდა. მისი სპექტაკლები ხომ მომწონდა და მომწონდა, თვითონაც ძალიან მხიბლავდა პიროვნულად. ვიცი რელიგიიდან, კერპი არ უნ-

და შექმნაო, მაგრამ ვშიშობ, მიშა დაახლოებით ასეთი იყო ჩემთვის. მერე და მერე კი ვხედავდი, რომ ისიც ჩვეულებრივი ადამიანი იყო, მაგრამ თავიდან...

ბატონი მიშა რომ წავიდა, ამით ჩემი ცხოვრებიდან წავიდა ადამიანი, რომელთანაც მიდიხარ, რომ გითხრას, რა არ მოსწონს. მას შეეძლო ეთქვა:

— რა არის ეს? არ გრცხვენიათ, ეს რა გაკეთეთ? — თანაც აუცილებლად თქვენობით მომმართავდა...

კი, პრესა დაგიწერს, გაგლანძღავს, მაგრამ ეს რომ შენთვის ისეთივე მნიშვნელობისა იყოს, როგორიც მისი სიტყვები, ჯერ იმ პრესას უნდა ენდობოდე, მის გემოვნებასა და აზროვნებას...

მიშა თუმანიშვილს ვენდობოდი და ვეკამათებოდი კიდეც...

კირილ ლავროვი მარჯანიშვილის თეატრის გასტროლებზე გავიცანი ლენინგრადში. სპექტაკლებზე მოვიდა... მაშინ ლენინგრადის თეატრალური საზოგადოების ხელმძღვანელი იყო. აღარ მახსოვს, რომელი წელი იყო... მგონი 1987 თუ 1988, ერთ-ერთ მცირერიცხოვან დელეგაციაში მოვხვდი იაპონიაში. იმ ჯგუფს ლავროვი ხელმძღვანელობდა... მერე ტოვსტონოგოვი რომ გარდაიცვალა და ლავროვი გახდა დიდი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, მაშინ მომმართა, ძალიან დაბნეული ვართ, ასეთი პიროვნება გამოგვეცალა ხელიდან და იქნებ შენ დაგვიდგა რამეო.

ადრე ტოვსტონოგოვი მეუბნებოდა, შილერის „ვერაგობა და სიყვარული“ დადგიო... მერე ავად გავხდი და ვერ წავედი... კირილ ლავროვმა ეს სპექტაკლი გამახსენა, რაკი ტოვსტონოგოვსაც უნდოდა, მოდი, ეს დადგიო. დავდგი. ამ სპექტაკლში თამაშობდა კიდეც... ჩემთვის ლავროვი რუსული ინტელიგენციის კი არა, არისტოკრატიის სახეა. შემიძლია ვთქვა, რომ რუს არისტოკრატს ვიცნობდი.

მერე ყოველწლიურად ვდგამდი სპექტაკლებს დიდ თეატრში და ცოტა უფრო დიდხანსაც ვრჩებოდი, ვიდრე სპექტაკლის დადგმას სჭირდებოდა. უკვე 18 წელიწადია, დიდ დრამატულ თეატრთან ვარ დაკავშირებული. პირველი სპექტაკლი რომ დავდგი, მას მერე ცდილობდა, ჩემთვის გადმოებარებინა ხელმძღვანელობა. კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან

არ მახსოვს საკითხი, ჩვენ რომ სხვადასხვა აზრი გვქონოდა. ხომ ძალიან უცნაურია?..

ეჭვიანობდა, დიდხანს რომ არ ჩავიდოდი. მირეკავდნენ, ქალივით ეჭვიანობს, ჩამოდი რაო... ერთხელ მორიგი გართულება იყო ჩვენს ქვეყნებს შორის. პანკისთან ბომბები ჩამოყარეს.. დავრეკე მოსკოვში და ტაბაკოვს ვუთხა-

რეპეტიციაზე

კირილ ლავროვის პლაკატთან

რი: არ შემიძლია, ვერ ჩამოვალ, ეს თქვენთვის არის პანკისი სადღაც, თორემ ჩემი სახლიდან იქამდე 170 კილომეტრია-მეთქი. როდემდე არ ჩამოხვალო. საშინლად გაღიზიანებული ვიყავი: ან შეიცვლება რამე, ან საბოლოოდ აღარ ჩამოვალ, არ შემიძლია ახლა ჩამოსვლა და რუსეთში სპექტაკლების დადგმა-მეთქი. ამ საუბრის შინაარსმა მიაღწია ლავროვის ყურამდე. სასწრაფოდ ჩამოფრინდა... რამდენიმე დღე ერთად ვიყავით, ბორჯომში წავედით... ხმა არ ამოგვიღია პოლიტიკაზე... ასე გამოხატა თავისი სათქმელი.

ფეხბურთი უყვარდა ძალიან კირილ ლავროვს. უკვე ცუდად არის, საავადმყოფოში წევს, მხოლოდ სასწაულის იმედი გვაქვს... მოვიდა „ზენიტის“ ჰოლანდიელი მწვრთნელი, გვარად ადვოკაატი და ორი ფეხბურთელი. მან უთხრა ლავროვს, გაისად აუცილებლად ჩემპიონები გავხდებითო. რომ წავიდნენ, მითხრა, — ყველა ახალი მწვრთნელი მაგას მპირდებაო. მომდევნო წელს „ზენიტი“ გახდა ჩემპიონი. მახსოვს, ვუყურე ბოლო თამაშს. დამთავრდა, დავურეკე მძღოლს... იქ ერთი სცენის მემანქანე გვყავს — თათარი ადინი, რომელიც დიდი ხანია მუშაობს და რომელთანაც მოსაუბრე კირილ ლავროვი ხშირად მინახავს. დავუძახე მას, ჩავისვი და წავედით სასაფლაოზე. ვიყიდეთ ბევრი თეთრი ქრიზანთემა... უკვე ბინდდებოდა... ნოემბერი იყო, რა უნდოდა დაბნელებას ნოემბერში. მახსოვს, შევედით და ბინდბუნდში გადავათეთრეთ სასაფლაო მე და ადინმა...

უფროსი მამაკაცებიდან აღარავინ აღარ მყავს... ახლა უკვე ჩემი რიგია...

ვერ ვიტყვი, რომ წავიდნენ, მერე მივხვდი მათ ფასს-მეთქი. მაშინაც ვიცოდი ფასი, ახლაც ვიცი.

რუსეთში მუშაობისას თავს როგორ ვგრძნობ?

იქ მართლა იდეალურად მექცევიან.

პეტერბურგში დაცვა მყავდა? არა, კაცო, არ იყო ის ჩემი დაცვა... დაცვა თეატრს ჰყავს. ერთხელ, წვიმსო და მანქანით მიგიყვანთო... მერე სადარბაზოში შემოიხედეს, მერე სახლამდე ამოვიდნენ, თქვენს ბინას ვნახავთო... მეორე დღეს არ წვიმდა, მაგრამ შეიძლება გაწვიმდესო, მოდი, მანქანით წაგიყვანთო... ასე მატყუებდნენ და უნდოდათ, მივეცილებინე სახლამდე... ცხადია, მივხვდი და კატეგორიული უარი ვთქვი...

ერთადერთი საორჭოფო ის მაქვს, რომ ძალიან ცოტა დროს ვატარებ შვილებთან, შვილიშვილებთან... ნანისაც მერიდება... სამაგიეროდ, ზაფხული რა კარგია! ჩამოვდივარ და თავიდან ეწყობა ურთიერთობები.

როცა პეტერბურგში ვარ, სანამ არ დავრეკავ და არ დავრწმუნდები, რომ ყველა შინ არის, მანამ ვერ ვიძინებ...

ტექნიკასთან როგორი ურთიერთობა მაქვს? მკვეთრად უარყოფითი. დღემდე არ ვიცი მესიჯის წაშლა, ნომრის შეყვანა ტელეფონში... ერთხელ დივიდი დისკი მინდოდა მენახა... ვერ ჩავრთე. დავუძახე შვილიშვილს, მოდი ნახე, რა სჭირს-მეთქი. მაშინ ექვსი წლის იყო... მოვიდა და ძალიან ტაქტიანად მითხრა: ეს დისკი რომ უკუღმა დევს, ალბათ, იციო... ჰო, კიდევ გადაწვა შემიძლია ნებისმიერი მიკროსქემის. ისეთს რას გავაკეთებ, ჩავრთავ, გამოვრთავ... რატომ იწვება, არ ვიცი... ერთმა მსახიობმა თქვა: ეს ტექნიკას ანადგუ-

რებს და ჩვენ რას გვიზამს, აზრზე ხარო!

ნივთებთან მიჩვევა ვიცი? ვიცი, აბა რა! მიყვარს რომელიმე სამოსის ამოჩემება. მერე შინ მეტყვიან, რა არის, რა გაცვიაო... მიყვარს და მეცვას, რა იქნება... თანდათან რომ ვბერდები, შვილებს ვუჯერებ. მეტყვიან, ეს ჩაიცვიო და მეც ვიცვამ მათ არჩეულს...

ისე, ჩვენ ხომ საკუთარ თავს ვერ აღვიქვამთ... სხვები იცვლებიან, ბერდებიან, საკუთარი თავი კი იგივე გგონია... არადა ამას წინათ კეფიდან დავინახე ჩემი თავი ტელეეკრანზე და — მოვხუცებულვარ...

ერთი უჩვეულო რამ უნდა გითხრათ. მარტო არ მწყინდება. მონატრება სხვა რამ არის... მაგრამ რომ ამბობენ, მარტო ვარ და რა გავაკეთო, არ ვიცი, — რას ამბობ! მარტო რომ ვარ, მაშინ ვაკეთებ თუ ვაკეთებ! ხშირად ველოდები, როდის დაწვებიან ოჯახის წევრები, რომ მარტო დავრჩე... ასე უნდა ავიღო მუხტი, რომ მერე გავცე...

მიმწუხრი დადგა უკვე...

მთელი ცხოვრება მეგონა, რომ იმ ასაკამდეც ვერ მოვიდოდი, რომელშიც ვარ. ნახევარი ცხოვრება საავადმყოფოში მაქვს გატარებული, მეორე ნახევარი — თეატრში. ჯერჯერობით, როცა სერიოზულად ავად ვხდები, წინა დღესაც კი ამაზე არაფერი მეტყველებს. უცებ დამატყდება ხოლმე თავს ავადმყოფობა. ამიტომ წინასწარ მომავალზე არ ვფიქრობ.

ყველაზე მეტად, იცი, რისი მეშინია? არ დადგეს დღე, როცა აღარავის არ დავჭირდები... ერთ მშვენიერ დღეს მსახიობებმა არ თქვან: აუ, ახლა კიდევ ამ ბებერთან რეპეტიცია არ გინდაო! მით უმეტეს, თუ ვერ მივხვდი ამას... თუ მივხვდები, კიდევ არა უშავს.

მე განებივრებული ვარ, მსახიობებს ყოველთვის ვუნდოდი. ბედნიერებაა, როცა გელოდებიან, შენთან მუშაობაზე ოცნებობენ. მეც ასე ვარ, როცა მივდივარ რეპეტიციაზე, კონკრეტულ მსახიობთან შესახვედრად მივდივარ და არა ზოგადად რეპეტიციაზე... ამის გარეშე წარმოდგენაც კი არ მინდა თავის.

რამდენჯერ მიფიქრია: ის მნიშვნელოვანი მომენტი რომ დადგება — ბოლო მომენტი, ისეთ პანიკაში არ ჩავვარდე, ისე არ გამოვიცვალო, რამე ისეთი არ გავაკეთო, რაც მგონია, რომ მე არ ვარ...

ეს არის ყველაზე ცუდი, როცა სასოწარკვეთილი ადამიანი ისე იქცევა, როგორც არასოდეს მოიქცეოდა...

ლელა ჯიყაშვილი

რეჟისორის დედა, მედეა ჩახავა და მაკა მახარაძე



„წარსული ჩვენი ძლიერი ფესვია“

„მყარად იმიტომ ვდგავართ, რომ ძლიერი ფესვი გვაქვს“

ადრეულ წლებში წაკითხული წიგნის პერსონაჟებს ძერწავდა, დღეს იმ „გამოძერწილ“ გმირებზე ფილმებს იღებს. ამჯერად „ერუდიტში“ ახალგაზრდა რეჟისორი ნიკა ხომასურიძე მოვიწვიეთ. ის ძირითადად ისტორიულ ნაწარმოებებზე მუშაობს, მალე „დავიწყებული მეფის“ პრემიერას შემოგვთავაზებს, რომლის მთავარი გმირი დემნა უფლისწულია. უახლოეს მომავალში „ჯინსების თაობის“ გადაღებას იწყებს. წინ კიდევ ბევრი საინტერესო გეგმა და ისტორიული ფილმის სცენარი აქვს.

— ნიკა, საქართველოს ისტორიიდან თქვენი საყვარელი გმირი რომელია?

— 200 თავგანწირული მეომარი, რომლებიც დიდგორის ომში მრავალათასიან არმიას შეებნენ და რაღა თქმა უნდა — დავით აღმაშენებელი. ამაყი ვარ, რომ საქართველოში დავიბადე და გავიზარდე, სხვა სამშობლო ვერც წარმომიდგენია. ბევრს ვკითხულობ და ვცდილობ, ჩვენი წარსულიდან რაც შეიძლება მეტი ამბავი გავიგო. ჩვენი ფესვები ხომ წარსულიდან მოდის, ერს რაც უფრო ძლიერად აქვს წარსულში ფესვი გადგმული, მით უფრო ძლიერია, ფეხზე მყარად დგას. ამის კარგი მაგალითია ჩვენი ქვეყანა და ისტორია. ქვეყნის მომავალი სწორედ წარსულზე დაყრდნობით უნდა ავაშენოთ.

— ბერძენ ისტორიკოს პოლიბიუსს მიაჩნდა, რომ ისტორიკოსმა კარგად უნდა იცოდეს: გეოგრაფია, სამხედრო საქმე და ..., რათა მისი ნაშრომები მომავალი თაობის პოლიტიკურ მოღვაწეთა სახელმძღვანელოდ იქცეს. დაასახელეთ გამოტოვებული სიტყვა, რაში უნდა ერკვეოდეს ისტორიკოსი კარგად?

— რადგან პოლიტიკური მოღვაწეობა ახსენეთ, ვფიქრობ, პოლიტიკა იქნება. ასეა? კიდევ ვფიქრობ, რომ ისტორიკოსს წერა უნდა ეხერხებოდეს.

— გამოიცანით, პოლიბიუსი სწორედ პოლიტიკას გულისხმობდა. ქართველ მეფეთა შორის ის ერთადერთი იყო, რომელიც ატარებდა ყველაზე მაღალ ბიზანტიურ ტიტულს — კესაროსობას. მოგეხსენებათ, კესაროსი საიმპერატორო ტახტის ერთ-ერთ რეალურ მემკვიდრედ ითვლებოდა. ამიტომ ეს ტიტული თითქმის ყოველთვის საიმპერატორო კარის ნათესავს ენიჭებოდა. დაასახელეთ ამ ტიტულის მფლობელი ქართველი მეფე.

— როგორც მახსოვს, ბიზანტიური ტიტულები გიორგი II-ს ჰქონდა.

— დიახ. რომელ ქალაქში ინახებოდა ათი მცნების ქვა, ვიდრე იგი ტაძრის დარბევის შემდეგ დაიკარგებოდა?

— იერუსალიმში, სოლომონის მიერ აგებულ ტაძარში.

— მუსლიმთა რომელი სალოცავია იმ კლდეზე აგებული, საიდანაც გადმოცემით მუჰამედი სამოთხეში ავიდა?

— ომარის მეჩეთი.

— რა ჰქვია კათოლიკურ წირვას?

— მესა.

— 1872 წელს თბილისსა და ფოთს შორის რკინიგზის გახსნის შემდეგ, ერთ-ერთი უბნის ტერიტორია ორ ნაწილად გაიყო. რკინიგზის აღმოსავლეთ ნაწილში მუშახელი მიწებს უნებართვოდ იკავებდა და სახლდებოდა. რა ეწოდა ახალ უბანს?

— დღესაც იგივე სახელი ჰქვია?

— დიახ.

— ნაძალადევი.

— რომელი ქართველი მეფის ეპიტაფია ეკუთვნის ცნობილ ქართველ ფილოსოფოსს არსენ იყალთოელს?

— დავით აღმაშენებლის.

— ის სოფელ ლიხაურში (ოზურგეთის რაიონი), აზნაურის ოჯახში დაიბადა. მეტისმეტად მკვირცხლსა და დაუდეგარს სამი წლისას მარცხი შეემთხვა. „ბავშვობაში ცელქი ვყოფილვარ, სამი წლისა ხეზე გავსულვარ, გადმოვვარდნილვარ და მარჯვენა ფეხი მომიტეხია“, — წერს მოგონებებში. ამის გამო მთელი ცხოვრება ხელჯოხზე დაყრდნობილი დადიოდა. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დასრულების შემდეგ...

— (*მაწყვეტინებს*) უკვე ვხვდები, ვისზეა ლაპარაკი, თუმცა რომ არ შემეშალოს, განაგრძეთ...

— მან სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტში გააგრძელა. თბილისში 1888 წელს დაბრუნდა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი გახდა. პარალელურად „ივერიაში“ აქვეყნებდა ძველ ხელნაწერთა აღწერილობებს. „საზოგადოების წევრი რომ გავხდი, მივიხედ-მოვიხედე, შევიტყვე, რომ იმ ძვირფას ხელნაწერებს კაცი პატრონი არ ჰყავდა, ძალაუნებურად მოვკიდე ხელი, დავუწყე პატრონობა, თან ახალ-ახალსაც ვაგროვებდი, შემოწირულით აღარ ვჯერდებოდი, საზოგადოების ხარჯზე შეძენაც დავიწყე, სხვადასხვა კუთხეში მიმოწერა გავაჩაღე, აგენტები გავიჩინე“... დაასახელეთ ეს მოღვაწე.

— ექვთიმე თაყაიშვილი. ამ ღვაწლმოსილმა მეცნიერმა ჩვენი ქვეყნისთვის ბევრი კარგი საქმე გააკეთა. მის მოღვაწეობაზე უახლოეს მომავალში ფილმის გადაღებას ვაპირებ, სცენარზე მუშაობა უკვე დავასრულე.

— წარმატებას გისურვებ! შემდეგ კითხვაზე გადავიდეთ. საქართველოს რომელი სამთავრო გააუქმა რუსეთმა ყველაზე გვიან?

— აფხაზეთის.

— „არიან ქვეყნები, სადაც სილამაზე უპირატესობად არც ითვლება, რადგან ყველა ლამაზია. მოგზაურები ამას ერთხმად ამბობენ საქართველოს შესახებ“. ძველი დროის რომელ ცნობილ ისტორიკოსს ეკუთვნის ეს სიტყვები?

— სტრაბონს. სწორად ვამბობ?

— დიახ. ეს ქართველი სამხედრო მოღვაწე 1888 წლის 14 ივლისს დაიბადა. იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე. 1922-1924 წლებში ხელმძღვანელობდა პარტიზანულ ბრძოლას საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ. 1923 წელს მისი რაზმი რამდენჯერმე თავს დაესხა წითელ არმიას. ბოლოს 26 თანამებრძოლთან ერთად თურქეთის გავლით საფრანგეთში გადაიხვეწა. ემიგრაციაში გარდაიცვალა. საშშობლოში 2005 წლის 23 ნოემბერს გადმოასვენეს და მისი ნეშტი მთაწმინდის პანთეონში დაკრძალეს. დაასახელეთ, ვის შესახებ არის საუბარი?

— ქაქუცა ჩოლოყაშვილის შესახებ. ფილმში, რომელსაც ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებაზე გადავიღებ, იქნება სცენა, სადაც ქაქუცა და ექვთიმე ერთმანეთს შეხვდებიან. ვფიქრობ, საინტერესო სცენა გამოვა, ცოტა ამაღელვებელიც.

— რომელი ქართველი მხატვრის მოხატულია ქაშუეთის ტაძრის საკურთხეველი?

— ლადო გუდიაშვილის.

— ვინ დააარსა საფრანგეთის უმაღლესი ჯილდო — საპატიო ლეგიონის ორდენი?

— შარლ დე გოლმა?

— არა, ნაპოლეონმა დააარსა. ამბობენ, რომ იგი აილუროფობიით იყო დაავადებული. რისი ეშინოდა ნაპოლეონს?

— არ ვიცი.

— კატების.

— მართლა? პირველად მესმის.

— რა ნათესაური კავშირი არსებობდა ქართლის მეფე ლუარსაბ II-სა და გიორგი საакაძეს შორის?

— გიორგი სააკაძე ლუარსაბის დის ქმარი გახლდათ.

— ეს კავშირი 1922 წლის 30 დეკემბერს შეიქმნა და 1991 წლის 2 დეკემბერს დაიშალა. რომელ კავშირზეა ლაპარაკი?

— საბჭოთა კავშირზე.

— რა ერქვა ვახტანგ გორგასლის ვაჟს?

— დაჩი.

— მიედინებოდა თუ არა მტკვარი მშრალი ხიდის ქვეშ?

— მიედინებოდა. ცოტა ხნის წინ ეროვნულ ბიბლიოთეკაში ვიყავი და იქ ვნახე ამის ამსახველი ფოტო.

— საქართველოს რომელ კუთხეში მდებარეობს სამთავისის საეპისკოპოსო?

— ქართლში.

— „სამშობლოს არვის წავართმევთ, / ნურც ნურვინ შეგვეცილება, / თორემ ისეთ დღეს და-

„ჰანიბალი ჩემი საყვარელი გმირია. მასზე ფილმს აუცილებლად გადავიღებ“

ვაყრით, / მკვდარსაც კი გაეცინება“. ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

— ვაჟა-ფშაველა.

— ვინ იყო ფაშისტური გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი?

— რიბენტროპი.

— კვირის რომელ დღეს გასცეს ქრისტე?

— ოთხშაბათს.

— რა ერქვა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ერთ-ერთ გმირს, მარატს?

— ვერ ვიხსენებ.

— ჟან-პოლ მარატი. რას უწოდა ფილოსოფოსმა კარლ გუსტავ იუნგმა „დიპლომატიის არდადეგები“?

— ერთი წუთით დავფიქრდები და გიპასუხებთ (*პაუზის შემდეგ*), ომს, არა?

— გამოიცანით. ვინ დაუბეჭდა სტალინს სიყმაწვილეში ლექსი „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“?

— ილია ჭავჭავაძემ.

— გერმანელების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის დროს პიკასოს ატელიეში ხშირად გერმანელი ოფიცრები მიდიოდნენ. მხატვარი ყველას სამახსოვროდ აძლევდა თავისი ცნობილი სურათის პირს. ტილოზე ფაშისტების მიერ ესპანეთის ქალაქ გერნიკას განადგურება იყო ასახული. ერთხელ ატელიეში მისულმა გესტაპოს აგენტმა ჰკითხა — ეს თქვენი ნამუშევარია? რა უპასუხა პიკასომ?

— არა, თქვენი!

— ისტორიულად რომელ ქვეყანაში არ განუცდიათ ებრაელებს ეროვნული და სარწმუნოებრივი დევნა?

— საქართველოში.

— X საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორმა დახმარებისთვის დავით კურაპალატს მიმართა. ვინ მეთაურობდა ბიზანტიაში გაგზავნილ ჯარს?

— თორნიკე ერისთავი.

— დაასახელეთ პირველი ქართველი, რომელმაც დისერტაცია უცხო ენაზე დაიცვა.

— არ ვიცი.

— ნიკო ნიკოლაძე. მან ციურიხის უნივერსიტეტი 1868 წელს დაამთავრა და დაიცვა დისერტაცია, რისთვისაც ციურიხის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი მიანიჭეს.

— ვიცოდი და ვეღარ გავიხსენე.

— რომელ ქვეყანაში მოღვაწეობდა ანთიმოზ ივერიელი?

— რუმინეთში.

— რა იყო გეორგიევსკი, სადაც 1783 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის ცნობილ ტრაქტატს მოაწერა ხელი?

— ციხესიმაგრე.

— ის ძველი დროის გამოჩენილი მხედართმთავარი იყო. კართაგენის საზოგადოების წარჩინებულთა გვარის წარმომადგენელი. მისი მხედართმთავრული ნიჭი გამოვლინდა კანთან ბრძოლაში. ახალი ტაქტიკა შეიმუშავა და პირველად გამოიყენა ერთდროული დარტყმა ორივე ფლანგზე. სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, თავი იმ საწამლავით მოიკლა, რომელსაც მთელი ცხოვრება ბეჭდით დაატარებდა.

— მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი გამოჩენილი პიროვნება ჰანიბალი. ჩემი საყვარელი გმირია. 12 წლისას დაბადების დღეზე მაჩუქეს წიგნი, რომელშიც მისი ცხოვრებაა ასახული. ეს წიგნი არაერთხელ წავიკითხე. ჰანიბალზე ფილმს აუცილებლად გადავიღებ.

— რომელ ენაზე წერდა და კითხულობდა ჩინგიზ ყაენი?

— მან წერა-კითხვა საერთოდ არ იცოდა, მაგრამ ჩემი აზრით საუკეთესო მენეჯერი იყო. მან შექმნა ვრცელი იმპერია. ძლიერი პიროვნება იყო.

— დაასრულეთ ნაპოლეონის ცნობილი გამონათქვამი: „რუსეთის გენერლებს შორის ყველაზე მეტად ერთი მაფიქრებს, ესაა...

— „... ესაა ბაგრატიონი“.

თამარ კვინიკაძე

Ci vis pacem - Para Belum!

თუ გსურს მშვიდობა... ემზადე ომისთვის!



არსენალი

კაცური ჟურნალი
არა მარტო მამაკაცებისათვის!

ჟურნალის სურვილია, „ცოცხალი ისტორიისკენ“ მოაბრუნოს მკითხველი...



ჟურნალ „ისტორიანის“ რედკოლეგია. ზემოთ: ალექსანდრე ბოშიშვილი, ოქროპირ ჯიქური, ჯაბა სამუშია და ელენე სალარიძე; ქვემოთ: ნინო ჯაფარიძე და გელა გურგენიძე

დავით ლორთქიფანიძე

დრო ხომ ისედაც სწრაფად გადის და ერთი წელიწადის გასრულებას რაღა უნდოდა. შარშან ახალი წელი ახალი ჟურნალით მივულოცეთ მკითხველს და აგერ უკვე წელიწადიც მობრუნდა! ახლა ჩვენც ვულოცავთ ახალ წელს უკვე მრავალათასიან და ერთგულ (იმედი გვაქვს, თავის მოწონებაში არ ჩამოგვართმევთ) მკითხველს და ისინიც გვილოცავენ... „მინიიუბილეს“!

„ჩვენი სურვილია, „ისტორიანი“ „ცოცხალი ისტორიის“ მთხრობელად იქცეს“ — ვამცნობდით უცნობ მკითხველს ჟურნალის პირველი ნომრით და რომ იტყვიან, ამ ერთი წელიწადის განმავლობაში არჩეული გზისთვის არ გადაგვიხვევია.

გვსურდა (და ეს სურვილი არ შეცვლილა!) პოლიტიკური ბაკქანალიითა და ყვითელი პრესის ათასი ჭორ-მართლით გადაღლილი მკითხველი სწორედაც რომ „ცოცხალი ისტორიისკენ“ მიგვებრუნებინა. ჩვენ არ ვიტყვით, რომ ეს შევძელით. მაგრამ იმას კი ვიტყვით, რომ უკვე მრავალი ქომაგი გვყავს, რომლებიც გვწერენ, გვირეკავენ, რედაქციაში მოდიან და რაღა თქმა უნდა, ჩვენი ჟურნალის ყოველ ახალ ნომერს ჩვენზე ნაკლებ როდი მოელიან. „ისტორიანის“ ავტორთა შორის სახელგანთქმული მეცნიერებიც არიან, მწერლებიც, საზოგადო მოღვაწენიც, სიამოვნებით რომ თანხმდებიან ჩვენთან თანამშრომლობას. მეტიც, თავადვე გვთავაზობენ თავიანთ ნაშრომებსა თუ პუბლიკაციებს. საზ-

ღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულენიც გვირეკავენ და მადლობას გვიხდიან მათ შესახებ მომზადებული სტატიების თუ უნიკალური ფოტომასალების გამოქვეყნებისთვის.

დავით ლორთქიფანიძე *(ეროვნული მუზეუმის დირექტორი, პროფესორი):* — „გასაოცარი ქართული საგანძურისა“ და ქართული მუზეუმების შესახებ უცხოური პრესა უფრო მეტს წერს, ვიდრე ქართული. ამ მხრივ „ხარვეზი“ შეიძლება ითქვას, ჟურნალმა „ისტორიანმა“ შეავსო.

როინ მეტრეველი *(ისტორიკოსი, აკადემიკოსი):* — ახლა საზღვარგარეთ ვიმყოფები და სიამოვნებით ვუერთდები მათ, ვინც ახალ წელსა და „იუბილეს“ გილოცავთ. ძალიან კარგსა და კეთილ საქმეს აკეთებს თქვენი ჟურნალი და წარმატებები მინდა გისურვოთ. პოპულარობა არ გაკლიათ და ასე განაგრძეთ.

მარიკა ლორთქიფანიძე *(აკადემიკოსი):* — კარგია, რომ ჟურნალი თავის ფურცლებზე საქართველოს უახლეს ისტორიასაც წარმოგვიდგენს და არცთუ ურიგოდ. ამით იგი ამართლებს თავის სახელწოდებას: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ხომ თამარის მემატიანემ წარუდგინა პირველად ქართველ ერს...

აბესალომ ვეკუა *(პალეონტოლოგი, აკადემიკოსი):* — ბოლოს და ბოლოს, გამოჩ-

როინ მეტრეველი

მარიკა ლორთქიფანიძე

ელდარ ნადირაძე და აბესალომ ვეკუა

ზაზა აბზიანიძე

ქეთევან ხუციშვილი

თედო დუნდუა

ნდა ჟურნალი, რომელიც ყურადღებას იმსახურებს როგორც შინაარსით, ასევე შესანიშნავი დიზაინით. მოხარული ვარ, რომ „ისტორიანი“ საყურადღებო საკითხებს აშუქებს და მასში წარმოდგენილი ისტორიული მასალები პასუხობს თანამედროვეობის, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის მოთხოვნებს. ამიტომაც სიამოვნებით ვთანამშრომლობ თქვენთან და თუ ახალი წლიდან ჟურნალის ხელმომწერთა რიგებში „ჩამრთავთ“ (არ მინდა, რომელიმე ნომერი გამომრჩეს წაუკითხავი), მადლობელი დაგრჩებით.

ელდარ ნადირაძე *(ეროვნული მუზეუმის მთავარი კურატორი, პროფესორი):* — ჩემს დამოკიდებულებას ჟურნალისა და მისი კოლექტივისადმი იმით გამოვხატავ, რომ მინდა მისი ფორმატი გაიზარდოს. იმდენად მრავალფეროვანია, ძალიან სწრაფად „იკითხება“... პირველ ეტაპზე, ოც გვერდს მაინც რომ დაუმატებდეთ...

ზაზა აბზიანიძე *(მწერალი):* — ჟურნალის პრეზენტაციაზე განვაცხადე, რომ „ისტორიანმა“ შეავსო ის ნიშა, რომელიც თავისუფალი იყო ქართულ პრესაში და მინდა თქვენც მოგილოცოთ და ჩემს თავსაც, რომ არ შევმცდარვარ. კარგია, რომ თანამედროვე მკითხველი წარსულთან მიბრუნებას ახერხებს და დარწმუნებული ვარ, მას ამაში თქვენი ჟურნალიც ეხმარება.

ქეთევან ხუციშვილი *(ისტორიკოსი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი):* — ჟურნალის ღირსება ისიც არის, რომ იგი მრავალპროფილიანია და მრავალი მიმართულება აქვს როგორც შემეცნებითი, ასევე საგანმანათლებლო თვალსაზრისით. მასში ბევრ სიახლეს პოულობენ როგორც სპეციალისტები, ისე ფართო საზოგადოება. ყურადღებას იქცევს ახლებური დიზაინითა და მრავალფეროვანი ილუსტრირებით. დავძენდი იმასაც, რომ იმავდროულად „გათვლილია“ ყველა ასაკის მკითხველზე, პატარებზეც კი...

პაატა ნაცვლიშვილი *(ჟურნალისტი):* — დარწმუნებული ვარ, ჟურნალის შემოქმედებით ჯგუფს „საიუბილეო“ საქებარი სიტყვები არ გაათამამებს და ახალი წლიდან არაერთ სიახლეს შესთავაზებს მკითხველს.

ციცო არსენაშვილი *(პედაგოგი):* — პროფესიით ფიზიკოსი ვარ, მაგრამ როცა ჩემს ისტორიკოს მეგობარს სკოლაში ახალი ჟურ-

ნალი „აღმოვუჩინე“, მეც „ისტორიანის“ მუდმივი მკითხველი გავხდი. ამ ჟურნალში ჩემი მოსწავლეებიც პოულობენ სათავისო საკითხავს და ისიც მომწონს, რომ „მსუბუქი“ ჟურნალებიდან სერიოზულ, შემეცნებით „ისტორიანზე“ გადაერთნენ, მართალია, დროდადრო, მაგრამ მაინც...

ᲘᲕᲔᲚᲘ ᲓᲣᲜᲓᲣᲐ *(ისტორიკოსი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე):* — დიდი ხანია ქართველი საზოგადოება ელოდა ისტორიულ-შემეცნებით ჟურნალს და მის პირველ ნომრებსაც ინტერესით შეხვდა. ამ ერთმა წელიწადმა კი დაადასტურა, რომ ჟურნალმა მოლოდინი გაამართლა. ამას თუნდაც ისიც მოწმობს, რომ ყოველი თვის დასაწყისში უნივერსიტეტში ძალიან ბევრ პროფესორს თუ სტუდენტს შეხვდებით „ისტორიანის“ ახალი ნომრით ხელში...

ᲙᲐᲮᲘ ᲙᲐᲕᲡᲐᲫᲔ: — გილოცავთ, ჩემო კარგებო! მართლა საიუბილეო თარიღები მომელოცოს თქვენთვის (ხომ ხვდებით, ამით ჩემს თავსაც ვლოცავ). მიხარია, რომ ჩემი და ჩემი ოჯახის ისტორია „ისტორიანმა“ ღირსეულად, ყოველგვარი „ყვითელი ფერების“ გარეშე გააცნო საზოგადოებას.

ᲘᲕᲐᲜᲝ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ *(შოუმენი):* — მკითხველს მარტო ის კი არ აინტერესებს, როდის და როგორ მიმართა დავით აღმაშენებელმა დიდგორის ბრძოლის წინ თავის ლაშქარს, არამედ ისიც, იცის თუ არა ამის შესახებ ამა თუ იმ ცნობილმა პერსონამ. და როცა ამგვარი შეკითხვების დიდ ნაწილს თავი გავართვი, ანუ გამოცდა კარგად „ჩავაბარე“, იმის შემდეგ „ისტორიანში“ ყურადღებით ვეცნობი რუბრიკა „ერუდიტს“ (რა თქმა უნდა, სხვა მასალებსაც სიამოვნებით ვკითხულობ). ამით ვიგებ, ვინმემ ხომ არ მაჯობა (ჯერჯერობით, ყველაზე წინ ვარ!). ხომ იცით, ივანე ჯავახიშვილებს ვერავინ შეგვედრება!

ᲙᲝᲢᲔ ᲩᲝᲚᲝᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘ *(ეთნოლოგი, პროფესორი):* — „ისტორიანი“ ერთი წლისაა, მე კი წელს 90-ის გავხდები! ჩემზე ისე მოუთხრო ამ ჟურნალმა მკითხველს, ბევრგან ვთქვი, რომ ამისთვის ღირდა, იმდენ წელიწადს ქართული „იარაღის მცველის“ მძიმე ტვირთი მეტარებინა. „იუბილეს“ გილოცავთ, ისტორიანელებო!.. ჩემს ასაკამდე მოიყარეთ!

ᲜᲘᲜᲝ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

კახი კავსაძე

ვანო ჯავახიშვილი

კოტე ჩოლოყაშვილი

საყიდლებზე წასვლა



112 **მსოფლიოში პირველი დიდი სავაჭრო ცენტრი რომში გაიხსნა.** მას ტრაიანეს ბაზარი ეწოდებოდა და გაშენებული იყო კვირინალის ბორცვზე. სავაჭრო ცენტრის დიდ გალერეაში იყო დაახლოებით 150 მაღაზია, სადაც სხვადასხვა საქონელი იყიდებოდა.

113 **რომაელებს უყვარდათ ვაჭრობა.** საქონელს ფასს ვაჭარი ადებდა და მყიდველი და გამყიდველი დიდხანს ევაჭრებოდნენ ერთმანეთს.

გაგრძელება. დასაწყისი „ისტორიანი“ №№7-12 ● ნაწყვეტი წიგნიდან „500 ფაქტი ისტორიიდან“



ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐ ᲠᲝᲛᲐᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲖᲝᲛᲝ?

— რომაელებს განსხვავებული საზომი სისტემა ჰქონდათ. გაარკვიე, როგორ იყო იგი!

— პესი 29 სანტიმეტრს უდრიდა. თუ შენი სიმაღლე 1 მეტრი და 16 სანტიმეტრია, რა სიმაღლისა იქნებოდი რომაული სისტემით?

— რომაული ლიბრა 326 გრამის ტოლია. გაარკვიე, რამდენს იწონის შენი საყვარელი სათამაშო?

— სექსტარიუსი 450 მილილიტრს უდრის. შეამოწმე, რა ზომის ქვაბი დაიტევს ამ რაოდენობის სითხეს.

114 რომაელები დილაადრიან მიდიოდნენ საავჭროდ. ბევრი მაღაზია და ფარდული შუადღისას უკვე იხურებოდა. მყიდველს დიდხანს უწევდა სიარული, რადგან საჭირო საქონელი ქალაქის სხვადასხვა ნაწილში იყიდებოდა.

© Miles Kelly © გამომცემლობა პალიტრა L, 2011

საჭმელ-სასმელი

115 რომაელთა უმრავლესობა დღის განმავლობაში ძალიან ცოტას ჭამდა. საუზმედ პურსა და წყალს შეექცეოდნენ, შუადღისას კი პურსა და ყველს ან ხილს. ეს იყო მათი საკვები დაახლოებით 16 საათამდე. მდიდარ ოჯახებში სადილი სამი კერძისგან შედგებოდა და ტრაპეზი შეიძლებოდა სამ საათსაც გაგრძელებულიყო. ღარიბებს გაცილებით უბრალო რაციონი ჰქონდათ: ოსპისა და ხახვის წვნიანი, ქერის ფაფა, ბარდა, კომბოსტო და ძმარში ჩაშუშული იაფფასიანი ხორცი.

116 **მხოლოდ მდიდარ რომაელებს ჰქონდათ საკუთარი სამზარეულო.** ჰყავდათ მზარეულიც, რომელსაც მონები ეხმარებოდნენ. უბრალო ხალხი დუქნებში სადილობდა ან ქუჩაში ჩარიგებულ ფარდულებში სახელდახელოდ მომზადებულ საჭმელს ყიდულობდა.

117 **წვეულებებზე რომაელები მაგიდის გარშემო შემოწყობილ ტახტებზე წამოწოლილი შეექცეოდნენ საჭმელს.** ყველას თავს ყვავილების გვირგვინები უმშვენებდა. სასადილო ოთახში შესვლისას სტუმარ-მასპინძელი სანდლებს იხდიდა.

ნამდვილი რომაული კერძი

მსხლის სუფლე

— 1 კგ მსხალი (გათლილი და გულამოღებული)
— 6 კვერცხი (ათქვეფილი)
— 4 ს/კ თაფლი
— ცოტაოდენი ზეითუნის ზეთი
— ცოტაოდენი მარილი
— 1/2 ს/კ ძირა
— შავი პილპილი გემოვნებით

სთხოვე მშობელს დაგეხმაროს სუფლეს მომზადებაში.

დასრესილ მსხალს მოაყარე პილპილი, ძირა, დაუმატე თაფლი, ცოტაოდენი ზეითუნის ზეთი, ათქვეფილი კვერცხები და კარგად აურიე. მიღებული მასა ცეცხლგამძლე ჭურჭელში მოათავსე და აირღუმელში დაახლოებით 30 წუთით შედგი. სუფრაზე მიტანამდე სუფლეს ცოტაოდენი შავი პილპილი კიდევ მოაფრქვიე.

◄ რომაულ წვეულებაზე სტუმრებს მიართმევდნენ კიბორჩხალებს, შემწვარ ხორცს, კვერცხს, ბოსტნეულს, ახალ ხილს, ნამცხვრებსა და თაფლუჭს. რომაელებს ცხარე და მომჟავო-მოტკბო კერძები უყვარდათ.



სკოლა

118 **რომაელი ყმაწვილები ლამაზად მეტყველებას სწავლობდნენ.** სკოლებში სამი ძირითადი საგანი ისწავლებოდა: კითხვა, მათემატიკა და ორატორული ხელოვნება. საზოგადოებაში ღირსეული ადგილი რომ დაემკვიდრებინათ, ყმაწვილებს კარგი ცოდნა უნდა მიეღოთ. მაშინ არ არსებობდა გაზეთები, ტელევიზია და ამიტომაც პოლიტიკოსები, მხედართმთავრები და სხვა ოფიციალური პირები სიტყვით გამოდიოდნენ და ხალხს თავიანთი გეგმებისა და პოლიტიკური კურსის შესახებ ესაუბრებოდნენ. ყმაწვილები სკოლაში შვიდი წლის ასაკში იწყებდნენ სიარულს და 16 წლისანი ამთავრებდნენ.

▼ **რომაელ ყმაწვილებს სკოლის მონა მასწავლებელი კითხვაში ავარჯიშებს.**

119 **რომაელი გოგონები სკოლაში არ დადიოდნენ.** ისინი უმეტესად შინ იყვნენ და დედები და მონაქალები კერძების მომზადებას, სახლის დალაგებას, ქსოვასა და ბავშვის მოვლას ასწავლიდნენ. მდიდარი ოჯახის შვილებს ან იმ გოგონებს, რომელთაც მამა ვაჭარი ჰყავდათ, წერა-კითხვასა და ანგარიშში გაწაფავდნენ.

◄ **გოგონას ქნარზე დაკვრას ასწავლიან.**

120 **საუკეთესო მასწავლებელთა უმეტესობა მონა იყო.** მასწავლებლები ან კერძო რეპეტიტორები ხშირად საბერძნეთიდან ჩამოდიოდნენ. მათ ყიდულობდნენ შეძლებული ოჯახები, რომელთაც სურდათ ვაჟებისთვის კარგი განათლება მიეცათ. ბერძნებს სწავლა-განათლების ძირძველი ტრადიციები ჰქონდათ, რაც ძალიან მოსწონდათ რომაელებს.

121 **რომაელები ბევრს წერდნენ, მაგრამ არა ქაღალდზე.** წერილებისა და ყოველდღიური საჭიროებისთვის ხის ფირფიტებსა და ცვილით დაფარულ ხის დაფას იყენებდნენ. ასეთი დაფის გამოყენება მრავალჯერ შეიძლებოდა, ცვილს ასწორებდნენ და ახალ ტექსტს წერდნენ. მნიშვნელოვანი დოკუმენტები ხბოს გაპრიალებულ ტყავზე ან პაპირუსზე გადაჰქონდათ.

122 **რომაელები მელანს მურისგან ამზადებდნენ.** შავი მელნის მისაღებად ერთმანეთს ურევდნენ დამწვარი შეშის მურს, ძმარსა და ხის წებოს — გუმფისს. ცოტა უცნაურად კი ჩანს მისი შემადგენლობა, მაგრამ ზოგიერთი რომაული ხელნაწერი, რომელიც სწორედ ასეთი მელნით არის შესრულებული, თითქმის 2000 წლისაა.

123 **რომში ბევრი ბიბლიოთეკა იყო.** ზოგიერთი ბიბლიოთეკა საჯარო იყო, ყველასთვის გახსნილი, ზოგიც მდიდარ ოჯახებს ეკუთვნოდათ და მათ სახლებში განთავსებულ წიგნებზე სხვებს ხელი არ მიუწვდებოდათ. ხშირად ცნობილ მწერლებს ფულს უხდიდნენ, რომ მათი ნაშრომებით თავიანთი წიგნსაცავები გაემდიდრებინათ.

124 **რომაელთაგან ბევრი ფეხზე მდგარი კითხულობდა, — ასე უფრო ეადვილებოდა.** დიდი დრო და მოთმინება სჭირდებოდა პაპირუსის გრაგნილის წაკითხვას. ზოგიერთი, სულ ცოტა, ათი მეტრის სიგრძისა იყო. მკითხველს გრაგნილი მარჯვენა ხელში ეჭირა, მარცხენათი კი დროდადრო, ტექსტის ჩათავების კვალად, პაპირუსის ბოლოს ჩამოსწევდა ხოლმე.

ისწავლე ზოგიერთი რომაული სიტყვა!

რომაელები ლაპარაკობდნენ ენაზე, რომელსაც ლათინური ეწოდება. ის ბევრი ევროპული ენის საფუძველია. შეგიძლია ქვემოთ მოყვანილი ზოგიერთი ლათინური სიტყვა დაიზეპირო!

წიგნი = liber
წერილი = epistola
ბიბლიოთეკა = bibliotheca
ხბოს ტყავი = vellum
წკირი ცვილის დაფაზე საწერად = stylus
მონები, რომლებიც ბიბლიოთეკაში მუშაობდნენ = librarii
სკოლის მასწავლებლები = grammaticus
კერძო მასწავლებელი (რეპეტიტორი) = paedagogus

მამის სიტყვა კანონია!

125 **რომაელთა ოჯახებში მამას დიდი ძალაუფლება ჰქონდა.** რომაული კანონმდებლობის თანახმად, ყოველ ოჯახში მთავარი მამაკაცი უნდა ყოფილიყო. მას „პატერფამილიასს“ („ოჯახის მამას“) უწოდებდნენ. სახლი და მთელი ავლადიდება მისი საკუთრება იყო და უფლება ჰქონდა, დაესაჯა ოჯახის ნებისმიერი წევრი, თუკი რომელიმე შეუსაბამოდ მოიქცეოდა. ხანდაზმული ქალები და თვით დედაც კი მის ნება-სურვილს უნდა დამორჩილებოდა.

▲ **რომაელები ბავშვებს ბედნიერების მომტან თილისმას — ბულას ჰკიდებდნენ.**

126 **რომაულ ოჯახებში არა მხოლოდ სისხლით ნათესავებს გულისხმობდნენ.** რომაელთათვის „ოჯახი“ ნიშნავდა ყველა იმ ადამიანს, რომელიც მის კარ-მიდამოში ცხოვრობდა და მსახურობდა. ასე რომ, მონებიც და მოსამსახურეებიც ოჯახის წევრებად ითვლებოდნენ, ისევე როგორც ქმარი, ცოლი ან მათი შვილები.

▲ ეს ხის კომპოზიცია რომაულ ქორწილს ასახავს. ცენტრში ნეფე-პატარძალია, მათ უკან კი ქურუმები დგანან.

127 **ვაჟს ასულზე მეტად მიაგებდნენ პატივს.** ვაჟი, შესაბამისად, გვარის გამგრძელებელი უნდა ყოფილიყო და ოჯახისთვის პატივი და სახელი მოეტანა თავისი მიღწევებით მთავრობასა და პოლიტიკაში თუ ომში მონაწილეობით. ცოლად უნდა შეერთო მდიდარი ქალი, რომლის მზითევი ოჯახს კიდევ უფრო შეძლებულს გახდიდა. მეგობრებიც გავლენიან წრეში უნდა აერჩია.

128 **რომაელი გოგონას ბავშვობა მალე მთავრდებოდა.** კანონი გოგონებს უფლებას აძლევდა, 12 წლის ასაკში გათხოვილიყვნენ და ბევრი მათგანი უკვე 15 წლისა დედა იყო. გოგონებს თავად არ შეეძლოთ ქმრის არჩევა, განსაკუთრებით, თუკი მდიდარი და გავლენიანი ოჯახის შვილები იყვნენ. სასიძოს მამა არჩევდა, რომ კარგ ოჯახთან დამოყვრებით პოლიტიკური ძალაუფლება მოეპოვებინა ან სარფიანი გარიგება დაედო. სიყვარული ქორწინებაში დიდ როლს არ თამაშობდა.

129 **რომაულ ოჯახებს საყვარელი ცხოველებიც ჰყავდათ.** ბევრი რომაული ქანდაკება ან ნახატი ასახავს, როგორ ეთამაშებიან ბავშვები თავიანთ საყვარელ ცხოველებსა და ფრინველებს. უმეტესად ძაღლები, კატები და მტრედები ჰყავდათ, ზოგიერთ ოჯახს კი მოშინაურებული ირემი და დეკორატიული თევზებიც.

შეადგინა ვანო კაჭახიძემ

1 დინამიტის გამოგონებელი

2 მომთაბარე არაბი

3 ავსტრიის დედაქალაქი

4 ლიბიის ექს-პრეზიდენტი

5 ქვეყანა ევროპაში

6 ... ჩავესი

7 აშშ-ის პირველი პრეზიდენტი

8 ინგლისის ძველი სახელწოდება

9 მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ჩანჩქერი

10 ფილიპინების დედაქალაქი

11 ტაბარი კაზეთში

12 ლატვიის პარლამენტი

13 ძველებური თოფი

14 ეთიოპიის ძველი სახელწოდება

15 გერმანული ფულის ერთეული ევროამდე

16 იაპონიის პირველი დედაქალაქი

17 ეურანის ცალკეული ლოცვა

18 ამერიკის შტატი

19 ყველასთვის საყალდებულო წესი

20 სოფელი პანკისის ხეობაში

21 ებრაელთა საღვთო წიგნი

22 შვეიცარიის დედაქალაქი

23 მუსლიმანთა ლოცვა

24 ქართული მინერალური წყალი

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:
1. ბასილი; 2. სემირამიდა; 3. ცივილიზაცია; 4. ვალეტა; 5. რომი; 6. ილია; 7. ბაშკირეთი; 8. ბრაუნინგი; 9. შამილი; 10. მათე; 11. ფარაონი; 12. ბიბლია; 13. ყმა; 14. ნენსი; 15. ლენა; 16. მიანმა; 17. ჰავანა; 18. ოქმი; 19. არსი; 20. ჰიტლერი; 21. ნოე; 22. სპა; 23. ნილოსი; 24. ელია; 25. გიული. სურათზე: ბარაკ ობამა.